www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 14 აპრილი, 2009 წელი. №82 (2120) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

დღეიდან
**The New York Times**
ქართულად


The New York Times
თავდაჭერებულობის საკითხი

მოლდოვაში ხმებს მაინც გადათვლიან
A7




ტაილანდში დემონსტრაციას სამხედროები შლიან
A8



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ეს თქვენზეა დამოკიდებული

დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

9 აპრილს და შემდეგ დღეებშიც ხალხი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით თბილისის ქუჩებში გამოვიდა. პრეზიდენტი ოფისში რჩება ქართველთა უმეტესობის სურვილის შესაბამისად. თუმცა, დემონსტრაციები უშედეგო არ არის, რადგან მშვიდობიანმა, დემოკრატიული ქცევის მანერამ, როგორც დემონსტრანტების, ასევე მთავრობის მხრიდან, საზღვარგარეთ საქართველოს იმიჯი მხოლოდ გამოასწორა. ახლა ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ, გამოიყენებენ თუ არა ამ სასიკეთო მხარეს კონსოლიდაციისთვის.

საპროტესტო აქციების დასაწყებად 9 აპრილის არჩევა ქართველებისთვის სიმბოლიზმით არის დატვირთული და მათ მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს. ამავე დღეს, ოღონდ 1989 წელს, საბჭოთა ჯარებმა შეიწირეს 20 მშვიდობიანი დემონსტრანტის სიცოცხლე, რომლებიც რუსთაველის გამზირზე დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ აქციაში მონაწილეობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე


ბესო ჯიჯეიშვილის ფოტო

# კარვების და საკნების ქალაქი

დათო გამისონია

აპრილის საპროტესტო აქციების მეხუთე დღე პოლიტიკურმა ოპოზიციამ მომიტინგეებისთვის ახალი ინიციატივების შეთავაზებით დაიწყო. ოპოზიციონერი ლიდერების გადაწყვეტილებით, თბილისში ორი ძირითადი საპროტესტო ცენტრი შეიქმნა.

ოპოზიციის ლიდერების მოწოდებით, გუშინ მშვიდობიანი დემონსტრანტები სკანდირებით გაემართნენ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციისკენ. დაახლოებით 17:00 საათისთვის მანიფესტანტებს უკვე გადაკეტილი ჰქონდათ ბარათაშვილის ხიდი. მას შემდეგ, რაც მომიტინგეებმა "ცოცხალი ჯაჭვით" ალყა შემოარტყეს პრეზიდენტის რეზიდენციას, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ რეზიდენციასთან გაკეთებული პატარა სცენიდან მიმართა შეკრებილ ხალხს და მათ პროტესტის გამოხატვის კარგად აპრობირებული ფორმა შესთავაზა.

**"ავლაბრის რეზიდენციასთან 50 კარავი დაიდგმება, მთელი ღამის განმავლობაში დავრჩებით და ჩვენთან ერთად იქნებიან საზოგადოების წარმომადგენლები.**

გაგრძელება A4 გვერდზე


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## საგანგებო შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საქართველოში აკრედიტებულ სამხედრო ატაშეებთან საგანგებო დახურული შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც ქართულმა მხარემ მათ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილიზების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ დავით ნადარაიას განცხადებით, რუსების მობილიზების შესახებ თავდაცვის სამინისტროს მიერ პირველ წყაროდან მიღებული ინფორმაცია ემთხვევა იმ ცნობებს, რომლებიც ქართულმა მხარემ ეუთო-დან, გაერო-დან და ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფიდან მიიღო.

მისი თქმით, რუსები განსაკუთრებით ახალგორისა და გალის რაიონებში აქტიურობენ.

გერმანიის სამხედრო ატაშემ კრისტიან ფარკონდემ ზემოხსენებულ ინფორმაციას შემაშფოთებელი უწოდა და აღნიშნა, რომ სამხედრო ძალების მობილიზებამ 2008 წლის აგვისტოში კონფლიქტი გამოიწვია. **მედიანიუსი**

## მამუკა არეშიძე გამოსავალს კონსტიტუციურ ცვლილებებში ხედავს

ექსპერტი მამუკა არეშიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის თემად კონსტიტუციურ ცვლილებებს განიხილავს. არეშიძის განცხადებით, ოპოზიცია საკმაოდ რადიკალურია. უნდა მოინახოს საკითხი, რომელზე სასაუბროდაც მხარეები მაგიდასთან დასხდებიან. "დიალოგის თემად მხარეებს შორის საკონსტიტუციო ცვლებების თემა მიმაჩნია. საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებელია. არ შეიძლება ქვეყნის მართვა ერთპიროვნულად. მიმაჩნია, რომ დიალოგი უნდა დაიწყოს. მთავარია, დიალოგის საკითხები იყოს ადეკვატური. მიმაჩნია, რომ ოპოზიციის თამასა უფრო მაღალია და ორივე მხარემ თითო ნაბიჯით უკან უნდა დაიხიოს და დაიწყოს დიალოგი", - განაცხადა მამუკა არეშიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზურაბ ნოღაიდელი რადიკალურ ოპოზიციას ემიჯნება

"მოძრაობა - სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ხელისუფლების მიერ რადიკალურ ოპოზიციად მონათლულ პოლიტიკურ უმცირესობას ემიჯნება. როგორც ნოღაიდელის პარტიის პრესსამსახურში აცხადებენ, ამის მიზეზი ოპოზიციონერი ლიდერების მიერ 10 აპრილს, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახდა. "ბატონი ზურაბი არ ეთანხმება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ოპოზიციონერმა ლიდერებმა 10 აპრილს გამოაცხადეს. აქედან გამომდინარე, "მოძრაობა - სამართლიან საქართველოსთვის" პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციებს აღარ შეუერთდება," - აცხადებენ ნოღაიდელის პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. ოპოზიციასთან გამიჯვნის უფრო კონკრეტულ მიზეზებსა და მისი მოძრაობის სამომავლო გეგმებზე ნოღაიდელი განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მიხეილ მაჭავარიანი: პიკეტირების ტაქტიკა "ნერვების ომია"

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მიერ პიკეტირების ტაქტიკა, მათ შორის პრეზიდენტის რეზიდენციის, არის "ნერვების ომის" გაგრძელება, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს "მუშაობა ჩვენი მოქალაქეების პრობლემების მოგვარებაზე." ტელეკომპანია "იმედთთან" საუბრისას მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მმართველი პარტია კვლავ სთავაზობს ოპოზიციას დიალოგის დაწყებას მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის დემოკრატიულ რეფორმებსა და ეკონომიკურ პრობლემებზე. მისი თქმით, ხელისუფლება სთავაზობს ოპოზიციას დიალოგის დაწყებას ახალი საკონსტიტუციო სისტემის შესახებ, "სადაც პარლამენტს მეტი უფლებები ექნება, ვიდრე პრეზიდენტს - სადაც ძალაუფლება პარლამენტში იქნება კონცენტრირებული." **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზური პასპორტი 1500-ზე მეტმა გალელმა მიიღო

აფხაზური მხარის ინფორმაციით, გალის რაიონის ათას ხუთასზე მეტმა ადამიანმა ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი უკვე მიიღო. "რაიონის საპასპორტო-სავიზო განყოფილებასთან აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის მიღების მსურველი გალელების რიგი დგას," - აცხადებს გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსი ბესლან არშბა.

არშბა ასევე აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი გამოხატავს სტაბილურობას და რაიონის მცხოვრებლების სურვილს, მოხდეს აფხაზურ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია. მისი თქმით, გალის რაიონი ჩვეულებრივი აგრარული რეგიონის ცხოვრებით მშვიდად ცხოვრობს და მისი მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს წარმოებითაა დაკავებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ხელისუფლება ოპოზიციასთან "მისასვლელ" გზებს ეძებს

*"შერატონ მეტეხი პალასში" მმართველი პარტიის წარმომადგენლები პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალს "დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის" წევრებთან ერთად ეძებდნენ. შეხვედრის ერთ-ერთი ინიციატორი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მოუწოდებს ოპოზიციას, კარგად გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა და მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს. სპიკერი ერთ-ერთ განსახილველ საკითხად საკონსტიტუციო რეფორმას ასახელებს და ხელისუფლების სახელით პოლიტიკურ ოპონენტებს ამ თემაზე დიალოგს სთავაზობს. ბაქრაძე უფრო შორეულ პერსპექტივაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ნდობის აღდგენის შემთხვევაში, შესაძლოა, დღის წესრიგში კოალიციური მთავრობის საკითხიც დადგეს.*

გიორგი ასანიშვილი

**"ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ ქვეყანაში გრძელვადიანი სტაბილურობის დამყარებაზე, აგრეთვე პოლიტიკური სისტემის მდგრადობის გაზრდაზე, რაც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, და არა იმაზე, რომ კონიუნქტურული დათმობებით ამა თუ იმ ოპოზიციონერი ლიდერის გული მოვიგოთ. ის, რომ პარლამენტის როლის გაძლიერება მიზანშეწონილია, ხელისუფლებაში არანაირ ეჭვს არ იწვევს. მზად ვართ, ოპოზიციასთან ერთად ვიმუშაოთ საკონსტიტუციო რეფორმისა და საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის კუთხით,"** - აცხადებს ექსპერტებთან საუბრის დასრულების შემდეგ პარლამენტის სპიკერი.

**"საქართველოს მთავრობა ოპოზიციასთან დიალოგისთვის მზად არის. ქვეყანაში არსებული პრობლემები მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს. ამიტომ, ჩვენ გვაინტერესებს ექსპერტების აზრი, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ და ვაწარმოოთ დიალოგი ოპოზიციასთან,"** - ამ განმარტებას ექსპერტებთან შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილე, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი აკეთებს.

თავის მხრივ, დამოუკიდებელი ექსპერტები აღიარებენ, რომ ქვეყანაში არსებული მთავარი პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტული რეცეპტი ჯერჯერობით არ აქვთ, თუმცა გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგის მისაღწევად შუამავლის როლი შეასრულონ.

**"ჩვენ მზად ვართ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად განვიხილოთ ნებისმიერი კონსტრუქციული წინადადება, მაგრამ არა ისეთი უაზრო შეთავაზებები, როგორიც არის, მაგალითად, მსოფლიო კრიზისის დაძლევა და დასაქმება. ეს საკითხები არ არის იმ განწყობის ადეკვატური, რომელიც დღეს არსებობს საზოგადოებაში,"** - ოპოზიციისთვის "მიმზიდველი" და რეალური წინადადებების შეთავაზებას ურჩევს ხელისუფლებას ექსპერტი ლადო პაპავა.

პოლიტოლოგი გია ნოდია კი ფიქრობს, რომ ოპოზიციის ნაწილს შიდა პრობლემები აქვს, ნაწილი კი შორს არის რეალობის აღქმისგან.

**"როდესაც ოპოზიცია მიხვდება, რომ ხელისუფლებას ვერ დააჩოქებს, ალბათ დიალოგსაც დათანხმდება,"** - ვარაუდობს ნოდია.

ექსპერტი ზურაბ დავითაშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა იმ "დონის" ულტიმატუმია, რომლის შესახებაც დიალოგი ვერ შედგება.

**"დიალოგი შეიძლება იყოს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, საარჩევნო რეფორმაზე და ა.შ. ამ თემებზე დიალოგის დაწყებით ჩნდება შესაძლებლობა, რომ ქვეყანა ასცდეს სამოქალაქო დაპირისპირებას. ოპოზიცია უნდა შეეგუოს, რომ ულტიმატუმი არ არის გამოსავალი, ხოლო ხელისუფლება მაქსიმალურ დათმობაზე წავიდეს, რათა სიტუაცია განმუხტვისკენ წარიმართოს,"** - ორმხრივი კომპრომისების მომხრეა ზურაბ დავითაშვილი.

შეხვედრის კომენტირება "24 საათმა" პოლიტოლოგ ლევან ცუცქირიძეს სთხოვა.

**"შეხვედრაზე განვიხილეთ საქართველოში შექმნილი ვითარება. საინტერესო იყო პარლამენტის თავმჯდომარის მოსმენა ამ საკითხებთან მიმართებაში. ჩემი მხრიდან, საკუთარი მოსაზრებები გავაცანი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება არსებული რთული ვითარების დაძლევა. ყველა კრიზისიდან შეიძლება გამოსვლა ისე, რომ სახელმწიფო და ქვეყანა უფრო გაძლიერებული დარჩეს. დღევანდელ ვითარებაშიამ გზით შესაძლებელია, სულ ცოტა, გაუთვალისწინებელი რისკების შემცირება. ამის მიღმა, ვფიქრობ ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს ნება იმისა, რომ იგი მზად არის განახორციელოს მნიშვნელოვანი რეფორმები და ცვლილებები ქვეყანაში, ხოლო მასთან დაპირისპირებულმა პარტიებმა კი, თავის მხრივ, უნდა გადადგან ნაბიჯები დიალოგისაკენ. ყველა კონფლიქტში არსებობს საერთო ინტერესი, ამ შემთხვევაში უპირველესი საერთო ინტერესი ქვეყნის უსაფრთხოებაა,"** - განაცხადა ლევან ცუცქირიძემ.

ექსპერტი ვახტანგ მაისაიაც ურჩევს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომ მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში შეიძლება უმართავი პროცესები განვითარდეს.

როგორც "დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის" ხელმძღვანელმა სოსო ცისკარიშვილმა "შერატონ მეტეხი პალასში" შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგი საკმაოდ საინტერესო იყო.

**"ხელისუფლებას "ექსპერტთა კლუბმა" პრობლემების დანახვის ახალი კუთხეები შესთავაზა, ვისაუბრეთ ძალიან გულწრფელად. ხელისუფლებასთან შეხვედრა კიდევ გაგრძელდება, ოღონდ მას შემდეგ, რაც ოპოზიციის ლიდერებსაც შევხვდებით და მათ შეფასებებსაც მოვისმენთ,"** - დასძენს ცისკარიშვილი.

ქვეყანაში შექმნილი ვითარება შორს რომ არის ნორმალურისგან და პოლიტიკური ცხოვრება ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობს, ამას პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომის ფორმაც ადასტურებს: ბიუროს წევრები ნახევრად ლეგალურ ვითარებაში შეიკრიბნენ და სხდომას არც ერთი ჟურნალისტი არ დასწრებია. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარე ბიუროს სხდომის გასაიდუმლოებას არ ადასტურებს, მაგრამ აღიარებს, რომ გარკვეული დროის მანძილზე საკანონმდებლო ორგანოს შენობაში მოქალაქეების, მათ შორის ჟურნალისტების შესვლაც შეზღუდული იქნება.

**"ყველას უნდა ესმოდეს, რომ ხელისუფლებას მხოლოდ პროვოკაციების თავიდან აცილების სურვილი ამოძრავებს,"** - ასე ხსნის მედიისთვის შეზღუდვების დაწესებას პარლამენტის თავმჯდომარე.

# კონფლიქტის ზონებში ოკუპანტთა რაოდენობა იზრდება

*7-დან 13 აპრილამდე გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში, მათ შორის აჩიგვარაში, ჩხორთლოსა და წარჩეში რუსული ტანკების, ჯავშანტექნიკის, ქვეითთა სამხედრო მანქანებისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია და გადაადგილებები მიმდინარეობდა. ამავე პერიოდში წებელდაში, ასევე ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვართან, ე.წ. "ცორკას" ტერიტორიაზე, სამხედრო წვრთნები გაიმართა, განმუხურიდან ოჩამჩირემდე კი რუსული სამხედრო კატარღა კურსირებს.*

ნათია მსხილაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაიას შეფასებით, გალის რაიონში ბოლო დღეებში რუსული მხარის გააქტიურებული ქმედებები შეიძლება სამი სავარაუდო სცენარის ნაწილს წარმოადგენდეს. **"პირველი სცენარის მიხედვით, რუსული მხარე ამგვარად ცდილობს, მსოფლიოს დაანახოს, რომ კავკასიაში საკუთარი სტრატეგიული ინტერესები კვლავ აქვს და ამ რეგიონში თავს სტაბილურობის ერთადერთ გარანტად წარმოაჩენს. მეორე სცენარის მიხედვით, მოსკოვი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თბილისში მიმდინარე მოვლენების გადასაფარად პროვოკაციებს ამზადებს და გალის რაიონში რუსული სამხედრო ძალების კონცენტრაცია თითქოს ამით არის მოტივირებული,"** - აღნიშნა აკიშბაიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, მესამე სავარაუდო სცენარის მიხედვით, რუსეთი სამხედრო დაპირისპირების პროვოცირებას და ამ პროვოკაციაში საქართველოს ხელისუფლების ჩართვას ეცდება. თუმცა, აკიშბაიას მიაჩნია, რომ მესამე სცენარის განვითარება ამ ეტაპზე ნაკლებად შესაძლებელია.

ამასთან, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ბოლო კვირის განმავლობაში გალის რაიონის ტერიტორიაზე, გუდაუთასა და სოხუმში დისლოცირებული რუსული სამხედო ძალის უდიდესი ნაწილის კონცენტრაცია მიმდინარეობს.

მალხაზ აკიშბაია აფხაზეთის ტერიტორიაზე და საზღვაო აკვატორიაში რუსული სამხედრო ძალის გაზრდის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებს გააქტიურებისკენ მოუწოდებს. **"რუსეთის ქმედებები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კრემლის ინტერესებს კონფლიქტურ რეგიონში, რაც ცხადყოფს როგორც რუსული მხარის, ასევე სეპარატისტების მიზანს, მოახდინონ ვითარების ესკალაცია. მიმაჩნია, რომ შექმნილი ვითარების გამო საერთაშორისო ორგანიზაციებმა შესამჩნევად უნდა გაზარდონ თავიანთი აქტივობა კონფლიქტის ზონაში, რათა არ მოხდეს ვითარების უფრო დაძაბვა,"** - აღნიშნა აკიშბაიამ.

მისი განცხადებით, რუსეთის ფედერაცია და სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლება საქართველოს როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ტერიტორიებზე სამართლებლივ ნორმებს მოკლებული პოლიტიკის გატარებას აგრძელებენ.

აკიშბაიას განმარტებით, მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრი პოზიციისა, რუსეთი და მისი მარიონეტი სეპარატისტები ე.წ ადმინისტრაციულ საზღვრებს ამაგრებენ და აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონტინგენტს ზრდიან.

დაძაბული ვითარებაა შექმნილი ცხინვალის რეგიონშიც, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. რეგიონში დამატებით შეყვანილია რამდენიმე რუსული დივიზია. გარდა ამისა, იმატა კრიმინალურმა ფაქტებმაც. 12 აპრილს, გვიან ღამით ინციდენტი მოხდა გორის რაიონის სოფელ აძვში, სადაც საჯარო სკოლის შენობაში სამი ნიღბიანი პირი შეიჭრა. ისინი ოსურ ენაზე საუბრობდნენ. კრიმინალებმა დარაჯი ცემეს, საქვაბეში ჩაკეტეს და სკოლიდან 7 კომპიუტერი გაიტაცეს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# გამოსავლის ძიებაში

## კახა გოგოლაშვილი: "როდესაც ვაჭრობა მიდის, პოზიციას ბოლომდე არც ერთი მხარე არ ხსნის"

თამარ ხორბალაძე

*დაპირისპირებული მხარეები ისევ ვერ ახერხებენ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომას. როგორი შეიძლება იყოს კომპრომისული გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე პასუხის მოძებნას "24 საათი" ექსპერტ კახა გოგოლაშვილთან ერთად შეეცადა.*

**- დღევანდელ სიტუაციაში, რამდენად ადეკვატურია ოპოზიცია თავის მოთხოვნებში და რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება თავის შეთავაზებებში?**

- დღეს ალბათ საკითხი ასე დგას - რამდენად მოდის ერთმანეთთან თანხვედრაში ეს შეთავაზებები და მოთხოვნები? რამდენად შესაძლოა მათი დაყვანა ერთიან პოზიციამდე? ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერჯერობით ვითარება ისეთ ეტაპზეა, როცა შეთავაზება და მოთხოვნა ძალიან შორს დგას ერთმანეთისგან. ამიტომ საჭიროა დიდი ძალისხმევა ან მოვლენების ისეთი განვითარება, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ პირობების დაახლოებას.

თუ ეს ყველაფერი რადიკალიზმში არ გადავიდა და მხარეებს შორის იმდენად დიდი ნაპრალი არ შეიქმნა, რომ მისი ამოვსება შეუძლებელი გახდება, მაშინ დროის გასვლის შემდეგაც პოზიციათა დაახლოების შესაძლებლობა რჩება. ამისთვის საჭიროა ორივე მხრიდან დაფიქრება, საკუთარი შესაძლებლობების კარგად გააზრება, რამაც უნდა მიგვიყვანოს კომპრომისულ ვარიანტებამდე. თუმცა მანამდე, როგორც მინიმუმ, უნდა დაიწყოს საუბარი. ჯერჯერობით, რასაც ვხედავ, მიმდინარეობს ძალიან შორიდან მოთელვა, შესაძლო პოზიციების მოსინჯვა და კონსტრუქციული წინადადებების არანაირი რეალური გაცვლა არ მომხდარა.

**- რა შეიძლება იყოს გონივრული გამოსავალი?**

- ყველა ეტაპზე ეს გამოსავალი შეიძლება სხვადასხვაგვარად დაინახო. მაგალითად, მე შეიძლება ვხედავდე გონივრულ გამოსავალს პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვაში. ოპოზიცია ყოველთვის ითხოვდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც პრეზიდენტს არსებულ უფლებამოსილებებს შეუზღუდავდა. მეორე მხრივ, დგება ასევე საპარლამენტო არჩევნების საკითხი.

**- თქვენის აზრით, დღევანდელ რეალობაში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა რეალური გამოსავალი იქნება?**

- მგონი, რეალური იქნებოდა, თუ ამასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების შეკვეცას დათანხმდებოდა, რათა ამ ორ ხელისუფლებას შორის რეალური ბალანსი დამყარდეს. მე არ ვსაუბრობ რომელიმეს ინტერესებიდან გამომდინარე, მე ვსაუბრობ კომპრომისების მიღწევის მიზნებიდან გამომდინარე. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციას არ დააკმაყოფილებს სხვა არანაირი შედეგი, თუ არ აღდგება გარკვეული ბალანსი.

**- აქ არის ოპოზიციის არგუმენტი, რომელიც ამბობს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის, დღევანდელი ცესკო-სა და დღევანდელი საარჩევნო კანონის პირობებში ამ ბალანსის აღდგენის შანსი არ არსებობს.**

- ამიტომ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს არა დღეს და ხვალ. საპარლამენტო არჩევნებამდე საჭიროა ერთი წელიწადი, რათა მანამდე - იმ პერიოდში, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ მაღალი ტემპერატურის პირობებში ჩაივლის - შეიცვალოს კანონი და ისეთი საარჩევნო კოდექსი მივიღოთ, რომელიც ეჭვებს აღარ გააჩენს. დღეს, პრაქტიკულად, ოპოზიციას აქვს ერთადერთი ლოზუნგი - ხელისუფლების შეცვლა უკმაყოფილების ტალღაზე, მაგრამ ეს არ არის სწორი გზა, რადგან მოსახლეობამ არ იცის, რას გააკეთებს ახალი ხელისუფლება. უბრალოდ უკმაყოფილების ტალღაზე შეცვლილი ხელისუფლება, არა მგონია, მოსახლეობის ინტერესებს აკმაყოფილებდეს და შედეგის მომტანი იყოს.

**- საპარლამენტო არჩევნების თემა ხელისუფლების მიერ ამ ეტაპზე ღიად ჯერჯერობით არ გაცხადებულა. სამაგიეროდ ცნობილია თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის შეთავაზება.**

- მგონია, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეთავაზებაა. მერის პოზიცია არ არის უბრალო პოზიცია. მართალია, ოპოზიციონერი მერის მიერ ქალაქის მართვა საკმაოდ რთული იქნება - თუ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ისევ ძლიერი დაპირისპირება დარჩა. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მერის თანამდებობა არჩევითი გახდება, ეს საკმაოდ დიდი მონაპოვარი იქნება ოპოზიციისთვის. მერს აქვს საკმაოდ დიდი ბიუჯეტი და საკმაოდ დიდი შესაძლებლობები, რათა გაატაროს თავისი პოლიტიკა ქალაქ თბილისში, რომელიც ეკონომიკურად ქვეყნის ნახევარზე მეტია და პოლიტიკურადაც, მოსახლეობის თვალსაზრისით, ქვეყნის ერთი მესამედია.

მე რომ ვაკვირდები პოლიტიკური შეჯიბრის განვითარებას ევროპულ სახელმწიფოებში, შეჯიბრი ამ ორ დონეზე მიმდინარეობს - საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში. ამ ორ არჩევნებს, მათ შორის მერის არჩევნებს, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ის პარტიები, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას. პარტიები ადგილობრივ არჩევნებს ტრამპლინად იყენებენ. მოსახლეობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, დაინახოს გამარჯვებული პარტიის მიერ რეალურად ნაჩვენები შედეგები ადგილობრივ დონეზე.

**- ბატონო კახა, 10 აპრილს პრეზიდენტმა ოპოზიციას შესთავაზა დიალოგის წარმოება ეკონომიკური კრიზისის ერთობლივად დაძლევის შესახებ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე და მხოლოდ ამის შემდეგ დემოკრატიასა და მერის პირდაპირი წესით არჩევაზე. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს?**

- როდესაც მიდის ვაჭრობა ან მოლაპარაკებები, თავის პოზიციას არასდროს არც ერთი მხარე არ ხსნის ბოლომდე. ყველაფერი იწყება ურთიერთგამომრიცხავი რადიკალური პოზიციებიდან. მათ შორის ხელისუფლებასაც გამოაქვს რაღაც მინიმალური პაკეტი, რადგან ის ხელისუფლებაშია და მას ხელს აძლევს, რაც შეიძლება ნაკლებად შეიზღუდოს თავი.

**- ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე დიალოგი ოპოზიციისთვის ამ პრობლემების გადაჭრის ბერკეტების შეთავაზებასაც გულისხმობს, მაგალითად - აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლის გზით?**

- შუალედური შესაძლებლობა არის ის, რომ შეიქმნას სპეციალური საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევლენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და რომელსაც ექნება მინიჭებული უფლება, რომ მათთან კონსულტაციის გარეშე არ მოხდეს მინისტრის ან მაღალი თანამდებობის პირის დანიშვნა. ეს იქნება იმის საშუალება, რომ ოპოზიციას აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჰყავდეს არა თავისი წარმომადგენელი, არამედ თავისი ნდობით აღჭურვილი პირი.

**- ანუ აქ არ არის საუბარი კოალიციური მთავრობის შეთავაზებაზე?**

- საუბარია არა კოალიციურ მთავრობაზე, არამედ მთავრობაზე, რომელიც არ ინიშნება ვოლუნტარისტული წესით. საუბარია ისეთ მთავრობაზე, რომელიც ინიშნება ოპოზიციასთან რეალური კონსულტაციებით.

**- თუმცა, მოთხოვნათა იმ მაღალი ნიშნულიდან, რომელიც ოპოზიციას აქვს, ეს მისთვის მიღწევად ვერ ჩაითვლება.**

- მიღწევა არის ის, რაც დააწყნარებს ხალხს და დაასტაბილურებს ქვეყანას. ქვეყნის მარგინალური წრეები ყოველთვის ძალიან რადიკალური მოთხოვნების მომხრენი იქნებიან. ნებისმიერი ადამიანიც კი, როცა ის რაღაცით აღელვებული და აღშფოთებულია, მოთხოვნებში არის გაცილებით რადიკალური, ვიდრე მაშინ, როცა ეძლევა საკუთარი აზრების გამოთქმის, დიალოგში შესვლის საშუალება. ასევეა საზოგადოება - საზოგადოების ნაწილისთვის ახლა არის ერთადერთი მოთხოვნა - "გადადგეს პრეზიდენტი". მაგრამ ეს არის აღშფოთების ის დონე, რომლისგან დასაღწევადაც მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს - თავისი კონსტრუქციულობით, თავისი კომპრომისებით. ეს შესაძლებელია. პოლიტიკური ცხოვრება დუღილია და აქ ადამიანის აზრები იცვლება, როცა უფრო სწორ გამოსავალს ხედავს. ამიტომ კომპრომისი არის გამოსავალი.

# ეს თქვენზეა დამოკიდებული


დევიდ ჯ. სმითი

პირველი გვერდიდან

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, ტერასაზე ნაცრისფერი ქვის ლოდები მათი ხსოვნის პატივსაცემადაა აღმართული, ისინი გმირულად სწორედ აქ დაეცნენ. ის 25 ათასი დემონსტრანტი, რომლებიც ამ ადგილებზე 2009 წლის 9 აპრილს დააბიჯებს, განსაკუთრებულად პასუხისმგებელია იმ მამაცი ქართველებისადმი პატივისცემის გამოხატვის ნიშნად, ვინც თავი შესწირა ქვეყანას.

ამდენად, რიგითი მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, ამ პასუხისმგებლობას კარგად გრძნობდნენ. 10-11 აპრილს მათი რაოდენობა შემცირდა, ხოლო ტაქტიკა შეიცვალა. ისინი სამ ჯგუფად გაიყვნენ, ერთი ნაწილი დარჩა რუსთაველის გამზირზე, ნაწილმა გეზი საზოგადოებრივი ტელევიზიის - "პირველი არხისკენ" აიღო, ხოლო სხვები ავლაბარში, პრეზიდენტის ადმინისტრაციული შენობისკენ გაემართნენ. მათ სამი ძირითადი მაგისტრალი გადაკეტეს დღის 15:00-დან საღამოს 17:00 საათამდე. აქციები შეჩერდა ბზობის დღესასწაულისთვის, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი მაინც მივიდა რუსთაველის გამზირზე, რათა ჩუმად გამოეხატა პროტესტი იმ ვანდალიზმის გამო, რაც ოპოზიციონერი ლიდერებისთვის აგებული სცენის ნაწილების დამტვრევაში გამოიხატა.

სცენის დაზიანების, ბრბოში მომხდარი რამდენიმე ჩხუბისა და ცემის სპორადული ფაქტის გარდა, არავითარი ძალადობა არ ყოფილა და არც ფანჯრები ჩამსხვრეულა. ეს მეტად მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ მიღებული გააზრებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომ პოლიციამ შორს დაიჭიროს თავი დემონსტრაციის არეალისგან.

მსოფლიო პრესის გამოხმაურება ნათელი იყო, მაგრამ სხვა მოვლენებმა თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციები დაჩრდილა. მაშინ, როცა ქართველები პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებდნენ, სომალელმა მეკობრეებმა ამერიკული სატვირთო ხომალდის კაპიტანი გაიტაცეს; იტალიაში, დაახლოებით, 300 ადამიანი ემსხვერპლა აბრუცის რეგიონში მომხდარ მიწისძვრას. ბოლივიაში პრეზიდენტმა ევო მორალესმა, ახალი საარჩევნო კანონის მიღების პროცედურის გამო, კონგრესთან დავა დაიწყო. დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის თანაშემწემ დერეკ დრაპერმა თანამდებობა დატოვა, როცა იგი "დაუნინგ სტრიტიდან" ოპოზიციონერი პოლიტიკოსების წინააღმდეგ ცილისმწამებლური შინაარსის მქონე ელექტრონული ფოსტის დაგზავნაში ამხილეს.

გასული კვირის მანძილზე მრავლად იყო ახალი ამბები გასაშუქებლად - უამრავი სულელური პოლიტიკური თამაში და თვით მომწიფებული დემონსტრაციებიც. ტაილანდში ე.წ. წითელმაისურიანმა ოპოზიციამ ბანგკოკის ძირითადი მაგისტრალები ჩახერგა და ხელი შეუშალა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნების ასოციაციის სამიტს, რომელიც შაბათს ზღვისპირა კურორტ პატაიაზე იყო დაგეგმილი. ამან აიძულა ტაილანდის ხელისუფლება, სამიტი გაეუქმებინა და რამდენიმე საერთაშორისო ლიდერი კურორტიდან ვერტმფრენის მეშვეობით გამოეყვანა. **"ჩემი და ზოგადად ხელისუფლების ამოცანაა, ლიდერებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა ისინი სამშობლოში მშვიდობით დაბრუნდნენ,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა აბხისტ ვეტჩაჩივამ.

ორშაბათს დილით ტაილანდის უსაფრთხოების სამსახურმა, შაშხანების, ხელკეტებისა და ფარების გამოყენებით, დემონსტრანტები ბანგკოკის ბიზნეს-ცენტრიდან განდევნა.

საერთაშორისო მასშტაბის ახალი ამბების განყოფილებებში მიღებული სურათები, რომლებზეც თბილისის მდგომარეობა იყო ასახული, კონტრასტულია და ეს კარგია საქართველოსთვის.

ამ სტატიის მიზანი იმ დამადანაშაულებელი თამაშის გვერდზე გადადებაა, რაც თბილისში 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს ეხება. როგორც კი 2009 წლის 9 აპრილი მოახლოვდა, უცხოელი დამკვირვებლები, ინვესტორები, ნატო და, განსაკუთრებით, ევროკავშირი დასხდნენ, მიმდინარე წლის დემონსტრაციებსა და 17 თვის წინანდელ მოვლენებს ადარებენ და მათ შორის კონტრასტს ხედავენ. დრამატული მოვლენების გაწონასწორებული ვიდეოკადრები მაინცდამაინც დიდ მოწონებას არ დაიმსახურებდა, უინტერესო კადრების სერია კი სასიამოვნო სიუპრიზია.

ის, რაც ქართველმა ხალხმა - მთავრობამ და დემონსტრანტებმა ერთად აირჩიეს, არის არა საგარეო იმიჯის გალამაზება, არამედ იმის დადასტურება, რომ საქართველო განვითარებ**ადი** დემოკრატიაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **"-ადი"** ბოლოსართი, რადგან ქართველებმა გამოავლინეს არა მარტო ერთმანეთში კანონიერ და სამოქალაქო ფარგლებში მორიგების უნარი, არამედ ისიც, რომ გაკვეთილებიდან კარგ გამოცდილებას იღებენ. ეს 9 აპრილის დიდი მიღწევაა!

თუმცა, აპრილი ჯერ არ დასრულებულა და მოვლენების დადებითი კუთხით განვითარების გარდა, სხვა ქარიც ქრის. ქართველმა ხალხმა უნდა ისაუბროს და შემდეგი ნაბიჯების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება. ზოგიერთი დაუმორჩილებლობას ემხრობა და საქართველოსთვის საზიანო გეგმებს სახავს.

ასეა თუ ისე, ბევრი ადამიანი - დემონსტრანტიცა და ხელისუფლების წარმომადგენელიც - გაიგებს, რომ გამარჯვება უკვე მიღწეულია - ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე დემოკრატიისკენ გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა. კეთილი ნების ადამიანებს ამ მიღწევის შემდეგ შეუძლიათ მშვიდობიანი და კონსტრუქციული დიალოგის დაწყება. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი უკვე საუბრობს ამის შესახებ.

რასაც გადაწყვეტთ და როგორი მანერით, ეს რეალურად მხოლოდ ქართველების საქმეა. თქვენს მეგობრებს შეუძლიათ, მხოლოდ გისურვონ. თუმცა, ეჭვგარეშეა, უცხოელი დამკვირვებლები შესაბამისად დაწერენ თავიანთ დასკვნებს. ამ დასკვნებზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული - ნატო, ევროკავშირი, სავიზო რეჟიმი და ა.შ.

ამ სტატიის წერისას, ორშაბათს, 15:00 საათზე საქართველო უცხოელებისთვის ბევრად უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე ერთი კვირის წინათ ჩანდა. ასეთი შთაბეჭდილება გაგრძელდება თუ არა, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

***დევიდ ჯ. სმითი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).***

## კოკოითის რეჟიმი ახალგორის რაიონის პასპორტიზაციას იწყებს

ახალგორის რაიონის მოსახლეობას ე. წ. სამხრეთ ოსეთის პასპორტებს ჩამოურიგებენ. ეს გადაწყვეტილება, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ლენინგორის რაიონის შესახებ გამართულ სხდომაზე მიიღო.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის საპასპორტო-სავიზო სამსახურის სამმართველოს ხელმძღვანელ სერგეი კოტაევის ინფორმაციით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის შს სამინისტროს მიეცა განკარგულება იმის შესახებ, რომ ლენინგორის რაიონის მოსახლეობა პასპორტებით "უზრუნველყოს". "ლენინგორის რაიონის პასპორტიზაციის დაწყების ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 აპრილია. ამჟამად მუშავდება პასპორტიზაციის მექანიზმი. ლენინგორის რაიონში კი მოსახლეობის აღწერა მიმდინარეობს," - აცხადებს კოტაევი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოსი სეპარატისტები კოკოითს მედვედევთან უჩივიან

სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში მოქმედი "სახალხო პარტია", რომელსაც როლანდ ქელეხსაევი ხელმძღვანელობს, რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს მიმართვას უგზავნის და დახმარებას სთხოვს.

ქელეხსაევი აცხადებს, რომ მის მიერ რუსეთის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი ასევე გადაეგზავნა რუსეთის დუმის სპიკერ ბორის გრიზლოვს, რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელ სერგეი მირონოვს და რუსეთის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ჩუროვს.

"სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის "სახალხო პარტია" იძულებულია, დახმარება გთხოვოთ. საქმე ეხება იმ სამართლებრივ განუკითხაობას, რომელიც სამხრეთ ოსეთში 31 მაისს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს და დიქტატურის ფორმებს ეხება," - ნათქვამია მედვედევისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის სრულ ტექსტს რუსული მედია აქვეყნებს.

"მიმდინარეობს ტოტალური ფიზიკური ზეწოლა "სახალხო პარტიის" ხელმძღვანელობასა და წევრებზე. იჭერენ აქტივისტებსა და სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრობის კანდიდატებს. იქმნება ალტერნატიული "სახალხო პარტია", რომელსაც ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს. სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს დოკუმენტაციის გაყალბება ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით," - ნათქვამია წერილში და იქვე აღნიშნულია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში შემნილი მდგომარეობის გამო არსებობს საშიშროება, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული არჩევნები მორიგი სიყალბე და ხალხის გაცრუება იქნება.

"გთხოვთ დახმარებას შექმნილი სუტუაციის ნორმალიზებისთვის," - ნათქვამია წერილში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სეპარატისტების ბრალდება

სოხუმის მტკიცებით, საქართველო აფხაზეთზე ზეწოლისთვის საზღვაო მეკობრეობას იყენებს.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ ღვინჯიას განცხადებით, "ქართველ მესაზღვრეებს ნეიტრალურ წყლებში აფხაზეთიდან წასული გემების დაკავების უფლება არა აქვთ." "როდესაც მთელი მსოფლიო სომალის მეკობრეობას გმობს, ძალიან უცნაურად გამოიყურება, რომ შავ ზღვაში სავაჭრო გზების ცენტრში მოქმედებს სახელმწიფო, რომელიც მეკობრული მეთოდებით ნეიტრალურ წყლებში სხვა სახელმწიფოს კუთვნილ გემებს აკავებს," - განაცხადა ღვინჯიამ.

მისივე თქმით, "აფხაზეთი ღიად აცხადებს, რომ საქართველო აფხაზეთზე ზეწოლისთვის მეკობრეობას იყენებს." "აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში ასეთი ინტენსიური საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების არსებობის ფონზე, თბილისის მსგავს ქმედებებს არანაირი ობიექტური შეფასება არ ეძლევა," - დასძინა ღვინჯიამ. **პირველი**

## კახეთიდან თბილისის მიმართულებით მიკროავტობუსები შეუზღუდავად მოძრაობენ

ამ დროისთვის კახეთის რაიონებიდან თბილისის მიმართულებით მიკროავტობუსები და ტაქსები შეუზღუდავად მოძრაობენ. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ავტოსადგურების ხელმძღვანელებმა განუცხადეს, ყველა სამარშრუტო ტაქსი თბილისში დანიშნულ დროს გადის.

ცნობისათვის - 9 აპრილიდან პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო კახეთიდან დედაქალაქის მიმართულებით მიკროავტობუსები შეზღუდვით მოძრაობდნენ. 9 აპრილს ქალაქ გურჯაანსა და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში გურჯაანის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში მიმავალი მიკროავტობუსებიდან მგზავრები ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩამოყარეს.

მგზავრების ცნობით, პოლიციის ავტომანქანები მიკროავტობუსებს წინ გადაუდგნენ და დედაქალაქის მიმართულებით მოძრაობის გაგრძელება აუკრძალეს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი დაკავებით დაემუქრნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კარვების და საკნების ქალაქი

პირველი გვერდიდან


მიხო [illegible] ფოტო

**არ მოვასვენებთ, თუ საჭირო გახდა, სხვაგანაც დავცემთ კარვებს და მერე ვერტმფრენებიდან ნახონ თბილისის მასშტაბით გაშლილი მანიფესტაცია,"** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. მომიტინგეებისთვის მიმართვის შემდეგ გაჩეჩილაძემ რეზიდენციის მეორე მხარეს შეკრებილ ხალხთან გადაინაცვლა. ამჯერად, ოპოზიციის ლიდერები ავტომანქანაში დამონტაჟებული მიკროფონით მიმართავდნენ ხალხს. გაჩეჩილაძემ დემონსტრანტებს პროტესტის გამოხატვის ახალი საშუალებაც გააცნო. **"თბილისი შეიძლება საკნების ქალაქად გადაიქცეს. რეზიდენციის წინ განთავსებულ საკნებში იცხოვრებენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, პოლიტიკოსები და მათთან ერთად რიგითი მოქალაქეები,"** - აღნიშნა გაჩეჩილაძემ. მიმართვის შემდეგ მან ავტომანქანაში ადგილი დაუთმო ირაკლი ალასანიას: **"მოვედით მასთან ახლოს და მოვუწოდებთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანისთვის მიიღოს გადაწყვეტილება. ეს ჩვენი საერთო საქმე დიდი წარმატებით დამთავრდება, რასაც მთელი საქართველო ელოდება."** ირაკლი ალასანია ნინო ბურჯანაძემ შეცვალა. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლებზე. **"ჯარისკაცებო, სპეცრაზმელებო, არ დაიჯეროთ, რომ ჩვენ თქვენი მტრები ვართ. როგორც მე, ასევე არც ერთი აქ მყოფი არასდროს მოგთხოვთ რაიმე უკანონობის ჩადენას, მაგრამ თქვენც ნუ შეასრულებთ უკანონო ბრძანებას, რომლის შესრულების შემთხვევაში, შეიძლება ინანოთ. იმ რამდენიმე ადამიანის გარდა, ვინც ახლა სააკაშვილის გვერდით არის, მივმართავთ რეზიდენციაში მყოფ ყველა ადამიანს, რომ ჩვენ თქვენი დები და ძმები ვართ და ერთად ვიცხოვრებთ უკეთეს საქართველოში,"** - ავტომანქანიდან მიმართა ხალხს ნინო ბურჯანაძემ.

გუშინ ლევან გაჩეჩილაძემ შეკრებილ ხალხს ოპოზიციის მორიგი ულტიმატუმი გააცნო. პოლიტიკურმა ოპოზიციამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ერთდღიანი ვადა მისცა, რათა ხალხს შეუერთდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს 15:00 საათზე ოპოზიცია მომიტინგეებს უმრავლესობის წევრების სიას გააცნობს და დემონსტრანტები მათზე მორალური ზეწოლის მოხდენას ეცდებიან. **"მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი უნდა იდგნენ საქართველოსთან და არა ვიგინდარა სააკაშვილის გვერდით,"** - განაცხადა გაჩეჩილაძემ.

ოპოზიციის აქტივისტებმა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის ორ მხარეს ჯერჯერობით რამდენიმე კარავი განათავსეს. პარალელურად, პარლამენტის წინ ყოველდღიურად დაგეგმილია საპროტესტო აქციების გამართვა.

### სანამ კარვები გაიშლებოდა

გუშინ, დაახლოებით 16:00 საათზე, სანამ მანიფესტანტები პრეზიდენტის რეზიდენციისკენ დაიძვრებოდნენ, რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს ოპოზიციის ლიდერებმა. "ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა თინა ხიდაშელმა საქართველოში მომუშავე ბიზნესმენების პოლიტიკურ პოზიციაზე გაამახვილა ყურადღება. **"ამ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩვენ იმ ბიზნესმენების საკუთრებასაც ვიცავთ, ვინც დღეს ხელისუფლების პოზიციას ახმოვანებს და დაშლისკენ მოგვიწოდებს. მინდა, ვუთხრა ფადი ასლის, რომელიც მსოფლიო ბიზნესის სახელით გველაპარაკება, რომ ყოველი დილა, რომელიც სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში თენდება, მათი ბიზნესისა და მათი კეთილდღეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ ვიბრძვით, რომ საქართველოში კერძო საკუთრება და სიცოცხლის შესაძლებლობა გადავარჩინოთ. იმისთვის, რომ თავისუფლება დავიბრუნოთ, სააკაშვილი უნდა წავიდეს და საქართველოს ახალი ცხოვრების დასაწყებად შანსი მისცეს."** პოლიტიკური ოპოზიციის მომავალი მოქმედებების შესახებ მან ხალხს მიმართა: **"ეს ბრძოლა არ დასრულდება მანამ, სანამ სააკაშვილი, თავის გუნდთან ერთად, არ დატოვებს საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. კოცონი, რომელიც დღეს რუსთაველის გამზირზე ანთია, აუცილებლად აინთება მთელ საქართველოში. ჩვენი მთავარი იარაღი, რომლითაც სააკაშვილს დავამარცხებთ, არის სიმტკიცე."** პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის მართვის შესაძლებლობა ამოწურა. **"თბილისის მერი და მთელი ხელისუფლება არა მხოლოდ უმძიმეს, არამედ მარტივ პრობლემებსაც ვერ აგვარებენ და ქალაქის დასუფთავების უნარიც კი არა აქვთ,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ამის შემდეგ რეჟისორი ქეთი დოლიძე ტრიბუნაზე ცოცხით ხელში გამოვიდა და მიტინგზე შეკრებილ ხალხს მოუწოდა, რომ ხელოვანებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა რუსთაველის გამზირის დასუფთავებაში.

Regional Capacity Building Initiative
Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

# განცხადება

ა.წ. 22 აპრილს ქ. ბათუმში ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის თაობაზე.

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტების მომავალ კონკურსებში.

საინფორმაციო შეხვედრაზე მათი წარმომადგენლის დასწრების მსურველი ორგანიზაციები 18 აპრილამდე უნდა დარეგისტრირდნენ შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტში. ამისთვის მათ უნდა გაგზავნონ ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგ მისამართებზე: ელ-ფოსტა lia.todua@rcbi.info ან dato.ncu@caucasus.net , ან ფაქსი: 250711 ან 399019. წერილში მიეთითოს: "მსურს დავესწრო საინფორმაციო შეხვედრას ბათუმში, 22 აპრილს."

შეხვედრა დაიწყება 11 საათზე და დასრულდება 16 საათზე. მონაწილეთა მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება სამგზავრო ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდებზე http://www.eu-integration.gov.ge აგრეთვე http://www.rcbi.info და http://www.blacksea-cbc.net

# მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები



ავტორიტეტულმა საქმიანმა გამოცემა Forbes-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილესი საზოგადო კომპანიების რეიტინგი, რომელშიც ტრადიციულად 2000 კომპანია შევიდა. ეს რეიტინგი როცა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკები რეცესიაში ჩაიძირნენ.

როგორც ცნობილია, Forbes Global 2000-ში შედის ის კომპანიები, რომელთა აქციები ბირჟებზე ტრიალებს. ექსპერტები რეიტინგში მათ მდგომარეობას საბაზრო კაპიტალიზაციის, აქტივების, შემოსავლების და გაყიდვების მოცულობის მიხედვით ადგენენ. წლევანდელ რეიტინგში 62 ქვეყნის 2000 კომპანია შევიდა. დომინანტი კვლავ აშშ გახლავთ, რომელიც 551 კომპანიითა წარმოდგენილი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კრიზისმა ამერიკის პოზიციები გვარიანად შეარყია. მაგალითად, 2004 წელს, როცა ამგვარი რეიტინგი პირველად შედგა, მასში 750 ამერიკული კომპანია შედიოდა.

აშშ-ს შემდეგ მოდის ჩინეთი, რომელიც რეიტინგში 91 კომპანიითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, რეიტინგში გახლავთ 61 კორეული და 47 ინდური კომპანია. ისიც უნდა ითქვას, რომ რეიტინგში მოიმატა წარმომადგენლობამ ახლო აღმოსავლეთიდან. კერძოდ, მასში 10-10 კომპანია შევიდა ქუვეითიდან, საუდის არაბეთიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებოდან.

მსოფლიოს უმსხვილესი 2000 კომპანიის მთლიანი კაპიტალიზაცია 20 ტრილიონი დოლარი გახლავთ, მათი აქტივები 125 ტრილიონადაა შეფასებული, შემოსავალი კი 32 ტრილიონი გახლავთ. უნდა ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით რეიტინგში შესულტა საერთო კაპიტალიზაციამ 49 პროცენტით მოიკლო, მოგებამ კი 31 პროცენტით.

მიუხედავად საბანკო სექტორში არსებული ურთულესი მდგომარეობისა, რეიტინგში ყველაზე მეტი, 307 კომპანია სწორედ ამ სფეროდან არის წარმოდგენილი. შემდეგ მოდიან ნავთობკომპანიები, კერძოდ, ეს სფერო 126 კომპანიითა წარმოდგენილი.

წლევანდელ რეიტინგში პირველ ადგილზე ამერიკული მრავალპროფილიანი კონგლომერატი General Electric გახლავთ. შარშანდელი ლიდერი, ბრიტანული HSBC Holdings ამჯერად მხოლოდ მეექვსეა, თუმცა, საბანკო სფეროს წარმომადგენელთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი კვლავ მას აქვს. მეორე ბრიტანულ-ნიდერლანდური ნავთობკომპანია Royal Dutch Shell გახლავთ, რომელმაც სფეროს ლიდერის სტატუსი კარგა ხნის დომინაციის სემდეგ ამერიკულ ExxonMobil-ს ჩამოართვა. მესამე იაპონური ავტოგიგანტი Toyota Motor, მეოთხე და მეხუთე ადგილები კი ნავთობკომპანიებს, ამერიკულ ExxonMobil და ბრიტანული BP უკავიათ.

ზემოთ მოხსენიებულთა გარდა რეიტინგის პირველ ათეულში შევიდნენ: AT&T (აშშ, სატელეკომუნიკაციო სფერო), Wal-Mart Stores (აშშ, სავაჭრო სფერო), Banco Santander (ესპანეთი, საბანკო სფერო) და Chevron (აშშ, ნავთობი და გაზი).

# კრიზისმა არტ-ბაზარიც დააზარალა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხელოვნების ნიმუშებზე ფასები 35 პროცენტით შემცირდა. სწორედ ამდენით მოიკლო Mei Moses All Art ინდექსმა, რომელიც ლონდონისა და ნიუ იორკის აუქციონებზე გაყიდვების ფასებს ასახავს.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ნიმუშთა ბაზარმა კრიზისის, რომელიც 2007 წლის ზაფხულში დაიწყო, პირველი წელიწად-ნახევარი არცთუ ურიგოდ გადალახა და გასული წლის ბოლოს 4,5 პროცენტით შემცირდა. შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ S&P 500 საფონდო ინდექსმა 37 პროცენტი დაკარგა. მაგრამ სიტუაცია მიმდინარე წლის დასაწყისში მკვეთრად შეიცვალა, როცა თითქმის ყველა აქტივების ბაზრებზე ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა. ინვესტორებმა, რომლებმაც მძიმე დანაკარგები განიცადეს, ხელოვნების ნიმუშთა გაყიდვა დაიწყეს, რომ ნაღდი ფული მიეღოთ.

ფასები განსაკუთრებით დაეცა ომისშემდგომი პერიოდის და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებზე, რომლებიც ბოლო დროს დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. მათზე ფასების საშუალო წლიური ზრდა უკანასკნელ ათწლეულში 30 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი ფასები ამდენჯერ შემცირდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ არტ-ბაზრისათვის აქამდე ყველაზე რთული 1991 წელი იყო, როცა ფასები 41 პროცენტით შემცირდა.

# ყატარი შეკუმშული გაზის მსოფლიო ბაზრის ლიდერია

ყატარმა მსოფლიო ენერეტიკული ბაზარი ახალ ერაში გადაიყვანა, როცა გუშინ ისტორიაში პირველი შეკუმშული გაზის მომპოვებელი და მწარმოებელი ინტეგრირებული სისტემა Qatargas 2 აამოქმედა. ამ უმსხვილესი საბადოდან გაზი, წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ძირითადად დიდ ბრიტანეთს მიეწოდება. აქ მოპოვებულ "ცისფერ საწვავს" გაერთიანებული სამეფოს ენერგომოთხოვნილების 20 პროცენტის დაკმაყოფილება შეუძლია.

Qatargas 2 მსოფლიოში პირველი, ახალი თაობის ობიექტია, რომელიც შეკუმშულ გაზს აწარმობს. მის მშენებლობაზე 13 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. მისი საწარმოო მოცულობა წელიწადში 15,6 მილიონ ტონა შეკუმშულ გაზს შეადგენს. მისი მთავარი უპირატესობა ის გახლავთ, რომ სხვა, ანალოგიური ქარხნებისაგან განსხვავებით 50 პროცენტით მაღალი წარმადობა აქვს.

Qatargas 2-ის მშენებლობაში უმსხვილესი ენერგოკომპანიები - ადგილობრივი Quatar Petroluem-ი, ამერიკული ExxonMobil-ი და ფრანგული Total-ი მონაწილეობდნენ. მისი ამოქმედებით ყატარი შეკუმშული გაზის მსოფლიო ბაზრის მსოფლიო ლიდერი გახდება. როგორც ინგლისური გამოცემა Sunday Times-ი წერს, 2010 წლისათვის ყატარი შეკუმშული გაზის წარმოების ამჟამინდელ მოცულობას გააორმაგებს და წელიწადში 77 მილიონ ტონამდე გაზრდის.

# გერმანიაში 80 წლის განმავლობაში პირველი ნაციონალიზაცია მზადდება

გასული კვირის ბოლოს გერმანიის მთავრობამ ბანკ Hypo Real Estate Holding AG-ის ნაციონალიზაციისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და მის აქციონერებს ნებაყოფლობოთი შთანთქმა შესთავაზა. ხელისუფლების ანტიკრიზისული ფონდი მზად არის ამ იპოთეკური ბანკის ერთი აქციის სანაცვლოდ 1,39 ევრო გადაიხადოს. არსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მთავრობამ უკვე შეიძინა ბანკის 8,7 პროცენტი. მთლიანობაში HRE გერმანიის მთავრობას 60 მილიონი ევრო დაუჯდება.

ბანკის ნაციონალიზაციის გადაწყვეტილების მისაღებად გადამწყვეტი HRE-ის მიერ 2008 წელს ნაჩვენები შედეგები გახდა. კერძოდ, გერმანიის სიდიდთ მეორე იპოთეკურმა ბანკმა შარშან 5,46 მილიარდი ევროს ოდენობის ზარალი განიცადა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 18 თებერვალს გერმანიის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც მას საშუალებას აძლევს კონტროლი დაამყაროს იმ ბანკებზე, რომლებმაც ფედერალური ბიუჯეტიდან დახმარება მიიღეს. აღსანიშნავია, რომ Hypo Real Estate Holding-ის ნაცინალიზაცია პირველი იქნება, რომელსაც გერმანია უკანასკნელი 80 წლის განმავლობაში განახორციელებს.

# ჩინეთის სავალუტო რეზერვებმა თითქმის 2 ტრილიონს მიაღწია

ჩინეთის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, გასული თვის ბოლოს ქვეყნის სავალუტო რეზერვების მოცულობამ 1,9537 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ამგვარად, ჩინური რეზერვები ერთი წლის განმავლობაში 16 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში ჩინეთის სავალუტო რეზერვების მოცულობა 7,7 მილიარდი დოლარით გაიზარდა, თუმცა, ეს 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 146 მილიარდი დოლარით ნაკლებია. როგორც ცნობილია, ჩინეთს მსოფლიოში უდიდესი სავალუტო რეზერვები აქვს. შემდეგ მოდიან აიპონია და რუსეთი.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყიფითი გავლენა კვლავ მსოფლიო ეკონომიკის მომავლის მიმართ არცთუ ოპტიმისტურმა განწყობამ მოახდინა. გარდა ამისა, ინვესტორები გასული კვირის ბოლოს დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ მოგების ფიქსაციას ახდენდნენ. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,22 პროცენტით, 8.082,25 პუნქტამდე შემცირდა. 0,15 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 1.651,25 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,25 პროცენტით, 855,25 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასმა მოიკლო

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 53,24 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 52,06 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,21 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი გასული კვირის ბოლოს დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ მოგების ფიქსაცია და ფასების კორექცია იყო. გარდა ამისა, გავლენა დოლარის კურსის გამყარებამ და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ ნავთობზე მოთხოვნილების შემცირების შესახებ გაკეთებულმა პროგნოზმა მოახდინა.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 0,15 პროცენტით მოიკლო და 882,1 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,2 პროცენტით, 12,15 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,35 პროცენტით, 1194,2 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 0,2 პროცენტით, 229,3 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი დოლარის კურსის გამყარება და ნავთობის გაიაფება იყო. გარდა ამისა, გავლენა ფასების კორექციამაც მოახდინა.

## ლატვიაში უმუშევრობა მძვინვარებს

გასული თვის ბოლოს ლატვიაში უმუშევრობის მაჩვენებელმა 10,7 პროცენტს მიაღწია, რაც 117 ათას ადამიანს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში უმუშევრობა ყოველდღიურად იზრდება, ხოლო ვაკანტური სამუშაო ადგილების რაოდენობამ შესაძლებელ მინიმუმს - 2 ათასს მიაღწია და ერთ ვაკანტურ ადგილზე 36-დან 60-მდე ადამიანი აცხადებს პრეტენზიას.

ანალიტიკოსთა პროგნოზების მიხედვით, ლატვიაში, რომლის მოსახლეობა 2,3 მილიონ ადამიანს შეადგენს, უმუშევრობამ, შესაძლოა, წლის ბოლოსთვის 14 პროცენტს - 130 ათას ადამიანს მიაღწიოს. ამასთან, უმუშევრობის ზრდასთან ერთად, ქვეყანას, შესაძლოა, სოციალური დახმარებების გასაცემად სახსრები არ ეყოს. მხოლოდ 2009 წელს ამ თვალსაზრისით ფინანსური სახსრების დეფიციტმა, შესაძლოა, 47 მილიონი ლატი (94 მილიონი დოლარი) შეადგინოს.

როგორც ცნობილია, გლობალური ფინანსური კრიზისისაგან ლატვია ძალიან დაზარალდა. გასულ წელს ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობა 4,6 პროცენტით შემცირდა, მაშინ, როცა 2007 წელს 10,2 პროცენტიანი ზრდა გახლდათ დაფიქსირებული. მიმდინარე წელს ქვეყნის ეკონომიკა, შეიძლება, მტავრობის მიერ პროგნოზირებულ 12 პროცენტზე მეტად შემცირდეს.

## ამერიკული ქალაქები კრიზისს საკუთარი ვალუტით ებრძვიან

როგორც The Daily Telegraph იუწყება, ზოგიერთმა ამერიკულმა ქალაქმა გაიხსენა ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის ძველი, 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში გამოგონილი მეთოდი. კერძოდ, ნიუ იორკის შტატის ქალაქმა იტაკამ, ჩრდილო კაროლინურმა პლენტინ და კიდევ რამდენიმე ქალაქმა საკუთარი ვალუტის ბეჭვდვა დაიწყეს რომელმაც დოლარი დროებით უნდა შეცვალოს.

ქალაქების ადგილობრივი ვალუტა, როგორც წესი, დოლარის კურსთან დაკავშირებული არ არის. ამგვარი ფულის გამოყენება ხელს უწყობს ვაჭრობას, ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას და კრედიტირებას. ქალაქური ვალუტა მასშტაბური ერთიანი მსოფლიო ვალუტის ექვივალენტურია, რომლის შემოღებასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ითხოვს.

ქალქური ვალუტის შექმნასა და გამოყენებას აშშ-ს კანონმდებლობა არ კრძალავს. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ საკუთარი ვალუტა ნებისმიერი რაოდენობითა და ვადით ბეჭდონ, მხოლოდ, ბანკნოტები გარეგნულად უნდა განსხვავდებოდეს დოლარისაგან. ამასთან, ქალაქებს მონეტების გამოშვების უფლება არ აქვთ.

ხშირ შემთხვევაში ქალაქის ერთი ქულადის სანაცვლოდ მცხოვრებლები 90-დან 95 ცენტამდე იხდიან. შეძენილი ბანკნოტი კი ისეთივე მსყიდველობითუნარიანია, როგორც ერთი დოლარი. თუმცა, ახალ ვალუტას იყენებენ არა ყველა მაღაზიაში, არამედ მხოლოდ იმ სავაჭრო ქსელებში, რომლებიც მუნიციპალიტეტის ფულად პროგრამაში მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ უახლეს ისტორიაში ამგვარი რამ პრაქტიკაში ბრიტანეთში გამოიყენეს. კერძოდ, 2008 წლის 9 სექტემბრიდან ინგლისურ ქალაქ ლიუისში ბრუნვაში შემოიღეს ლიუისური ფუნტი. იგი, როგორც ქალაქში თვლიან, ინფლაციის და ფინანსურ ბაზრებზე რყევების წინ აღდგომის საშუალებას იძლევა.

## სამტრედიის რაიონში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1958 წელს დაბადებული, თაღლითობისთვის ორჯერ ნასამართლევი გიორგი გეგუჩაძე დააკავეს, რომელმაც 2008 წლის 14 ნოემბერს ანგარების მიზნით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით 1961 წელს დაბადებული თეიმურაზ მდინარაძე მოკლა, მკვლელობის შემდეგ კი 6000 აშშ დოლარი გაიტაცა. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა. გამოძიება სსკ-ის 109-ე მუხლით მიმდინარეობს. მას შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. **პირველი**

## ინცინდენტი მიტინგზე

პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას მკვიდრს ჯანიკო დვალს გუშინ გაურკვეველმა პირმა თავის არეში ჭრილობა მიაყენა. გავრცელებული ინფორმაციით, უცნობი პირი ჯანიკო დვალთან მივიდა და აქციაზე ყოფნის მიზეზი ჰკითხა, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ოპოზიციონერი იყო, უცნობი გაღიზიანდა და თავის არეში დანის ტარი ჩაარტყა. **პირველი**

## დამატებითი მასალები სტრასბურგში

ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლოში ქონების აუქციონზე გატანის შეჩერების მოთხოვნით დამატებითი მასალები გაგზავნეს.

"მოგეხსენებათ, რომ ქიბარ ხალვაშის დაყადაღებულ ქონებას მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია 13 მაისს აუქციონზე გაიტანს. სტრასბურგის სასამართლოს დამატებითი მასალები გავუგზავნეთ იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონი მართლაც დაინიშნა. ჩვენ ვითხოვთ, შეჩერდეს ქონების აუქციონზე გატანის პროცესი, სანამ სტრასბურგის სასამართლო საქმის განხილვას არ დაასრულებს. სამი სამუშაო დღის ვადაში მივიღებთ პასუხს და იმედი გვაქვს, სტრასბურგში კიდევ ერთი სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული," - განაცხადა ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ.

ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის კომპანიების შპს "არტისა" და შპს "პრიზას" ქონება სახელმწიფომ დააყადაღა. უახლოეს მომავალში ის აუქციონზე გავა გასაყიდად. "არტის" საწყისი ფასი - 13 196 900 ლარს, ხოლო "პრიზასი" 9 557 973 ლარს შეადგენს. **პირველი**

## საჯარო სკოლის შენობაში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ

ინციდენტი მოხდა გორის რაიონის სოფელ აძვში. ღამით დაახლოებით 11 საათზე საჯარო სკოლის შენობაში 3 შეიარაღებული ნიღბიანი შეიჭრა, რომლებიც ოსურ ენაზე საუბრობდნენ. მათ სკოლის დარაჯს ჯამბულ ხომასურიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და იარაღის მუქარით აიძულეს საკლასო ოთახის კარი გაეღო, სადაც სკოლის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა ინახებოდა.

თავდამსხმელებმა ნაცემი სკოლის დარაჯი სარდაფში ჩაკეტეს და 7 კომპიუტერი გაიტაცეს. ისინი აძვის მოსაზღვრე ოსურ სოფელ არცევის მიმართულებით მიიმალნენ. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მტკვარმა ორი ცხედარი გამორიყა

ზაჰესის ხიდიდან ერთი თვის წინ გადამხტარი 15 წლის გოგონას ცხედარი ნაპოვნია. ნათია შერმადინის ცხედარი მტკვარში, მეტეხის ხიდთან, გუშინწინ, გვიან ღამით, მებადურებმა შენიშნეს. გარდაცვლილს თან აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა, რომლითაც პიროვნების იდენტურობა დადასტურდა. ნათია შერმადინის ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული. მტკვარმა კიდევ ერთი გარდაცვლილის ცხედარი გამორიყა. დაახლოებით 70 წლის ქალბატონის ცხედარი წყლიდან გუშინ ამოიყვანეს. გარდაცვლილის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. წინასწარი დათვალიერების შედეგების მიხედვით, ინციდენტი რამდენიმე დღის მომხდარი უნდა იყოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინეთის მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამა შეიმუშავა

ჩინეთის მთავრობამ მოქმედების პირველი პროგრამა მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში. პროგრამა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს პრეს-კანცელარიამ გამოაქვეყნა, 2009-2010 წლებზეა გათვლილი და მოქალაქეების, პატიმრების, ინვალიდების უფლებების დაცვისა და მუშაობის უფლებების მხრივ ქვეყანაში სიტუაციის გამოსწორებას ითვალისწინებს. ჩინეთის ხელისუფლება ასევე გეგმავს გააძლიეროს კონტროლი სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე. პროგრამაში ცალკეულ პუნქტადაა გამოყოფილი დამატებითი დახმარების გაწევა 2008 წელს სიჩუანში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ხშირად ხვდება საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის ქვეშ, საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაუცველობის გამო. **მედიანიუსი**

## კონკურსი თარჯიმნების ვაკანსიებზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ თარჯიმნების ვაკანსიებზე კონკურსი გამოაცხადა. ვაკანსიებია შემდეგი ენების სპეციალისტებისათვის: ესპანური, ინგლისური, ბერძნული, გერმანული, თურქული, ფრანგული, იტალიური, რუსული, ჩინური, პორტუგალიური, სპარსული, რუმინული, ჰოლანდიური, არაბული, ჩეხური, უკრაინული. საკონკურსო მოთხოვნებია: ოფიციალურ დოკუმენტებზე თარჯიმნად მუშაობის 2 წლის გამოცდილება; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა და თარგმნა შესაბამის ენაზე. დაინტერესებულმა პირებმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 20 აპრილამდე უნდა მიმართონ და შესაბამისი საბუთები წარადგინონ. დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ევროსასამართლო საქართველოს სარჩელს 16 აპრილს განიხილავს

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს სარჩელის ზეპირ განხილვას 16 აპრილს დაიწყებს.*



*დეპორტაცია 4634 ქართველს შეეხო.*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, 16 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიმართება ზეპირი მოსმენა საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით (პირველი სარჩელი, განაცხადის N 13255/07), რომელიც ეხება 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მასობრივ დეპორტაციას და მათ მიმართ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას.

ევროსასამართლოში სარჩელი საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 26 მარტს შეიტანა. სარჩელი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შემდეგი მუხლების დარღვევას: კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-18 (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლებს, აგრეთვე პირველი დამატებითი ოქმის პირველ (საკუთრების უფლება), მე-2 (განათლების უფლება), მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე-7 დამატებითი ოქმის პირველ (უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები) მუხლებს.

16 აპრილს სტრასბურგის სასამართლო იმსჯელებს სარჩელის დასაშვებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელს სტრასბურგის სასამართლო დასაშვებად ცნობს, დაიწყება მისი არსებითი განხილვა.

გარდა იუსტიციის სამინისტროს სარჩელისა, სტრასბურგში ინდივიდუალური განაცხადები გააგზავნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც .

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის სოფო ჯაფარიძის თქმით, სახელმწიფო სარჩელის დასაშვებად ცნობის შემდეგ, ევროსასამართლო ინდივიდუალური სარჩელების განხილვას დაიწყებს, რომლებშიც, ფაქტობრივად, ამავე დარღვევებზეა საუბარი, რაზეც სახელმწიფოს მიერ გაგზავნილ განაცხადში. სოფო ჯაფარიძის განცხადებით, მათ მიერ გაგზავნილი განაცხადის ბედი სახელმწიფო სარჩელის განხილვისას მიღებულ გადაწყვეტილებაზე დიდადაა დამოკიდებული.

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი გამოძევება, 2006 წლის სექტემბერში, თბილისში ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებას მოჰყვა.

არსებული ინფორმაციით, 2007 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, დეპორტაცია 4634 ქართველს შეეხო.

ქართული მხარის სარჩელს მოსკოვში აბსურდულად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ სარჩელი რუსეთ-საქართველოს შორის ისედაც გაფუჭებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესებას ისახავს მიზნად.

***საკუთარი ინფორმაცია***

# საზოგადოებრივი ადვოკატურის სტატისტიკა

*2009 წლის პირველ სამ თვეში იურიდიული დახმარების სამსახური ოთხი ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა. საზოგადოებრივი ადვოკატურის ინფორმაციით, თბილისის, კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის-ზესტაფონის, იმერეთის-ქუთაისის, სამეგრელოს-ზუგდიდის, სამეგრელოს-ფოთისა და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროებმა სულ წარმოებაში 1800-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე მიიღეს.*




სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საზოგადოებრივი ადვოკატების დანიშვნის მოთხოვნის 44 პროცენტი სასამართლოზე მოდის, 42 პროცენტი გამოძიებაზე, ერთი პროცენტი პროკურატურაზე, ხოლო 13 პროცენტი მოქალაქეებზე მოდის.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის მომსახურებით ისარგებლა 92 არასრულწლოვანმა.

იურიდიული დახმარების ბიუროებს, კერძოდ, ოზურგეთისა და ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრებს სამართლებრივი კონსულტაციებისათვის 1600-ზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. მოქალაქეთა 8 პროცენტმა სატელეფონო, ხოლო 92 პროცენტმა პირადი კონსულტაციით ისარგებლა. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებმა 500-ზე მეტი სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის განცხადებები და შუამდგომლობები შეადგინეს.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. უფასო იურიდიული კონსულტაციით სარგებლობა საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს შეუძლია, უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ყველა დაკავებულს, ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს, რომელიც ამავდროულად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული და მისი სარეიტინგო ქულა 70 ათასს ან ნაკლებს, აგრეთვე გარკვეული კატეგორიების პირთათვის 100 ათასს ან ნაკლებს შეადგენს.

***საკუთარი ინფორმაცია***

# თავისუფლება აღიარების სანაცვლოდ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 34 წლის ელისო საბაური საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. მას ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე გასაღებაში.

ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის საფუძველზეც, სასამართლომ ელისო საბაურს დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, 5 წელი პირობითი მსჯავრი და 10000 ლარი ჯარიმა შეუფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მეორე განაჩენით, პატიმარი ანდრიას საგრადიანი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა. საგრადიანს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ედებოდა ბრალად. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად გირაო 2000 ლარი შეუფარდა, თუმცა საგრადიანმა ამ თანხის გადახდა ვერ შეძლო და მას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღკვეთი ღონისძიება გირაო პატიმრობით შეეცვალა. განსასჯელი სრულად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. სასამართლომ გაითვალისწინა მის მიერ დანაშაულის აღიარება და დანიშნული სასჯელი 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - 1 წელი პირობითი მსჯავრით შეუცვალა და სასამართლო სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

***საკუთარი ინფორმაცია***

# მოლდოვაში ხმებს მაინც გადათვლიან

ია შილაკაძე

მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ 5 აპრილის საპარლამენტო არჩევნებზე მიცემული ხმების ხელახალი გადათვლის გადაწყვეტილება მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ დუმიტრუ პულბერემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული და ის 9 დღეში უნდა განხორციელდეს. პარალელურ რეჟიმში შემოწმდება ამომრჩეველთა სიებიც.

ამას ოპოზიცია არჩევნების დღიდანვე ითხოვდა. ისინი ამტკიცებენ, რომ სიები ძალიან გაბერილია გარდაცვლილთა ხარჯზე. თავიდან, 7 აპრილს ხელისუფლება თითქოს დაეთანხმა ამ მოთხოვნას, მაგრამ იმავე საღამოს პირობა დაარღვია და ხმების გადათვლაზე უარი თქვა. ახლა კი ამ მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს თვითონ პრეზიდენტმა ვორონინმა მიმართა. შესაძლოა, მას იმის იმედი აქვს, რომ ამ დღეებში საარჩევნო კომისიამ "ტექნიკური პრობლემები" მოაგვარა და ხმების გადათვლა "შედეგზე" არ იმოქმედებს.

მოლდოვას ოპოზიცია კი 7 აპრილის დარბევას ხელისუფლების მიერ ორგანიზებულად მიიჩნევს და ამ მოვლენებს 1933 წელს ჰიტლერის მიერ რაიხსტაგში ხანძრის გაჩენას ადარებს. კერძოდ, ალიანს "ჩვენი მოლდოვას" ლიდერი, კიშინიოვის ყოფილი მერი სერაფიმ ურეკიანუ ამტკიცებს, რომ დარბევაში მონაწილეობდნენ როგორც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, ასევე ფორმიანი პოლიციელები და უშიშროების თანამშრომლები. მან განაცხადა, რომ ოპოზიციას აქვს ფირი, სადაც პოლიციელი დგას იმ ხალხის გვერდით, ვინც ევროკავშირის დროშას ამაგრებდა პრეზიდენტის სასახლის თავზე. ფირზე აღბეჭდილია, როგორ უბრუნებდნენ პოლიციელები უკან ქვებს დემონსტრანტებს, რომ ამ უკანასკნელთ ისინი კვლავ ესროლათ პრეზიდენტის სასახლისთვის, როგორ დაიხიეს უკან და მიუშვეს ხალხი სამთავრობო შენობების დასარბევად. უფრო მეტიც, სერაფიმ ურეკიანუმ უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ფრაქციის წევრები პარლამენტში იმყოფებოდნენ 7 აპრილს საღამოს 20:00 საათზე, როცა შენობა უკვე დაცლილი იყო ხალხისგან და მას მთლიანად პოლიცია და უშიშროება აკონტროლებდა. ამ დროისთვის დარბეული იყო მხოლოდ პირველი სართული, მეორე კი ნაწილობრივ. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა კაბინეტები უვნებელი დაკეტეს და შენობა დატოვეს, ხოლო დილას მათ საკუთარი ზედა სართულებზე განლაგებული კაბინეტები დარბეული და გაძარცვული დახვდათ (?). ზარალი 27 მილიონ დოლარადაა შეფასებული. საინტერესოა, რომ სამთავრობო შენობების აღდგენის კონტრაქტი, ცხადია ყოველგვარი ტენდერის გარეშე გაუფორმეს ვორონინის შვილის სამშენებლო კომპანია "გლორიალს".

რაც შეეხება ცნობებს გაყალბების შესახებ, ურეკიანუს სიტყვებით, სიებში იყვნენ ბოლო 10 წლის განმავლობაში გარდაცვლილი ადამიანები, ხმების 8 პროცენტი დამატებითი სიების საშუალებით იქნა მიღებული, უცხოეთიდან (იტალია, რუმინეთი) ჩამოტანილი შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა 90 პროცენტმა ხმა "კომუნისტებს" მისცა, რაც აბსოლუტურად არარეალურია და ეს ყველაფერი იმ პირობებში, როცა მოსახლეობის 76 პროცენტი, სოციოლოგიური გამოკითხვებით, ევროპასთან ინტეგრაციის მომხრეა.




AFP ' 2009

# ობამას ნახევარძმა ბრიტანეთში არ შეუშვეს

მარიკა იაშვილი

აშშ-ს პრეზინდეტ ბარაკ ობამას ნახევარძმას დიდ ბრიტანეთში შესვლის ნება არ მისცეს. ვიზაზე უარის თქმის მიზეზი ის გახდა, რომ გასული წლის ნოემბერში ის ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სერიოზულ დანაშაულში იყო ბრალდებული.

სამსონ ობამა, რომელიც კენიაში ცხოვრობს, აღმოსავლეთ მიდლენდსის აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როცა მიმდინარე წლის იანვარში აშშ-ში, პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიდიოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ის ბრიტანელი გოგონას გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი. დაკავებისას მან პოლიციას ჰენრი ელოს სახელზე გაცემული ყალბი დოკუმენტები წარუდგინა. ცნობილია, რომ ის დაკითხეს, თუმცა ბერკშირში მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სამსონ ობამას ვიზაზე უარი მას შემდეგ უთხრეს, რაც იმიგრაციის ოფიცერმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი დოკუმეტი ყალბი იყო. ამის გამო შემდგომი გამოძიება დაიწყო.

სამსონ ობამა, რომელსაც ნაირობიში მობილური ტელეფონების მაღაზია აქვს, ვაშინგტონში ჩასვლამდე ბრიტანეთში ცოტა ხნით გაჩერებას გეგმავდა. მან აშშ-ში ჩასასვლელად ისეთი რეისი აირჩია, რომლითაც დიდ ბრიტანეთში გადაჯდომა ქვეყანაში ფორმალური შესვლის გარეშე შეიძლებოდა.

ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენელი აცხადებს, რომ ბრიტანეთი ყოველთვის შეუშლის ხელს ქვეყანაში იმ პირთა შესვლას, ვინც შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგისთვის სახიფათო იყოს.

ბრიტანეთის მთავრობამ მომხდარის შესახებ თეთრ სახლს შეატყობინა, მაგრამ ამერიკელთა მხრიდან ერთადერთი კომენტარი გაკეთდა - ობამას თავის ნახევარძმასთან ურთიერთობა წლების განმავლობაში აღარ ჰქონია.

აშშ-ს პრეზინდეტს, სამსონ ობამას გარდა, კიდევ რამდენიმე ნახევარძმა ჰყავს.

ბარაკ ობამას მშობლები მაშინ გაშორდნენ, როდესაც ის ორი წლის იყო. მამამისმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი კენიაში გაატარა. მომდევნო სამი ქორწინებიდან მას კიდევ რამდენიმე შვილი შეეძინა. უფროსი ობამა 1982 წელს ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა.

# თურქეთში გადატრიალების მცდელობისთვის პროფესორებს აპატიმრებენ

ია შილაკაძე

ორშაბათს თურქეთის პოლიციამ სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში მონაწილეობის ბრალდებით 21 კაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულებს შორის მოხვდნენ კერძო უნივერსიტეტის მფლობელი და პროფესორი, აგრეთვე უნივერსიტეტის ორი ლექტორი. პოლიციელებმა გაჩხრიკეს აგრეთვე ტელეარხ "Kanal B"-ს რედაქცია და ანტიკლერიკალური ასოციაციის შტაბ-ბინა (რომელიც ცხოვრების თანამედროვე სტილს უჭერს მხარს). სამართალდამცავებს ეჭვი აქვთ, რომ დაკავებულები ცდილობდნენ სახალხო გამოსვლების ორგანიზებას, რათა ყოფილ სამხედრო ხელმძღვანელებს ქვეყანაში ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოეხერხებინათ.

თურქეთის ხელისუფლება გადამდგარი გენერლების ჯგუფს მთავრობის ჩამოგდების მცდელობაში სდებს ბრალს და ამ საქმეზე 2007 წლის დასაწყისიდან 200 კაცზე მეტია დაპატიმრებული. ისინი საიდუმლო ორგანიზაცია "ერგენეკონის" წევრობაში არიან ეჭვმიტანილები.

ხელისუფლების წევრები ამტკიცებენ, რომ შეთქმულთა შორის იყვნენ მაღალი რანგის ოფიცრები და პოლიციელები, ჟურნალისტები, განათლებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები.

86 ეჭვმიტანილი უკვე სასამართლოს წინაშე წარდგა და მათი პროცესი მიმდინარეობს. ამ დაპატიმრებებს დაკავებულთა მომხრეები პოლიტიკურს უწოდებენ. მათი აზრით, ზომიერი ისლამისტების მთავრობა ამ გზით ოპოზიციის დათრგუნვას ცდილობს. ზოგიერთი დაკავებული ადრე მართლაც მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში და მმართველ "სამართლიანობისა და განვითარების პარტიას" საერო სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების შარიათის ნორმებით შეცვლაში ადანაშაულებდა.

სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ცისანა შარტავას ღრმა მწუხარებაში მამის - **კალისტრატე შარტავას** გარდაცვალების გამო.

# ტაილანდში დემონსტრაციას სამხედროები შლიან

მარიკა იაშვილი

ტაილანდის არმიის მცდელობა, ბანგკოკის ქუჩებში რამდენიმე დღის განმავლობაში არსებული მასობრივი არეულობისთვის ბოლო მოეღო, თითქმის სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

ჯარისკაცები ქუჩებში საბრძოლო ტყვიებს ისვრიან და ხშირად დემონსტრანტების მიმართულებითაც, რომლებმაც ქალაქის მთავარი სატრანსპორტო კვანძი გადაკეტეს.

შეიარაღებული ძალები ცდილობენ დემონსტრანტები წყლის ჭავლის, ცრემლსადენი გაზისა და ხელკეტების გამოყენებით განდევნონ ბანგკოკის ცენტრალური - დინ დაენგის გზაჯვარედინიდან, რომელიც ნამდვილ ბრძოლის ველად იქცა. ორი სერიოზული შეტაკების შედეგად ტაილანდის არმიამ ქვეყნის ყველა სტრატეგიული ობიექტი ჩაიგდო ხელში, მათ შორის დედაქალაქის ორი აეროპორტიც.

დემონსტრაციის მონაწილეები, თავის მხრივ, ჯარისკაცებს ცეცხლმოკიდებულ ბოთლებს ესვრიან და ცდილობენ, მათი ჯაჭვი გატაცებული ავტობუსებით გაარღვიონ.

მანიფესტანტებმა დინ დონგის გზაჯვარედინზე სამგზავრო ავტობუსი დაწვეს. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, მათ განკარგულებაშია ორი სატვირთო მანქანა, რომლებსაც გაზი გადაჰქონდათ. ისინი მათი აფეთქებით ან გაზის გამოშვებით იმუქრებოდნენ. დემონსტრანტები თავის ქმედებებს "დემოკრატიისთვის უკანასკნელ ბრძოლას" უწოდებენ.

ტაილანდის შეიარაღებული ძალების მეთაური სონგკიტი ჩაკაბაკრი თანამემამულეებს ქვეყანაში მშვიდობის "ნებისმიერი შესაძლებელი გზით" აღდგენისკენ მოუწოდებს. ამავე დროს სატელევიზიო ეთერით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ სამხედროები იარაღს მხოლოდ თავდაცვისთვის გამოიყენებენ.

**"ჩვენ იარაღს ხალხის საზიანოდ არ გამოვიყენებთ, ჩვენ გვესმის, რომ ისინიც ტაილანდის მოქალაქეები არიან. მათ უფლებებს პატივს ვცემთ. იარაღს მხოლოდ თავდაცვისთვის გამოვიყენებთ. ჩვენ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ, რათა ჩვენი მოქალაქეების უფლებები დავიცვათ,"** - კატეგორიულად განაცხადა ჩაკაბაკრმა.

ოპოზიციის ოფიციალური წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ტყვიამ რამდენიმე დემონსტრანტი იმსხვერპლა. თუმცა ეს ფაქტი ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა. ხელისუფლების მტკიცებით, აქციის მონაწილეებს შორის გარდაცვლილები არ არიან.

თუმცა ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ღამე მომხდარი შეტაკების შემდეგ ორშაბათს დილით სამხედროებმა ხალხის მიმართულებით ცეცხლი მართლაც გახსნეს.

მანიფესტაციის დროს სამოცდაათზე მეტი ადამიანი დაიჭრა. ტაილანდის საავადმყოფოებში ღამით 74 ადამიანი გადაიყვანეს, მათ შორის რამდენიმე ტყვიით იყო დაჭრილი.

დემონსტრანციის მონაწილეთა დასაშლელად სამხედროებმა ცრემლსადენი გაზი და საბრძოლო ვაზნები გამოიყენეს. მოწმეები ჰყვებიან, რომ ისინი შეტევაზე ადგილობრივი დროით დილის 4:00-დან 5:00 საათამდე გადავიდნენ.

**"ზოგი ჯარისკაცი ჰაერში ისროდა, ზოგი კი ხალხის მიმართულებით. წითელ მაისურებში გამოწყობილი აქციის მონაწილეები ქუჩებში არეულად გაიფანტნენ,"** - ჰყვებიან თვითმხილველები.

პარტია "გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტის" ლიდერი ჩაკრაპობ პენკაირი, რომელიც ტაილანდის ხელისუფლებიდან ჩამოშორებული პრემიერის ტაქსინ ჩინატავას მხარდამჭერია, ქვეყნის არმიას დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებულად გამოყენებაში ადანაშაულებს. **"ჩვენ ბოლომდე ვიდგებით,"** - ამბობს პენკაირი.

ტაილანდის არმიის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი სუნსერნ კეკუმნერდი ადასტურებს, რომ 300 მანიფესტანტის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციაში 400 ჯარისკაცი მონაწილეობდა. მეთაურის განცხადებით, დემონსტრანტები ცდილობდნენ, ჯარისკაცებს მანქანებით დაჯახებოდნენ. პოლკოვნიკის განმარტებით, ჯარისკაცებმა ცეცხლი დემონტრანტთა თავდასხმისგან თავის დასაცავად გახსნეს.

**"ხელისუფლების ინსტრუქციის მიხედვით, ჩვენ ადამიანთა შორის მსხვერპლს ვერიდებით,"** - აცხადებენ ტაილანდის არმიაში.

კვირას სატელევიზიო გამოსვლაში პრემიერ-მინისტრმა აბხისტ ვეტჩაჩივამ მოქალაქეებს მოუწოდა, პანიკაში არ ჩავარდნენ და ხელისუფლებას კრიზისის დაძლევაში დაეხმარონ.

პრემიერის თქმით, მომდევნო სამი დღის განმავლობაში მთავრობა **"ქვეყანაში მშვიდობისა და წესრიგის დაბრუნებაზე მუშაობას გააგრძელებს."**

ტაილანდში ანტისამთავრობო აქციები მთელი გასული კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, შაბათს დემონსტრანტებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის სამიტი ჩაშალეს.



AFP ' 2009

# ნეთანიაჰუ პალესტინელებთან მოლაპარაკებისთვის მზად არის

ისრაელის ახალი პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელიც მოვალეობის შესრულებას მიმდინარე წლის 31 მარტს შეუდგა, მზად არის, პალესტინელებთან მშვიდობიანი დიალოგი განაახლოს. პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურ მაჰმუდ აბასთან პირველი სატელეფონო საუბრისას ისრაელის მთავრობის მეთაურმა **"ძველი თანამშრომლობის მაგალითები გაიხსენა და განაცხადა, რომ მზად არის მომავალში დიალოგი განაახლოს,"** - ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

საუბრის ინიციატივით პალესტინელი ლიდერი გამოვიდა, ნეთანიაჰუს კანცელარიაში კი ამ ჟესტს **"მეგობრული და თბილი"** უწოდეს.

ზოგი ექსპერტი მიგვანიშნებს, რომ უახლოეს მომავალში ისრაელსა და პალესტინას შორის წარმატებული თანამშრომლობის იმედი არ არსებობს და ამას არაერთი მიზეზი აქვს. მაგალითისთვის, ქვეყნის ახალ პრემიერს ჯერ კიდევ არ გამოუხატავს თანხმობა დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, ეს კი ის საკითხია, რომელიც მშვიდობიანი რეგულირების შესახებ შეთავაზებული ყველა წინადადების საფუძველში დევს.

ნეთანიაჰუ ფართო "მმართველ კოალიციას" ხელმძღვანელობს, რომელშიც მემარჯვენე ცენტრისტული, მემარცხენე ცენტრისტული და უკიდურესი მემარჯვენე პარტიები შედიან.

საარჩევნო კამპანიის დროს ის აცხადებდა, რომ პალესტინელებთან სასაუბროდ მზად იყო, თუმცა პალესტინურ სახელმწიფოზე ლაპარაკს ნაადრევად მიიჩნევდა. ამის ნაცვლად ის მოწინააღმდეგეებს "ეკონომიკურ ზავს" სთავაზობდა.

ამავდროულად ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი, რომელიც უკიდურეს მემარჯვენე პარტიას "ჩვენი სახლი - ისრაელი" ხელძღვანელობს, უარყოფს მშვიდობიან ინიციატივებს, რომლებსაც აშშ-ს ადმინისტრაცია მუდმივად აყენებს. ლიბერმანის თქმით, ისრაელის წინა მთავრობის მიერ გაცემული თანხმობა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, აუცილებლად შესასრულებელი არ არის.

შაბათს პალესტინელთა წარმომადგენელმა მშვიდობიანი რეგულირების საკითხებში საებ ერექათიმ განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობის თანხმობა დამოუკიდებელ პალესტინურ სახელმწიფოსთან თანაარსებობაზე, მოლაპარაკებათა აღდგენის მთავარი წინაპირობაა.




AFP ' 2009

*ბენიამინ ნეთანიაჰუ*

# რევიუ



AFP ' 2009

ზუსტად 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუვრის მოედანზე თანამედროვე კონსტრუქცია - მინის უზარმაზარი პირამიდა გაჩნდა. თავის დროზე ამ ნაგებობის ლუვრის მოედანზე დადგმას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა დროთა განმავლობაში პირამიდა ამ ადგილს ისე შეერწყა, რომ ტრიუმფალური თაღისა და ეიფელის კოშკის შემდეგ პარიზის ღირშესანიშნაობად იქცა და ტურისტების დიდ ინტერესსაც იწვევს. პირამიდის ავტორი ამერიკელი კონცეპტუალისტი არქიტექტორი ჭენი ჰოზლერია.

## ვირტუალური ბენდი

### Guitar Hero: Smash Hits ზაფხულში გამოვა

კომპანია Activision-მა უკვე დაასახელა კონკრეტული დღე, როდესაც სიმულატორ Guitar Hero-ს მოყვარულები სრულიად ახალ და რაც მთავარია საუკეთესო ჰიტებისგან შემდგარ თამაშს მიიღებენ. თამაში სახელწოდებით Guitar Hero: Smash Hits 16 ივნისს გამოვა და მომხმარებელს უამრავ სიურპრიზს ჰპირდება. თამაში განკუთვნილი იქნება PlayStation 3-სთვის, PlayStation 2-სთვის, Xbox 360-სა და Wii-სთვის.

თამაშის ავტორების თქმით, მასში 48 საუკეთესო კომპოზიცია გაერთიანდება, რომლებიც ამ თამაშის სხვადასხვა ნაწილებიდანაა ამოკრეფილი. ხოლო მათი სია მომხარებლის გამოკითხვის შედეგად არის შედგენილი. ცნობილია ისიც, რომ თამაშს რამდენიმე მომხმარებლის ფუნქციაც ახლავს, რაც გეიმერს ონლაინში თამაშისა და სხვასთან შეჯიბრის საშუალებას მისცემს. ყველაზე დიდი სიურპრიზი კი ისაა, რომ თამაშს მოჰყვება არა მხოლოდ გიტარის, არამედ მიკროფონისა და დრამის გამოყენების ფუნქციაც (ეს ინსტრუმენტები, ისევე როგორც გიტარა, დამატებით იყიდება). როგორც ხედავთ, Guitar Hero: Smash Hits იმის საშუალებას იძლევა, რომ საკუთარი ვირტუალური ბენდი ჩამოაყალიბოთ.




Guitar Hero თამაში სიმულატორია. მოთამაშეს სპეციალური პლასტიკატის გიტარის საშუალებით შეუძლია სხვადასხვა კომპოზიციები შეასრულოს, ნოტების ბილიკი კი ეკრანზე, გიტარის გრიფის გამოსახულებაზე მოჩანს. თამაში იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომ მასში საკუთარი სიმღერის შეტანა პრესტიჟულადაც მიიჩნევა. გარდა ამისა, ცნობილი ჯგუფები თავიანთი სახელობის Guitar Hero-საც უშვებენ. მაგალითად, არსებობს Guitar Hero: Metallica და Guitar Hero: Aerosmith (სხვათა შორის, ამ თამაშმა იმაზე მეტი შემოსავალი მოიტანა, ვიდრე "აეროსმიტის" ბოლო ალბომმა). პირველი მათგანის გამოშვება მიმდინარე წლის მაისშია დაგეგმილი. მასში გაერთიანებული იქნება ამ ჯგუფის 28 ყველაზე ცნობილი კომპოზიცია და დამატებით 17 სიმღერა. მათი ავტორები ის ჯგუფები არიან, რომლებმაც "მეტალიკას" შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინეს.

დღემდე Guitar Hero-ს ყველაზე წარმატებულ ნაწილად ორიოდე წლის წინ გამოსული Guitar Hero III: Legends of Rock მიიჩნეოდა. ეს პირველი ვიდეო თამაშია, რომლის შემოსავლებმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა და მილიარდ დოლარს გადასცდა. ასეთი პოპულარობის მიზეზი კი ცხადია მასში შესული ჯგუფების მუსიკა იქცა. მათ შორისა არიან: Kiss, Cream, Rage Against The Machine, The Killers, The Who, The Rolling Stones, Black Sabbath, The Sex Pistols, Sonic Youth, Pearl Jam, Scorpions, Aerosmith, ZZ Top, Guns `N` Roses, The Smashing Pumpkins, White Zombie, Tenacious D, Muse, Living Colour, Slayer, Iron Maiden, Metallica და მსოფლიოში სხვა ცნობილი ჯგუფები.

პირველი Guitar Hero 2005 წელს გამოვიდა და სიმულატორების მოყვარულებში მალევე იქცა ერთგვარ სენსაციად. თამაშმა არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა და წლის თამაშადაც იქცა. Activision-მა სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა მისი გაგრძელებების გამოშვება.



# აფიშა

**14 აპრილი**

### თეატრი

**რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)**
"PLAY - ანუ სიკვდილის როკვა"
დასაწყისი: 19:00

**მარჯანიშვილის თეატრი**
**(სოხუმის თეატრის სპექტაკლი)**
"ეწერში მდგარი თხმელა"
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"მილიონერი ნეაპოლი"
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"თაგვი"
დასაწყისი: 20.00

**პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი" -
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"რუსთაველი"**
"გასეირნება ყარაბახში 2:კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 12.15; 14.00; 15.45; 17.30
"დასპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 19.30; 21.30
"მილიონერი გარეუბნიდან"
დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45; 20.00; 22.15
"სხეულის გარეშე"
დასაწყისი: 18.15; 20:15; 22:15

**"ამირანი"**
"გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
"ნიკი და ნორა"
დასაწყისი: 12.00; 16.00; 20.00
"სხვა სამყარო"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 22.15

### გამოფენები

**არტ გალერეა "ლაინი"**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**მეიდან არტ ჰოლი**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
იტალიის საელჩო გიწვევთ გამოფენაზე - "იტალიური სტილი".

**"მანანა არტ სალონი"**
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

**გალერეა "კამეა"**
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

**მინანქრის გალერეა "ორნამენტი"**
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

# ურბანული კულტურის განვითარებისათვის

## ლევან ხეთაგური: "ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ევროპულ რუკას დაუბრუნდეს!"

თამარ კიკნაველიძე

დასრულდა პროექტი, რომელიც ურბანული კულტურის პოლიტიკასა და სათეატრო ხელოვნებას ეძღვნებოდა. პროგრამის ფარგლებში განხილული თემებითა და მონაწილეებით ჩვენი გაზეთიც დაინტერესდა. "24 საათში" გაშუქდა ევროპელი ექსპერტების, ნელე ჰერტლინგისა (ბერლინის ხელოვნების აკადემიის ვიცე პრეზიდენტი) და სტივ ოსტენის (კულტურის ანტერპრენიორის, ფელიქს მერიტის ფონდის დამფუძნებელი) სასწავლო-ინტერაქტიული კურსი, მრგვალ მაგიდებზე განხილული პრობლემატური საკითხები და ინიციატივები, რომლებიც ამ პროგრამის ფარგლებში დაიბადა. აღნიშნული პროექტი თბილისის მერიისა და ნიდერლანდების საერთაშორისო კულტურის ფონდის - "კავკასია" ძალისხმევით განხორციელდა. მას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი - ლევან ხეთაგური უძღვებოდა. მან ორკვირიანი პროექტის შედეგები შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა.

**- უპირველესად, მინდა გკითხოთ თბილისის ფორუმზე... ამაზე სტივ ოსტენმაც ისაუბრა...**

**ლევან ხეთაგური:** - თბილისის ფორუმზე მუშაობა ამ პროექტის მომზადებისას დავიწყეთ. ის 2009 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. ამასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები ბერლინის ოფისთან გასული წლიდან დავიწყეთ. ამ ფორუმის ფარგლებში, საქართველოში ევროპის პარლამენტის წევრები, წამყვანი პოლიტიკოსები და ევროპელი ინტელექტუალები ჩამოვლენ. იმისათვის, რომ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ტრადიცია დავამკვიდროთ, აუცილებელია შედგეს დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის.

რაც შეეხება პროექტს "ევროპის სულისათვის", ის 2004 წლიდან ამოქმედდა და ბერლინში ტარდებოდა. ჩვენი მიზანია ეს პროექტი დავაკავშიროთ კავკასიასთან. ჩვენ გვინდა საქართველო ევროპულ რუკას დაუბრუნდეს. ამისათვის კი, ევროპელებმა უნდა დაინახონ, რომ ქართული საზოგადოების ღირებულებები და ფასეულობები ევროპული საზოგადოების მსგავსია, ქართული კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი პროცესია, რისთვისაც მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები, სამწუხაროდ, არ კმარა. ვფიქრობ, თბილისის ფორუმის ორგანიზებით ხელს შევუწყობთ ევროპელი მოქალაქეების დამოკიდებულების შეცვლას საქართველოს მიმართ.



**- უშუალოდ ამ პროექტს რაც შეეხება?..**

- ეს პროექტი მრავარფუნქციური გამოვიდა და მხოლოდ ერთი, კონკრეტული მიზნის განხორციელებას არ ემსახურებოდა. ის, უპირველესად, საქალაქო კულტურის პოლიტიკის სტიმულირებისთვის შეიქმნა და კიდევ, სათეატრო ხელოვნების გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად. ის მერიის ინიციატივით შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ მერიამ თავისუფალი სათეატრი პოლიტიკის დაფინანსების სურვილი გამოთქვა. ამ პროექტში ჩავრთეთ ევროპელი ექსპერტები, გავითვალისწინეთ მათი გამოცდილება და გარკვეული რეკომენდაციებიც შევთავაზეთ. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა: მოვაწყვეთ მრგვალი მაგიდები და მოვამზადეთ ორი ინტერაქტიული კურსი, რომელთაგან ერთი თანამედროვე ცეკვას დაუკავშირდა (და მე შევეცდები ავხსნა რატომ...), ხოლო მეორე ანტერპრენიორობას კულტურაში. ჩვენ შევარჩიეთ ექსპერტები, რომლებსაც ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, რაც მათი ბიოგრაფიული მონაცემებიდანაც ნათელია. გვრჩება კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც ამ პროექტის დამაგვირგვინებელი ნაწილია. საქმე ეხება წიგნს, რომელიც, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს გამოიცემა. ის არის ქართულ ენაზე ნათარგმნი "მეგზური საქალქო კულტურის პოლიტიკაში", რომელიც ევროპის კულტურის ფონდმა მოამზადა. ჩვენ მისი საავტორო უფლება გადმოგვეცა. წიგნი ეყრდნობა იუნესკოს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის დოკუმენტებს, ევროპულ გამოცდილებას ურბანულ პოლიტიკაში. ვფიქრობ, რომ ეს გამოცემა საინტერესო იქნება არა მხოლოდ თბილისის მერიისთვის, არამედ სხვა ქალაქების მერიებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც საქალაქო განვითარებით არის დაინტერესებული.

დღეს კულტურა აღარ აღიქმება იმ სფეროდ, რომელსაც ხელგაწვდილ მდგომარეობაში უნდა ვხედავდეთ. ის არის სფერო, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელი და განვითარებული საზოგადოებისთვის. ამ ამოცანებს ჩვენ ორ კვირაში მოვუყარეთ თავი, არადა მის მომზადებას ერთი წელი მოვანდომეთ. ამ კვირეულში მოექცა თეატრის საერთაშორისო დღე, რითაც ვისარგებლეთ და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების წოდება გადავეცით ბ-ნ რობერტ სტურუას, ნელე ჰერტლინგსა და სტივ ოსტენს. ეს ადამიანები ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას უკვე იურიდიულად დაუკავშირდნენ.

**- პროექტის ძირითადი ნაწილი დასრულებულია. რა შედეგი გამოიღო მისმა განხორციელებამ?**

- შედეგებზე საუბრისას, აღსანიშნავია რეკომენდაციათა ჩამონათვალი, რომელიც მერიას გადავეცით. ის ურბანული კულტურის პოლიტიკის განვითარებას, უფრო კონკრეტულად კი - თავისუფალი სათეატრო პროექტების კონკურსების დანერგვას ეხება. ამ ინიციატივის შესახებ ვიმსჯელეთ პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაზე, რომელსაც თბილისის მერიის წარმომადგენელიც ესწრებოდა. ჩვენ რეკომენდაციების მომზადებისას ევროპული ქალაქების გამოცდილება გამოვიყენეთ. ვფიქრობ, რომ სათეატრო პროექტების კონკურსებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს მრავალფეროვნების დაცვას. სწორედ ამ მიზნით გავაკეთეთ აქცენტი თანამედროვე ცეკვაზე. პროგრამას ბერლინის ხელოვნების აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ნელე ჰერტლინგი უძღვებოდა, რომელმაც სასწავლო-ინტერაქტიული კურსის მსვლელობისას უნიკალური ვიზუალური მასალა გამოიყენა. მისი დიდი ნაწილი უნივერსიტეტის არქივში გადავა და სტუდენტებს მათი ნახვისა და შესწავლის შესაძლებლობა მიეცემათ. თანამედროვე ცეკვა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მიმართულებაა მსოფლიოში, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. კარგი იქნება თუ ქართველი ხელოვანები გარკვეულ დროს ამ მიმართულებასაც დაუთმობენ.

**- სტივ ოსტენმა ისაუბრა იმ საერთაშორისო ურთიერთობებზე, რაც ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლას შეუწყობს ხელს. რამდენად რეალურია ეს ინიციატივა?**

- ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. არ ვიცი რამდენად მართებულია ამ საკითხზე წინასწარ საუბარი, მაგრამ ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ იმაზე, რომ ამსტერდამში ჩვენმა უნივერსიტეტმა თავისი წარმომადგენლობა ან ფილიალი გახსნას. ეს ამბიციური განცხადებაა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არცერთ უნივერსიტეტს ევროკავშირის ტერიტორიაზე, მით უფრო ისეთ ქალაქში როგორიც ამსტერდამია, ფილიალი არა აქვს. ჩვენ, შესაძლოა, პიონერები ვიყოთ. ჩვენი მიზანია, როგორც ქართველ პროფესორთა პროგრამების შეთავაზება ევროპელებისათვის, ასევე ევროპელების მონაწილეობა იმ პროგრამებში, რომლებიც ამ ფილიალში იმუშავებს... შესაბამისად, ქართველ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში გაემგზავრონ ამსტერდამში და ზაფხულში, დამატებითი კრედიტები იქ აკრიფონ. ჯერ-ჯერობით, აი, ამაზეა საუბარი...

**- რა მოეთხოვებათ ქართველმა სტუდენტებს იმისათვის, რომ საზღვარგარეთ ისწავლონ?**

- მათ ძალიან კარგად უნდა ისწავლონ ევროპული ენები და საერთოდ, ძალიან კარგად უნდა ისწავლონ. მინდა გითხრათ, რომ ბოლონიის პროცესში მცირე ქვეყნების სტუდენტების მომზადება დიდ ქვეყნებზე ძლიერი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კონკურენტუნარიანნი ვერ იქნებიან. უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამები იყოს გაცილებით ღრმა და სრულყოფილი. ჩვენმა სტუდენტებმა მეტი უნდა იშრომონ. ამის გარეშე, მათი პერსპექტივა შეზღუდული იქნება. ამ პროცესს, შესაძლებელია, სირთულეებიც ახლდეს, მაგალითად, დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მთავარია ჩანაფიქრის განსახორციელებლად ძალისხმევა არ დავიშუროთ.

# დედა ენის დღე

დღეს, დედა ენის დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (II კორპუსი) დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს დააჯილდოებს. მინისტრის აპარატის ინიციატივით, ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონების თორმეტ ქართულენოვან სკოლაში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობდნენ მოსწავლეები მეექვსედან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით, მათ შორის, გამოვლინდნენ საუკეთესო ქართული ლექსის, მოთხრობის, თავისუფალი თემისა და სხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები. თითოეულ სკოლას საკუთარი გამარჯვებული ჰყავს.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მერაბ ჩუხუა გამარჯვებულებს პირად კომპიუტერებს გადასცემს; ბავშვებს შეხვდება თსუ-ს რექტორი, გიორგი ხუბუა. საინგილოდან ჩამოსული ბავშვები ღონისძიების ფარგლებში ყვავილებით შეამკობენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირის, ერეკლე ყულოშვილის, სახელობის მემორიალს.

ამ პროექტის მიზანია საინგილოს ქართულენოვან სკოლებში მშობლიური ენის უკეთ შესწავლის წახალისება, მოსწავლეების შემოქმედებითი უნარჩვევების გამოვლენა. ქართველი ბავშვების დაახლოება მშობლიურ ლიტერატურასთან და ეროვნულ გარემოსთან. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს რამდენიმე დღის განმავლობაში უმასპინძლებს.

გარდა ამისა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და ახალგაზრდა ჰერელთა ასოციაციის ორგანიზებით 15-16 აპრილს დაგეგმილია "ჰერეთის დღეების" მოწყობა. "ჰერეთის დღეები" ეძღვნება 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს გმირულად დაღუპული ქართველი მეომრების ხსოვნას. "ჰერეთის დღეების" ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა და ქართველი ჯარისკაცების ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენის გახსნა; ქართული ხალხური შემოქმედებითი საღამო საინგილოს ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლ "ლაზარეს" მონაწილეობით; თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ 2008 წელს კახში მოწყობილი სტუდენტური ექსპედიციის ამსახველი ფოტოგამოფენა; ჰერეთის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

# ვინ შეცვლის დღევანდელ ექიმებს?

სოფო ჩიხლაძე

*საქართველოში ჯანდაცვის რეფორმა 2005 წელს დაიწყო და პროცესი კვლავაც გრძელდება. მიუხედავად ამისა, დღეს ქართველი მედიკოსების უმრავლესობა აცხადებს, რომ ჩვენთან სამედიცინო მომსახურების სისტემაში ურთულესი მდგომარეობაა. პრობლემა მედიცინის ყველა მიმართულებას თანაბრად ეხება და ვინაიდან მიმართულებები ბევრია, ამჯერად პედიატრიაში არსებული მდგომარეობით დავინტერესდით. "24 საათი" დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის დირექტორს და დამფუძნებელს ესაუბრა.*
*პროფესორი დავით ტატიშვილი ცნობილი მიკროპედიატრის - ჯანა საყვარელიძის შვილია. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისი საექიმო მოღვაწეობის პირველი პერიოდი სწორედ პედიატრიას უკავშირდება - სწორედ ამ დარგში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამის შემდეგ კი დავით ტატიშვილმა რადიოლოგიის სფეროში გადაინაცვლა და უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განხრით მოღვაწეობს. ამ მიმართულებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არის არაერთი წიგნისა და მონოგრაფიის, ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მრავალპროფილურ "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში" ბავშვთა მედიცინას დიდი ადგილი ეთმობა. ამდენად, ცენტრის დირექტორს ამ სფეროს შესახებ ბევრი აქვს სათქმელი. "24 საათი" ასევე ესაუბრა "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის" პედიატრიული სამსახურის ხელმძღვანელს, ცენტრის მთავარ ექიმს, საქართველოში ერთ-ერთ წამყვან პედიატრს, პროფესორ ქეთევან ბარაბაძეს და ცენტრის წამყვან ექიმებს, მედიცინის დოქტორებს გიორგი მამუკაშვილს, ნინო დუმბაძეს, თამარ ჯოხაძეს.*

**- ბატონო დავით, ქართველი მედიკოსები აცხადებენ, რომ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, აქ კვლავაც ბევრი პრობლემა არსებობს. თქვენ მრავალპროფილურ კლინიკას ხელმძღვანელობთ. მინდა, გკითხოთ, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში პედიატრიის მიმართულებით?**

- პედიატრიის განხრით, ისევე როგორც ზოგადად სამედიცინო მომსახურების სფეროში, საკმაოდ დიდი პრობლემებია, რაც ბავშვთა სამედიცინო დახმარების მხრივაც გამოიხატება როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ მუშაობაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შედარების გაკეთება საბჭოთა სამედიცინო სისტემის გამოცდილებასთან, როცა, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში რამდენიმე ათეული ბავშვთა პოლიკლინიკა და საავადმყოფო არსებობდა. თბილისში ბავშვთა პრაქტიკულად ყველა საავადმყოფოს ბაზაზე განლაგებული იყო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ბავშვთა სნეულებათა კათედრები, რაც განაპირობებდა, ერთი მხრივ, ამ კლინიკებში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას და შესაბამისად პაციენტების სამედიცინო მომსახურების მაღალ აკადემიურ დონეს და, მეორე მხრივ, ახალი კვალიფიციური კადრების მომზადების უწყვეტ პროცესს. ამ პერიოდში დიდი გამოცდილების მქონე პედიატრების, ჩვენი მასწავლებლების მიერ არის მომზადებული ბავშვთა ექიმების მთელი თაობა, რომლის წარმომადგენლებსაც წამყვანი ადგილი უჭირავთ ამჟამად მოქმედ ბავშვთა საავადმყოფოებსა და სხვა ტიპის სამედიცინო ცენტრებში.

საბჭოთა სამედიცინო სისტემის ნგრევასთან ერთად, ზემოთ აღნიშნულიდან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა, პრაქტიკულად მთლიანად მოიშალა სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო მუშაობის ცენტრალიზებული სისტემა, რამაც შესატყვისი ზეგავლენა მოახდინა ბავშვთა კონტინგენტის სამედიცინო მომსახურებასა და ახალგაზრდა ექიმების მომზადებაზე. პირადად ჩემს თავს არ მივაკუთვნებ იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ძველ საბჭოურ სისტემას მისტირის, პირიქით - მის მიმართ ყოველთვის გამოხატული პროტესტის გრძნობა მქონდა. რაც შეეხება იმ პერიოდის ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციას, მის მიმართ, გამოგიტყდებით, ამჟამადაც სიმპათიით ვარ განწყობილი, რამდენადაც მიმაჩნია, რომ მაშინ ყველა პირობა იყო შექმნილი მაღალი



კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებისთვის, მათ შორის პადიატრიაშიც. დღეს სურათი, შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რადიკალურად შეიცვალა.

**- რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში?**

- აღნიშნულ პერიოდში სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიის რამდენიმე კათედრა არსებობდა და თითოეულს ამ დარგის უძლიერესი მოღვაწეები და უდიდესი პედაგოგები ხელმძღვანელობდნენ. თითო კათედრაზე უმაღლესი კატეგორიის, სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხის მქონე ათეულობით ექიმი მუშაობდა. ისინი თავიანთ ცოდნას სტუდენტებს, ასპირანტებს, ახალგაზრდა ექიმებს უზიარებდნენ და ეს იყო საკმაოდ აწყობილი სისტემა. გარდა ამისა, საქართველოში არსებობდა პროფილური ინსტიტუტები, მაგალითად, პედიატრიის ინსტიტუტი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს. იქ ბევრი ძლიერი პედიატრი აღიზარდა, მათ შორის პროფესორი ქეთევან ბარაბაძე, რომელიც ჩვენს დაწესებულებაში პედიატრიული სამსახურის ხელმძღვანელი და დაწესებულების მთავარი ექიმია. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ის დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომზადებული ექიმი პედიატრია, რაც უდავოდ იმ პერიოდის და აღნიშნული ინსტიტუტის დამსახურებაა.

საქართველოში ასევე იყო პროფესიული ასოციაციები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შესაბამისი დარგის განვითარებაში, პრაქტიკულად ყველა კათედრის, კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირები, პროფესორები, წამყვანი სპეციალისტები გაერთიანებულნი იყვნენ ამ ასოციაციებში და თავიანთ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. ესოდენ გამოცდილი ადამიანების ერთობლივი საქმიანობა დარგის შემდგომ განვითარებას განაპირობებდა.

სამწუხაროდ, იმ დიდი პედიატრებიდან, ვინც ჩვენს თაობას ასწავლიდა, უმრავლესობა აღარ არის. ამჟამად მოქმედი წამყვანი ექიმების გარკვეული ნაწილი საერთოდ ჩამოსცილდა თავისი ძირითადი საქმიანობის სფეროს, ხოლო ისინი, ვინც აგრძელებს კლინიკურ მედიცინაში მოღვაწეობას, უმეტესწილად კომერციულ სტრუქტურებში ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას, რამდენადაც პედაგოგიური საქმიანობისთვის არავითარი ეკონომიკური სტიმული არ გააჩნიათ. ასე რომ, მხოლოდ პირადი ინიციატივა და მონდომება რჩება ახალგაზრდა ექიმისთვის ცოდნის მიღების და გაღრმავების ძირითად საშუალებად, რაც, დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით, ნამდვილად არ არის საკმარისი. ჩემი სტუდენტობის, ასპირანტურის, პრაქტიკული მუშაობის საწყისი პერიოდის დროს ახალგაზრდა ექიმები უმაღლესი აკადემიური დონის მქონე სამედიცინო სკოლებში ემზადებოდნენ. დღეს ისინი გამორჩეული, მაღალი კვალიფიკაციის და დიდი გამოცდილების პედიატრები არიან, რაც იმ პერიოდის დამსახურებაა, რამდენადაც ისინი ემზადებოდნენ დიდი პედაგოგების ხელმძღვანელობით. მაგრამ თაობას, რომელმაც ხვალ ეს ექიმები უნდა ჩაანაცვლოს, ვერ ვხედავ. თუ ვცდები, პირველ რიგში, მე ვიქნები მოხარული და ბედნიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ არ ვცდები.

**- ბატონო დავით, ამ ვითარებიდან რა არის გამოსავალი?**

- გამოსავალი ის არის, რომ საქართველოში მომავალი თაობის ბავშვთა ექიმების მომზადებისადმი მიდგომა უნდა შეიცვალოს... მე პირადად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მძლავრი დარგობრივი ასოციაციების შექმნას, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებული უფლებები მიენიჭებათ და შესაბამისად, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მომავალი მაღალკვალიფიციური ექიმების მომზადებაში.

**- რეფორმის სახელით საქართველოში ჯანდაცვის სისტემისადმი მიდგომა რამდენჯერმე შეიცვალა...**

- იმ ადამიანების რიცხვს არ მივეკუთვნები, რომლებიც მხოლოდ უარყოფითს ეძებენ. ძალიან ბევრ დადებითს ვხედავ იმაში, რაც დღეს მედიცინაში ხდება. საკმარისია თუნდაც თბილისის მერიის, ასევე გაეროს დაფინანსებით და პირველი ლედის მხარდაჭერით მიმდინარე ქალთა ონკოლოგიური პრევენციის პროგრამა, რომელშიც ჩვენი სამედიცინო ცენტრიც არის ჩართული. ამავე დროს რეალურად უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარე ამ რეფორმატორული ხასიათის ცვლილებებს ინტენსიური თერაპიის ხასიათი აქვს. ინგრევა ძველი სისტემა და სულ ბოლომდე რომ არ მოიშალოს, რაღაც ახალ-ახალი კონცეფციების დანერგვა ხდება, რომლებიც, სამწუხაროდ, ხშირად ერთმანეთთან საერთოდ არ არის კავშირში... თუ ჩვენ ახლა კადრების საკითხზე ვლაპარაკობთ, ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ამ მხრივ დიდი ხანია, დადებით მოვლენას ვერ ვამჩნევ. როდესაც ვამბობთ, რომ გვექნება ასობით ახალი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კლინიკა (უკანასკნელი წლების მანძილზე რეალურად აშენდა რამდენიმე უმაღლესი ტექნოლოგიური დონის საავადმყოფო), პოლიკლინიკური ახალი სისტემა, მაღალი დონის სოფლის ექიმის სამსახური, და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ვინ იმუშავებს იქ? ამაზე ხომ არის საჭირო დაფიქრება. კადრების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა დიაგნოსტიკური მიმართულებით. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი რაოდენობით უახლესი ტექნოლოგიები შემოვიდა საქართველოში და ამან სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა განაპირობა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით მომზადებული ათეულობით სპეციალისტი. ასევე მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდება ქირურგიული მიმართულების სხვადასხვა დისციპლინები, მაგრამ თერაპიულ და პედიატრიულ პროფილში საკმაოდ დიდი პრობლემებია. ეს პრობლემები განსაკუთრებით 5-10 წლის შემდეგ იჩენს თავს.

**- ბატონო დავით, მინდა, ბავშვთა კლინიკების შესახებ გკითხოთ. როგორი ტიპის ბავშვთა კლინიკები უნდა იყოს საქართველოში?**

- საბჭოთა მედიცინის დროს ძალიან მძლავრი იყო პოლიკლინიკური ქსელი, რომელსაც თავისი დაფინანსება, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები გააჩნდა. ამას მოჰყვებოდა მძლავრი სტაციონარული სისტემა, სადაც კლინიკურ და სამეცნიერო მუშაობას კურირებდნენ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების კათედრები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ გამართული სისტემიდან ბევრი არაფერი დარჩა... ჩემი აზრით, უნდა განვითარდეს ახალი ტიპის ბავშვთა კლინიკები, რომლებშიც იქნება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური მომსახურების მოთხოვნისამებრ სრული სპექტრი, სრულფასოვანი ამბულატორიული სამსახური ყველა კლინიკური მიმართულებით, პრევენციული ღონისძიებების აუცილებელი პაკეტი და ერთდღიანი მომსახურების სტაციონარი, ფიზიოთერაპიული და სხვა ტიპის საჭირო რეაბილიტაციური მიმართულებები, რომელიც აუცილებელია ბავშვთა მკურნალობისას სრულფასოვანი შედეგის მისაღებად. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენმა სამედიცინო ცენტრმა აიღო ეს მიმართულება და, ვფიქრობ, ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ცენტრში არსებული ულტრათანამედროვე დიაგნოსტიკური ბაზა და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებისგან შემდგარი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლინიკურ მედიცინაში უაღრესად გამოცდილი ექიმი-პედიატრი, პროფესორი ქეთევან ბარაბაძე, ამ ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტას განაპირობებს. ჩვენი ბავშვთა კლინიკა უზრუნველყოფილია მსოფლიოში ამჟამად არსებული პრაქტიკულად ყველა უახლესი ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ტექნოლოგიით, თანამედროვე სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიის, რენტგენოლოგიური კვლევის, ელექტროენცეფალოგრაფიის აპარატურით, ასევე ბავშვთა დაავადებებისთვის მოწოდებული პრაქტიკულად ყველა სხვა დიაგნოსტიკური საშუალებებითა და ულტრათანამედროვე ლაბორატორიული კვლევის მეთოდიკებით. ამბულატორიული მუშაობის მიმართულებით პაციენტების მიღება წარმოებს ზოგად პედიატრიული, ნევროლოგიური, ორთოპედ-ტრავმატოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, რევმატოლოგიური, ნეფროლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური, ოფთალმოლოგიური, დერმატოლოგიური, სტომატოლოგიური და სხვა მიმართულებებით. შექმნილია ყველა პირობა იმისთვის, რომ საჭიროებისამებრ ჩატარდეს ჩამოთვლილი მიმართულებებით ყველა საჭირო მანიპულაცია დღის სტაციონარის პირობებში. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა კონტინგენტის ვაქცინაციას.

ალბათ სასურველი იქნებოდა, რომ ქვეყანაში იყოს რამდენიმე ასეთი ტიპის კლინიკა, რამდენადაც სტაციონარული სექტორის განვითარებისთვის, დღევანდელი პრობლემების გათვალისწინებით, საკმაო დრო არის საჭირო. მოსახლეობა კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორი ინფორმაციით და ადეკვატური პრევენციული, სამკურნალო-დიაგნოსტიკური მომსახურებით. რაც შეეხება ისეთი ტიპის მომსახურებას, რომელიც სცდება ერთდღიანი სტაციონარის ფარგლებს, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედიატრისთვის აუცილებელი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური მონაცემების ფლობისას მართებული გადაწყვეტილების მიღება და პაციენტის სტაციონარში გადაყვანა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

ასეთი ტიპის კლინიკები ასევე დიდ სამსახურს გაუწევს სადაზღვევო კომპანიების წარმატებულ საქმიანობას და მთლიანად სადაზღვევო მედიცინის სწორად განვითარებას, რამდენადაც შესაძლებელს გახდის ერთსა და იმავე დაწესებულების ფარგლებში პრაქტიკულად ყველა საჭირო მომსახურების უზრუნველყოფას.

**- თქვენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოფილხართ. იმ ტიპის ბავშვთა კლინიკები, როგორზეც საუბრობთ, ბევრ ქვეყანაში გინახავთ?**

- ამერიკაში, ევროპაში, ისრაელში, სადაც დღეს მაღალ დონეზეა მედიცინა, ასეულობით ასეთი კლინიკაა. იქ უზარმაზარი სამედიცინო კომპლექსებია, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი ერთად არის მოქცეული და ამ გაერთიანებაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების აუცილებელი სპექტრი ცალკეა გამოყოფილი, რადგან მედიცინის ეს სფერო ძალიან სპეციფიკურია...

**- თუ გისაუბრიათ ქართველ მედიკოსებს ამ საკითხებზე ჯანდაცვის სამინისტროსთან და რამდენად ითვალისწინებენ ისინი თქვენს მოსაზრებებს?**

- არც ჯანდაცვის სამინისტროსთან და არც სხვა ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურებთან არასდროს პრობლემა არ გვქონია. პირიქით, ყოველთვის თანადგომა გვაქვს. მაგრამ მაშინ, როცა ქვეყანაში სამედიცინო ქსელის, მათ შორის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების უდიდესი ნაწილის პრივატიზება ხდება, სახელმწიფო სტრუქტურებს ყველაფერი არ უნდა მოვთხოვოთ. ეს საავადმყოფოები მათი კომპეტენციის ფარგლებიდან პრაქტიკულად გასულია. რისი გაკეთება შეუძლია ასეთ პირობებში სახელმწიფოს? მან უნდა მოახდინოს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების განვითარების კოორდინაცია, მონაწილეობა უნდა მიიღოს სპეციალისტების მომზადებაში, როგორც ადმინისტრაციული და ფინანსური მენეჯერების, ასევე სამედიცინო პერსონალის. საქართველოში უნდა ხდებოდეს იმის პროპაგანდა, თუ რას ნიშნავს კარგად მომზადებული ბავშვთა ექიმი საზოგადოებისთვის და როგორი წესით უნდა მიმართოს მას მშობელმა თავისი შვილის ჯანმრთელობის საკითხების გადასაწყვეტად. ყოველივე ამას მივყავართ იქითკენ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს კონცეფცია, როგორ მომზადდნენ მაღალკვალიფიციური ბავშვთა ექიმები. დღეს თუ ჩამოყალიბდა ეს კონცეფცია, შედეგს, უკეთეს შემთხვევაში, 10-15 წლის შემდეგ მივიღებთ, ამიტომ ამთავითვე სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი მომავალი სპეციალისტების მომზადების საკითხს...

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოში მედიცინის განვითარების კუთხით რამდენად დიდი როლი აკისრია სადაზღვევო მედიცინას?**

- მედიცინის სფეროში სასიკეთო ცვლილებები იქნება, თუ სწორად განვითარდება სადაზღვევო მედიცინა. დღეს ძალიან შორს ვართ ამისგან. სახეზე გვაქვს რამდენიმე სადაზღვევო კომპანია, რომლებიც სხვადასხვა ხარისხის წარმატებულობით მუშაობენ. საერთო ჯამში, დადებითი მოვლენაა, რომ სადაზღვევო კომპანიები არსებობენ, რადგანაც საიდანღაც ხომ უნდა დაიწყოს ეს პროცესი. მედიცინის განვითარების სხვა გზა არ არსებობს.

პირადად ჩემს გაკვირვებას იწვევს დაზღვეულთა შორის ბავშვთა დაბალი ხვედრითი წილი. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია მოსახლეობის, კერძოდ მშობელთა არაინფორმირებულობით იმის შესახებ, რომ მათ შვილს, განსაკუთრებით ახალშობილ და ჩვილ ბავშვებს აუცილებლად და არაერთხელ ესაჭიროებათ ვიზიტი ექიმ-პედიატრთან და როდესაც ამის აუცილებლობის ფაქტის წინაშე დადგებიან, მათი ფინანსური დანახარჯები რამდენჯერმე იზრდება. როგორი წარმატებითაც ვითარდება კორპორატიული დაზღვევა, ასევე აუცილებელია საოჯახო სადაზღვევო პაკეტების შეძენის ზრდა, რაც, დარწმუნებული ვარ, აამაღლებს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დონეს. სახელმწიფო იმ ძველ საბჭოურ სისტემას უკან ველარ დაიბრუნებს და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ არც უნდა დაბრუნდეს. რამდენად საჭირო იყო ასეთი დოზით ჯანდაცვის სისტემის მართვის ხელიდან გაშვება, ეს საკამათოა, ამაზე მსჯელობას ჩემს თავზე ვერ ავიღებ... პრაქტიკულად დღეისათვის ერთადერთი გამოსავალი სადაზღვევო მედიცინაშია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია, აღდგეს ის სამედიცინო ასოციაციები და დარგობრივი საზოგადოებები, რომლებიც არსებობდა, მათ უნდა გადაეცეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. დღეს მედიკოსებს შორის პროფესიული საკონტაქტო ენა გაწყვეტილია. ექიმები ერთმანეთს უმეტესწილად საზღვარგარეთ ჩატარებულ ტრენინგებზე ან ფარმაცევტული კომპანიების მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე თუ ხვდებიან. ამ მხრივ დადებითი ტენდენციები და პროგრესული მიმართულებები აღინიშნება ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა კონტინგენტის კვალიფიციური მომსახურებისთვის.

როდესაც აღნიშნულ მტკივნეულ საკითხებზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე უკანასკნელი ორი ათეული წელია რადიოლოგიის განხრით ვმუშაობ და შეიძლება, პრაქტიკოსი პედიატრები ჩემზე უკეთესად ფლობდნენ ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობას, მაგრამ ვინაიდან მრავალპროფილურ დაწესებულებას ვხელმძღვანელობ, წარმოუდგენელია, რომ ეს არ მაწუხებდეს და ამ პრობლემებზე არ ვფიქრობდე... ქვეყანაში ეს პროცესები თუ არ მოწესრიგდა და კვლავაც თვითდინებით წარიმართა, ამას, უახლოეს პერიოდში თუ არა, მომავალში ძალიან მძიმე შედეგები ექნება.

**- ბატონო დავით, პაციენტები მუდმივად ღებულობენ ახალ შემოთავაზებებს თქვენი მხრიდან. რა სიახლეს გვთავაზობს ამჟამად "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"?**

- ჩვენი სამედიცინო ცენტრი 12 წლის წინ დაარსდა და მისი არსებობის განმავლობაში არც ერთი წელიწადი არ გასულა, რომ საზოგადოების წინაშე არ მომხდარიყო ახალი დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების წარდგენა. ეს განსაკუთრებით ეხება ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ახალ ტექნოლოგიებს, რომელთა საქართველოში დანერგვა გახდა 1997 წელს ჩვენი ულტრასონოგრაფიის ცენტრის დაარსების საფუძველი.

მიმდინარე წელს ცენტრი აღიჭურვა ჯერ "სიმენსის" ბოლო თაობის უკანასკნელი წლის გამოშვების მსოფლიოში საუკეთესო რამდენიმე ულტრაბგერითი სისტემით, ამჟამად კი საზოგადოების წინაშე ჩვენ წარვადგინეთ ამერიკული კომპანია "ზონარეს" ახალი ულტრაბგერითი ტექნოლოგიები, რაც არა მხოლოდ ამ კონკრეტული დიაგნოსტიკური მიმართულებით, არამედ მთლიანად მედიცინაში წარმოადგენს სიახლეს და მას უკავშირებენ ამ დარგის განვითარების ხვალინდელ დღეს. რაც შეეხება მოსახლეობისთვის, კერძოდ ბავშვთა კონტინგენტის შემთხვევაში მშობლებისთვის სასარგებლო ინფორმაციას, თუ რის შესაძლებლობას განაპირობებს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აღნიშნული თანამედროვე ტექნოლოგიები, ამის შესახებ უმჯობესია დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა ისაუბრონ.

გაგრძელება A12 გვერდზე

# ვინ შეცვლის დღევანდელ ექიმებს?

მე-11 გვერდიდან

**გიორგი მამუკაშვილი - ულტრასონოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი.**

**- ბატონო გიორგი, ულტრასონოგრაფიის ცენტრში რა ასაკის ბავშვებში მოდიან, რა ტიპის ულტრაბგერით გამოკვლევები ტარდება უფრო ხშირად და რისი დადგენა შეიძლება ამ კვლევების შედეგად?**

- ჩვენს ცენტრში ულტრაბგერითი გამოკვლევები ტარდება ბავშვთა ყველა ასაკში - დაბადებიდან 15 წლამდე, პრაქტიკულად ყველა მიმართულებით.

- ექოკარდიოგრაფია - უპირატესად თანდაყოლილი მანკების დიაგნოსტიკა.

- ფარისებრი ჯირკვლის ზომების, სტრუქტურის, ვასკულარიზაციის შეფასება, კვანძების იდენტიფიცირება.

- სანერწყვე ჯირკვლების ულტრაბგერითი კვლევისას ანთებითი პროცესების დიაგნოსტიკა.

- თიმომეგალიის დიაგნოსტიკა.

- პერიფერიული სისხლძარღვების თანდაყოლილი ანომალიების და პათოლოგიების დიაგნოსტიკა.

- მუცლის ღრუს ორგანოების - ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, პანკრეასის, ელენთის პათოლოგიების დიაგნოსტიკა.

- საშარდე სისტემის პათოლოგიების და ანომალიების გამოვლენა.

- სასქესო ორგანოები: ვაჟებში - სათესლე ჯირკვლების სტრუქტურის შეფასება, კრიფტორქიზმის დროს ჯირკვლების ლოკალიზაციის დადგენა. გოგონებში - ანომალიების დიაგნოსტიკა, ნაადრევი მომწიფების დროს საშვილოსნოსა და საკვერცხეების ზომების, სტრუქტურის შეფასება.

- პერიფერიული, მუცლის ღრუს, რეტროპერიტონეული სივრცის ლიმფური კვანძების ზომების, სტრუქტურის, ვასკულარიზაციის შეფასება, რაც მნიშვნელოვანია ლიმფადენიტების და ლიმფური კვანძების მეორადი ცვლილებების (მეტასტაზების) დიფერენციულ დიაგნოსტიკაში.

- პრაქტიკულად ყველა პარენქიმული ორგანოს, რბილი ქსოვილების ონკოპათოლოგიის ადრეულ სტადიებზე გამოვლენა დროული მომართვის შემთხვევაში, ასევე დაგვიანებული მომართვისას ამ დაავადებათა გავრცელების და მდგომარეობის სიმძიმის შეფასება.

**ნინო დუმბაძე, მედიცინის დოქტორი.**

**- ქალბატონო ნინო, რატომ არის აუცილებელი ახალშობილთა მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოკვლევა და ამ მიმართულებით სახსრების კიდევ რა პათოლოგიის გამოვლენის შესაძლებლობას გაძლევთ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა?**

- მენჯ-ბარძაყის სახსრის ულტრაბგერითი კვლევა ახალშობილობის პერიოდში ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის და სახსრის დისპლაზიის ადრეული გამოვლენის საშუალებას იძლევა, რაც ამცირებს მკურნალობის ვადას და სრულ განკურნებას განაპირობებს... ართროსონოგრაფია - საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ულტრაბგერითი კვლევა ასევე საშუალებას იძლევა, ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს პერტესის დაავადება, ოსტეომიელიტის დასაწყისი, მოხდეს დიფერენცირება რეაქტიულ ართრიტსა და შემაერთებელქსოვილოვან სისტემურ დაავადებას შორის.

**თამარ ჯოხაძე, მედიცინის დოქტორი.**

**- ქალბატონო თამარ, როგორც ცნობილია, ნეიროსონოგრაფიული გამოკვლევა იძლევა უაღრესად დიდ ინფორმაციას, რაც აუცილებელია ახალშობილის ნორმალური განვითარებისთვის. რა შეგიძლიათ უთხრათ მშობლებს ამის შესახებ?**

- ნეიროსონოგრაფია დღეისათვის ნეიროვიზუალიზაციის შეუცვლელი მეთოდია, რომელიც გამოიყენება 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ან, უფრო სწორად, ვიდრე ეს ბუნებრივი ულტრაბგერითი ფანჯარა - დიდი ყიფლიბანდი დაიხურება.

ნეიროსონგრაფია აუცილებელია ჩაუტარდეს ყველა ახალშობილს. მისი ძირითადი ჩვენებებია:

- დღენაკლი ახალშობილი;
- დაბადების წონა 2500 გრ-ზე ნაკლები;
- მრავლობითი განვითარების სტიგმები;
- ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების კლინიკური ნიშნები;
- ანამნეზში მუცლადყოფნის ჰიპოქსია, ასფიქსია, რესპირატორული დისტრეს სინდრომი;
- დედისა და ნაყოფის ინფექციური დაავადებები.

ერთ-ერთი ხშირი ნეიროსონოგრაფიული აღმოჩენა სხვადასხვა სახის ჰიდროცეფალური სინდრომია. ჰიდროცეფალია ბავშვთა ასაკის ხშირი დაავადებაა, თანამედროვე ულტრაბგერითი აპარატურა იძლევა საშუალებას, ჩავატაროთ პარკუჭების ზუსტი გაზომვა, შევაფასოთ თავზურგტვინის სითხის დინების შეფერხების არსებობა და მისი ზუსტი მდებარეობა, ხარისხი, დავაკვირდეთ დაავადების დინამიკას კონსერვატული და ქირურგიული მკურნალობის ფონზე, ასევე შევაფასოთ ქირურგიული შუნტირების გართულებები.

ნეიროსონგერაფია შეუცვლელი მეთოდია თავის ტვინის სისხლჩაქცევების დიაგნოსტიკაში. დღენაკლ ახალშობილებში განსაკუთრებით ხშირია პარკუჭების კედლებისა და პარკუჭშიდა სისხლჩაქცევები. მათი მიზეზია ჰიპოქსია - ჟანგბადის დეფიციტი, დიდი ზომის სისხლჩაქცევები ვრცელდება პარკუჭებზეც, იწვევს მათ გაფართოებას, შესაძლებელია გავრცელდეს ტვინის ქსოვილზეც.

არცთუ იშვიათი ნეიროსონოგრაფიული აღმოჩენაა სხვადასხვა სახის განვითარების მანკები. მათ შორის კორძიანი სხეულის აგენეზია, რომელსაც კლინიკური გამოვლინება ადრეულ ასაკში არა აქვს და, როგორც წესი, პირველად ნეიროსონგრაფიულად ვლინდება, ასევეა უკანა ფოსოს ცისტა, დენდი უოკერის სინდრომი, არნოლდ-კიარის მალფორმაცია და ა.შ.

ულტრაბგერითი გამოკვლევით დიაგნოსტირდება პერივენტრიკულური ლეიკომალაცია, რასაც მისთვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი არ ახლავს. ამიტომ სონოგრაფიული დიაგნოზია, თუმცა შემდგომში მიზეზია ისეთი ნევროლოგიური პრობლემის განვითარებისა, როგორიცაა ბავშვთა ცერებრული დამბლა. ლეიკომალაცია - თავის ტვინის იშემიური ნეკროტიზაციის შედეგია, იგი ვითარდება არეში, რომელიც ყველაზე ნაკლებ მარაგდება სისხლით და ადვილად განიცდის ჟანგბადოვან შიმშილს. დიაგნოზის დასმაში, გარდა ულტრაბგერითი მონაცემებისა, აუცილებელია ფერადი და ენეგეტიკული დოპლეროგრაფიის გამოყენება, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენი აპარატურა.

ყიფლიბანდის მცირე ზომის შემთხვევაში დიაგნოზის დასადასტურებლად რიგ შემთხვევებში დამატებით საჭირო ხდება თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიისა და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარება.

**პროფესორი ქეთევან ბარაბაძე - პედიატრიული სამსახურის ხელმძღვანელი, ცენტრის მთავარი ექიმი.**

**- ქალბატონო ქეთევან, რითი არის საინტერესო მშობლისთვის თქვენი ბავშვთა კლინიკის შემოთავაზებები და რა უპირატესობა აქვს მას სხვა პედიატრიულ სამსახურებთან შედარებით?**

- თქვენ შეკითხვას სრულყოფილად რომ ვუპასუხო, უნდა შევეცადოთ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ, თუ რა სჭირდება დღეს ყველაზე უფრო მეტად მშობელს შვილის სწორი მოვლისა და მკურნალობისათვის. მე როდესაც დამწყები ახალგაზრდა ექიმი ვიყავი, იმ პერიოდის სამედიცინო სისტემაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იყო ბავშვთა პოლიკლინიკები, სადაც მშობელი იღებდა პირველად ინფორმაციას, უზრუნველყოფილი იყო აუცილებელი პრევენციული ღონისძიებებით და პირველადი დახმარებით თავისი შვილისთვის. ასევე ფუნქციონირებდა ბავშვთა საავადმყოფოები, სადაც სამკურნალო საქმე პრაქტიკულად ყველა პროფილით იყო წარმოდგენილი. არსებობდა აუცილებელი დიაგნოსტიკური კვლევების მინიმალური პაკეტი და მეტ-ნაკლები სიხშირით იყო განვითარებული ფიზიოთერაპიული და სარეაბილიტაციო მიმართულებები. დაახლოებით, ასეთივე პრინციპით მუშაობდა პედიატრიის ინსტიტუტი, სადაც პრაქტიკულ საქმიანობასთან იყო შერწყმული სამეცნიერო მუშაობა. მე აქ დავიწყე საექიმო და სამეცნიერო საქმიანობა და ჩამოვყალიბდი როგორც ექიმი-პედიატრი. პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე საექიმო საქმიანობას ვეწეოდი ჯერ ახალშობილთა, შემდგომ პულმონოლოგიურ, მოზრდილ ბავშვთა პათოლოგიის და ბოლოს კარდიო-რევმატოლოგიურ განყოფილებებში. დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები გამოცდილი და საქვეყნოდ ცნობილი პროფესორების ხელმძღვანელობით.

ამას ყველაფერს იმიტომ აღვნიშნავ, რომ იმ პერიოდის ჯანდაცვის სისტემაში მშობელი მეტ-ნაკლებად იყო ინფორმირებული პრობლემის გადასაწყვეტად სამედიცინო მომსახურების რომელ რგოლში უნდა მისულიყო, რა სიხშირით და თანმიმდევრობით უნდა ეწარმოებინა ბავშვის ჯანმრთელობის პრევენცია, სხვადასხვა ინფექციების მიმართ პროფილაქტიკური აცრების ჩატარებით და თავისი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით რომელი საავადმყოფოსთვის თუ პოლიკლინიკისთვის უნდა მიემართა დახმარებისთვის.

ამ მხრივ ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ბევრმა პოლიკლინიკამ და ბავშვთა საავადმყოფომ ან საერთოდ შეწყვიტა არსებობა, ან პრაქტიკულად დაკარგა თავისი მნიშვნელობა დღეს არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე. მთელ მსოფლიოში ბავშვის სწორი მომსახურებისთვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პრევენციული მიმართულებების სწორ დაგეგმარებას. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ დღეისათვის, თუ ოჯახში სამედიცინო სფეროში აქტიურად ჩართული პირი არ არის, არსებობდეს სწორი წარმოდგენა, როგორ უნდა იმოქმედოს მშობელმა და კერძოდ, რაზე უნდა აცრას ბავშვი, რა დაავადებებზე, რა ასაკში, რა სახის და ხარისხის ვაქცინით და ა.შ. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული პრობლემის გარკვეულწილად გადაწყვეტისა, ამ მხრივ საკმაოდ არასასურველი სურათი გვაქვს. მეორე მხრივ, დღეს წინა პლანზე წამოიწია თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების როლმა ბავშვთა დაავადებების მკურნალობაში. დღეს თბილისში არ არსებობს არც ერთი ბავშვთა საავადმყოფო და პოლიკლინიკა, რომელიც ისეთ დონეზე იყოს აღჭურვილი თანამედროვე დიაგნოსტიკური საშუალებებით, როგორიცაა თოდუას, ტატიშვილის, ღუდუშაურის და სხვა მსხვილი სამედიცინო ცენტრები. თუმცა მხოლოდ ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოსა და ზოგიერთ სხვა დაწესებულებაში არსებული ცალკეული განყოფილების და კლინიკის ხარჯზე შეუძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა მედიცინის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

სამედიცინო უნივერსიტეტში პედიატრიული ფაკულტეტი გაუქმებულია. გაურკვეველია პედიატრიის ინსტიტუტის ამჟამინდელი მდგომარეობა და პერსპექტივები. ასევე საკმაოდ გაურკვეველია, რეალურად რომელი რგოლი უზრუნველყოფს მოსახლეობის ბავშვთა ნაწილის პირველად სამედიცინო მომსახურებას. ასეთ მდგომარეობაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძველი კარგი ტრადიციის აღდგენას, როდესაც ერთი სრულფასოვანი მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების ფარგლებში იყო შესაძლებელი ბავშვის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი დახმარების უზრუნველყოფა და ამასთან ერთად, ახალგაზრდა ექიმების სათანადო პროფესიულ დონეზე მომზადება.

**- ქალბატონო ქეთევან, თქვენი ზოგადი კონცეფციის პარალელურად, კონკრეტულად რას სთავაზობს თქვენი ბავშვთა კლინიკა საზოგადოებას?**

- მე რომ განვაცხადო, ჩვენი კლინიკა ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მიმართულებით ყველაფრით ან თითქმის ყველაფრით უზრუნველყოფს ამ კონტინგენტის მომსახურებას-მეთქი, არ იქნება სწორი და ალბათ აჯობებს, თანმიმდევრობით მოგახსენოთ ყოველივე იმის შესახებ, რაზეც უფრო მეტად არის მოთხოვნა... ჩვენს კლინიკაში ტარდება აცრები უმაღლესი ხარისხის ვაქცინებით ყველაზე გამოცდილი პედიატრების მეთვალყურეობის ქვეშ. დღეს მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ეთმობა და ენიჭება კომბინირებული ვაქცინების გამოყენებას. სწორედ ამ ტიპის უმაღლესი ხარისხის ფრანგული წარმოების (Aventis Pasteur) ვაქცინების გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების პრევენციის მიზნით ჩვენს ცენტრში ტარდება ბავშვთა ვაქცინაცია. აღნიშნული ვაქცინები უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმალური რისკით. ვაქცინაცია ტარდება შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ: დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომელიტი, წითელა, წითურა, ყბაყურა, A ჰეპატიტი, B ჰეპატიტი, გრიპი.

ჩვენი ცენტრის ბავშვთა სამსახური აღჭურვილია ლაბორატორიული გამოკვლევების, ულტრათანამედროვე ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ტექნოლოგიების, რადიოლოგიური, ენდოსკოპიური, ფუნქციური დიაგნოსტიკის, დენსიტომეტრიის, კომპიუტერული ელექტროენცეფალოგრაფიისა და სხვა დიაგნოსტიკური მეთოდების პრაქტიკულად სრული სპექტრით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღნიშნული მიმართულებით გამოიყენება უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიები და, რაც მთავარია, აქ მუშაობენ ყველაზე თანამედროვე დონეზე მომზადებული სპეციალისტები. ეს მე და ჩემს კოლეგებს გვაძლევს შესაძლებლობას, უმოკლეს დროში უზუსტესი დიაგნოზის სახით მივიღოთ ჩვენთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დროის უმოკლეს პერიოდში შევიმუშაოთ მკურნალობის ყველაზე გამართული გეგმა. რაც შეეხება მკურნალობას, ჩემს მაღალავტორიტეტულ, უაღრესად გამოცდილ კოლეგებთან ერთად, ბავშვთა ასაკში პრაქტიკულად ყველა კლინიკური მიმართულებით უზრუნველყოფილი გვაქვს როგორც საკონსულტაციო, ასევე ერთდღიანი სტაციონარის ტიპის მომსახურება. ჩვენთან ხდება პაციენტის ყველა სახის დახმარება ყველა მიმართულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტი საჭიროებს ხანგრძლივ სტაციონარულ მკურნალობას, ინტენსიურ თერაპიას, ასევე ისეთი სპეციფიკური მიმართულებების შემთხვევაში, როგორიცაა ინფექციური დაავადებები და სხვ. ძალიან დიდ კომფორტს ქმნის დაწესებულებაში სპეციალისტებისთვის არსებული სარეაბილიტაციო მომსახურების ფართო სპექტრი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ფიზიოთერაპიული საშუალებების გამოყენება. დაბოლოს ჩვენს მედიცინაში ამჟამად არსებული საკადრო პრობლემების და ამ მხრივ არცთუ ნათელი სამომავლო პერსპექტივის ფონზე, ჩვენი სამედიცინო ცენტრის ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკურ მომსახურებაში ისეთი დონის სპეციალისტების მოღვაწეობა, როგორიცაა გიორგი მამუკაშვილი, მიხეილ ჩხეტია, ნინო დუმბაძე, ჯანა საყვარელიძე, გია ნატრიაშვილი, ნუგზარ უბერი, ვიქტორ მალოლეტნევი, ზევახ გვეტაძე, მზია შენგელია, ნუნუ გეგეშიძე, მარინა გორდელაძე, თამთა ჯოხაძე (გამოცდილი სპეციალისტების სიმრავლე ყველას ჩამოთვლის საშუალებას არ მაძლევს) განაპირობებს მოსახლეობის მხრიდან ნდობას და რწმენას ჩვენი საქმიანობისადმი.









# სპორტი

## მარკოიშვილმა უკრაინული "ყველა ვარსკვლავი" მოიგო

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" მეოთხე ადგილი დაიბევა და ახლა გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადება. გუშინ "ქორები" ისვენებდნენ. სამაგიეროდ ამ უქმეებზე კარგად გაისარჯნენ ევროპაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელები. კვირას მანუჩარ მარკოიშვილმა უკრაინულ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში ითამაშა და თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

უკრაინულ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში ქვეყნის ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელთა და უკრაინელთა ნაკრებები უპირისპირდება ერთმანეთს. უცხოელთა უპირატესობა ყოველთვის აშკარაა, თუმცა წლეულს უკრაინელებს მოგების რეალური შანსი ჰქონდათ. ამის მიზეზი ის არის, რომ შუა სეზონში, ფინანსური კრიზისის გამო, გუნდებმა არაერთი უცხოელი კალათბურთელი დაითხოვეს. მარტო მარკოიშვილის "ბკ კიევმა" ექვსი ლეგიონერი გაუშვა. მიუხედავად ამისა, "ყველა ვარსკვლავის" მატჩი მაინც უცხოელებმა მოიგეს - 128:123.



*სნაიპერთა ჭიდილში მარკოიშვილი მეორე ადგილზე გავიდა*

როგორც მოსალოდნელი იყო, "მანუმ" ძირითადში ითამაშა და მოედანზე 18 წუთი დაჰყო. დროის ამ მონაკვეთში მან 12 ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა მიითვალა.

მარკოიშვილმა სნაიპერების შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა და ფინალშიც გავიდა, თუმცა ფინალური დაპირისპირება სერგეი გლადირთან წააგო.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ტაირონ ელისის "კახასოლმა" მორიგი გამარჯვება იზეიმა, რაშიც საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებლის უდიდესი დამსახურებაა.

სევილიელებმა სტუმრად "სარაგოსა" დაამარცხეს - 80:73. ელისმა 33 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა და "კახასოლის" რიგებში საუკეთესო მოთამაშე გახდა.

თორნიკე შენგელიას "პამესამ" ბილბაოს "იურბენტიასთან" საშინაო მატჩი 80:67 მოიგო. ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

მოედანზე არც ნიკა მეტრეველი გასულა. იტალიის ჩემპინატის მორიგ ტურში მისმა "მონტეპასკიმ" პეზაროს "სკავოლონისთან" გასვლითი მატჩი 100:90 მოიგო.

არც გიორგი შერმადინს მიეცა საბერძნეთის ჩემპიონატში თამაშის საშუალება. წინა ტურში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მწვრთნელი ამჯერადაც მისცემდა შერმადინს სათამაშო დროს. "პანათინაიკოსმა" "პაოკთან" დათმო მატჩი. თავისი გუნდის მარცხს შერმადინი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

## რუმინელებმა ბოლმა გადმოანთხიეს

ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში რუმინეთის ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა, რამაც, ეტყობა, რუმინული რაგბის მესვეურები და თავად რუმინელი მორაგბეებიც ზედმეტად დაბოღმა. ალბათ, გახსოვთ საქართველო-რუმინეთის მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა. რუმინელები ცდილობდნენ ჩვენი ბიჭების პროვოცირებას. თბილისურ შეხვედრაში "ბორჯღალოსნებმა" რუმინელებს რაგბიშიც აჯობეს და ჩხუბშიც. ის ბოღმა რუმინელმა მორაგბეებმა ამ დღეებში გადმოანთხიეს ქართველებზე. ეს მოხდა რუმინეთის ჩემპიონატის შეხვედრაში ბუქარესტის "დინამოსა" და "ფარულს" შორის. "ფარულში" ირაკლი ნატრიაშვილი, კახა უჩავა, გიორგი ხოსიტაშვილი და ბიძინა სამხარაძე თამაშობენ. სწორედ ისინი იქცნენ დინამოელთა სამიზნედ. თამაშის მეექვსე წუთზე "დინამოს" მორაგბეებმა, ყოვლად უწყინარ ვითარებაში, ატეხეს ჩხუბი და მთელი გუნდით სწორედ ქართველებს დაესივნენ. დინამოელთა მწვრთნელი კი სათადარიგოთა სკამიდან გაიძახოდა, "ლუპეი-ი პე გეორგიენი", რაც ქართულად ნიშნავს, "ქართველები გახიეთო". საშინელ ჩხუბში ყველაზე უმოწყალოდ მოხვდა ირაკლი ნატრიაშვილს. რუსთაველ მორაგბეს რამდენიმე დინამოელი ურტყამდა, თუმცა, არც ჩვენებურს დაუკლია ხელი. ნატრიაშვილს თვალი დაუშავდა და თითი მოსტყდა, ხოსიტაშვილს ტვინის შერყევა დაუდგინეს, ხოლო უჩავას - ყბის მოტეხილობა. ყველაზე იოლად გადარჩა სამხარაძე, რომელმაც ერთ-ერთ დინამოელს გვარიანი წიხლი უთავაზა.



*რუმინელებმა თბილისში მარცხისთვის შური იძიეს. ირაკლი ნატრიაშვილს ჩხუბის შედეგად თვალი და ხელი დაუზიანდა.*

"დინამოს" მხრიდან მძიმედ დაშავდნენ მერსოიუ და დობრე.

არბიტრმა დინამოელთა ორი მოთამაშე გაასინბინა და მატჩის გაგრძელება განიზრახა, მაგრამ "ფარულის" მესვეურებმა არ ისურვეს და თამაში ჩაიშალა.

ჩხუბის კადრები გუშინვე დაიდო "იუთუბიზე", რაც შემდეგ ქართულმა ტელეარხებმაც აჩვენეს. შემზარავი სანახაობა იყო. რაგბისთვის ჩხუბი უცხო არ არის, მაგრამ ჩხუბი მინდორზე იწყება და იქვე მთავრდება. რუმინელებმა რაგბის მთავარი პრინციპი დაივიწყეს და საქართველოში განცდილი მარცხის გამო ჩვენს მორაგბეებზე იყარეს ჯავრი. გუშინ რუმინეთის რაგბის კავშირს ინციდენტის მონაწილეები უნდა დაესაჯა. თუმცა, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ვერდიქტს გამოუტანენ რუმინული რაგბის მესვეურები თავიანთ სპორტსმენებს.

საბედნიეროდ, ჩვენმა ბიჭებმა საავადმყოფოში მხოლოდ ერთი დღე დაჰყვეს და გუშინ საკუთარ გუნდს დაუბრუნდნენ.



### დავით კოვზირიძის სვეტი

## წილების ხვედრი

კოლეგა ნოდარ ლადარიასთან, როგორც ამ სფეროში პროფესიონალურ დონეზე ჩახედულ ადამიანთან, ერთი უმორჩილესი თხოვნა მაქვს და იქნებ მან მაინც გამაგებინოს: ბოლო დღეებში სულ ვცდილობ გავარკვიო (მანამდე მხოლოდ ვფიქრობდი ამაზე), საიდან იშვა ვერსია, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა? ეს რამე ლეგენდაა, რომელსაც მემატიანეები გადმოგვცემენ თუ პირველად ეროვნული მოძრაობისას გაისმა რომელიმე მთვრალი არაფორმალის წვერებში ჩამალულ ბაგეთაგან?

სანამ ზუსტ პასუხს გავიგებ, უნდა ვიმარჩიელო. პასუხი ამ ამბავს ორი აქვს. პირველი - არის წილხვედრი. მეორე - არ არის. ინტუიცია და ფაქტები მკარნახობს, რომ სწორი პასუხია - არ არის, მაგრამ იმდენი ადამიანი ირწმუნება არისო, რომ დავიბენი. უფრო დამაბნეველი კი ისაა, რომ მათ უბრალოდ ჰგონიათ რომ არის და თუ რატომ, საიდან, როგორ, წარმოდგენა არ აქვთ.

არადა, ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია - თუ მართლაც წილხვედრია, რატომ ვცხოვრობთ ოციდან ცხრამეტი საუკუნე ძალიან ცუდად? წესით ხომ პირიქით უნდა იყოს? თუ ეს მართლაც ასეა, იქნებ რაღაც ვალდებულებებიც აქვს ამ წილხვედრობას და ჩვენ ეს არ ვიცით, ან ვიცით და გვეზარება მათი შესრულება, ან ვიცით, რომ გვაქვს, მაგრამ არ ვიცით, როგორ შევასრულოთ. იქნებ მხოლოდ გათეთრებული ფულით ეკლესიების მშენებლობა, მიტინგზე ხატების დაბრძანება და მერე იქვე დედის გინება, რელიგიით სპეკულანტობა და სხვა მახინჯი გამოვლინება არაა საკმარისი ამ წილხვედრობის დადებითი ენერგეტიკის ჩვენს სასარგებლოდ გამოსაყენებლად?

ახლა მარხვის ყველაზე მძიმე დღეებია. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძნელად შესასრულებელი მედიტაცია (შეზღუდულ ჭამასმას არ ვგულისხმობ) გადამწყვეტ ფაზაში შედის. ნამდვილი მემარხულის შინაგანი სამყარო და გონება სწორედ ამ დღეებში უნდა განიწმინდოს სულიერი ნაგვისგან, ადამიანი ახლა უნდა გახდეს მაქსიმალურად მოსიყვარულე, კეთილი, მიმტევებელი. და რა ხდება ამ დროს ერთი ვერსიით ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში? რა და, ოთხი მილიონი კაცი დაძაბული, შეშინებული, დაბნეული უყურებს იმას, თუ როგორ იბრძვის ერთმანეთში ასი ადამიანი პირადი მატერიალური კეთილდღეობისთვის. ოთხი მილიონი კაცი არკვევს და ელოდება, თუ ამ ასის რომელი ნაწილი იგულავებს ახლო მომავალში. ასმა ოთხ მილიონს მოგვიგო! და სადაა პრობლემა, როცა ასე ხდება - ასში თუ მილიონებში? რა თქმა უნდა, მილიონებში.

ჰოდა, ამიტომაც მგონია, რომ საქართველო არა ღვთისმშობლის, არამედ ამ ასეულის წილხვედრი ქვეყანაა.

ეს ორად გაყოფილი პირობითი ასეული აკეთებს რევოლუციებს, კონტრრევოლუციებს, ფულს, აწყობს პროვოკაციებს, იგონებს ათას სიბინძურეს, ჩვენ კი ვსხედვართ და ერთმანეთს იმაზე ვეკამათებით, ვინაა ამათგან მართალი და ვინ მტყუანი. ისინი ამით არ იღლებიან, რადგან უმეტესობა რაღაც ხეირს მაინც ნახულობს, ჩვენ კი, ამ ოთხ მილიონ ადამიანს, ქანცი გაგვძვრა. არა საქმის კეთებაში, არა მუშაობაში, არა სოლიდარობაში, არა საერთო მტერთან ბრძოლაში, არამედ არაფერზე კამათში და ჩხუბში.

იქნებ ჯერ ჩვენ შევიცვალოთ?

*მომავალ სამშაბათამდე*

## გვარდიოლა ფრთხილობს

"ბარსელონას" მთავარ მწვრთნელს პეპ გვარდიოლას არ მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩის მოგების შემდეგ მის გუნდს ნახევარფინალის საგზური დაზღვეული აქვს. შეგახსენებთ, რომ "ბარსამ" "ბაიერნი" 4:0 დაამარცხა. თითქოს ამ წყვილში გამარჯვებული უკვე გამოვლინდა და განმეორებით მატჩს ფორმალური ხასიათი უნდა ჰქონდეს, თუმცა გვარდიოლა ასე არ ფიქრობს. ამის საბაბი მას მისცა "ბაიერნმა", რომელმაც გერმანიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ანგარიშით 4:0 "ანტრახტი" დაამარცხა.

"ბავარიას" შეუძლია ოთხი გოლის გატანა. რიბერი, ტონი შვაინშტაიგერი და კომპანია ძალზე სახიფათოა ჩვენთვის. ამის გასათვითცნობიერებლად საჭირო არ არის მაინცდამაინც იმ მატჩის ხილვა, რომელშიც "ბავარიამ" "ანტრახტს" 4:0 მოუგო. ნახევარფინალში გამსვლელის ბედი ჯერაც არ არის გარკვეული. ყველაფერს მიუნხენური მატჩი გადაწყვეტს", - აცხადებს პეპ გვარდიოლა.

ამ ორი გუნდის თაობაზე კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ფრანკ რიბერის შეძენა თითქმის ყველა გრანდს სურს, მათ შორის "ბარსელონასაც". ყოფილმა ბარსელონელმა, ამჟამად კი "ბაიერნის" კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა გერმანელ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ფრანგ ნახევარმცველს "ბარსელონაში" სურს გადასვლა.

"რიბერის სურს "ბარსელონაში" გადასვლა. ის გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა მიმაჩნია, რომ თუ კატალონიაში გადავა, ეს მის კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება", - ამბობს ვან ბომელი.

## "მანჩესტერი" პორტუგალიაში მოსაგებად ჩადის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი პოლ სქოულზი მიიჩნევს, რომ მის გუნდს შესწევს ძალა სტუმრად დაამარცხოს "პორტუ" და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდეს. ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც "ოლდ ტრაფორდზე" გაიმართა, ფრედ - 2:2 დასრულდა, რაც განმეორებითი მატჩის წინ "პორტუს" გარკვეულ უპირატესობას აძლევს. "პორტუში ერთადერთი რამ მოგვეთხოვება - მოვიგოთ საფეხბურთო მატჩი. თუ ჩვენი გუნდის შემადგენლობას და ფეხბურთელთა ოსტატობას გავითვალისწინებთ, ეს სრულიად რეალურია. "ოლდ ტრაფორდზე" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით, თუმცა საგანგაშო არაფერია. ჩემი აზრით, ნახევარფინალში მაინც გავალთ", - აცხადებს სქოულზი.

## ოიერი პსვ-ში ბრუნდება

ინგლისურ ბლექბერნში" მოთამაშე 34 წლის ჰოლანდიელი მცველი ანდრე ოიერი თავის ყოფილ კლუბ პსვ-ს უბრუნდება.

ფილიპსელთა სპორტულმა დირექტორმა იან რეკერმა ბრიტანელ ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია და, ფეხბურთელის მიერ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება.

"დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მომავალ სეზონში ოიერი პსვ-ში ითამაშებს. მას მხოლოდ სამედიცინო შემოწმება დარჩა გასავლელი," - განაცხადა რეკერმა.

## ძოლას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

წარსულში ლეგენდარულ იტალიელ ფეხბურთელს, ამჟამად კი ლონდონის "ვესტ ჰემის" მთავარ მწვრთნელად მომუშავე ჯანფრანკო ძოლას "ჩაქუჩების" ხელმძღვანელები ახალ ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. "ვესტ ჰემის" მწვრთნელის პოსტზე ძოლამ ალან კერბიშლი შეცვალა და გუნდი კრიზისიდან გამოიყვანა.

მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, ძოლა პრემიერლიგის მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი სპეციალისტია. მისი ანაზღაურება წელიწადში დაახლოებით 1,5 მილიონ ფუნტია.

ახალი კონტრაქტის თანახმად, რომლის პირობები უკვე შეთანხმებულია, ძოლა გაცილებით მეტს მიიღებს.

# ყენიას ბუნდესლიგური დებიუტი



ყენიამ პირველი ბუნდესლიგური მატჩი გამართა

ბოლო ხანს უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები ბევრით ვერაფრით გვახარებენ. ქართულ ლეგიონზე საუბრისას მხოლოდ სტატისტიკით ვკიწევს შემოფარგვლა, თუმცა გასული უქმეები შეიძლება გამონაკლისადაც ჩავთვალოთ. ამჯერად ჩვენთვის სასიხარულო რამ მოხდა გერმანიის ჩემპიონატში. ცხადია, ლეგიონზე საუბარს საუკეთესო ხუთეულით ვიწყებთ, მაგრამ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინგლისისა და იტალიის ჩემპიონატში ჩვენთვის საინტერესო არაფერი ხდება. პრემიერლიგაში "ბლექბერნი" ხიზანიშვილის გარეშე დამარცხდა, იტალიის ჩემპიონატში კი კალაძე და მჭედლიძე ისევ ტრავმების გამო უქმობენ. ბუნდესლიგაში, როგორც იქნა, ლევან ყენიას დებიუტი გაიმართა. ქართული ფეხბურთის იმედად შერაცხულმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ბუნდესლიგის გათამაშების 27-ე ტურში ითამაშა. დებიუტი წარმატებული გამოდგა.

"შალკე" ამ ტურში ბოლო ადგილზე მყოფ "კარლსრუეს" მასპინძლობდა. როგორც იცით, ამ გუნდის ღირსებას ალექსანდრე იაშვილიც იცავს, თუმცა "შალკე"-"კარლსრუეს" მატჩში მხოლოდ გელზენკირხენელი ქართველები გავიდნენ მოედანზე.

ლევან კობიაშვილი თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო. მან 72-ე წუთამდე ითამაშა, მერე კი ჰოლანდიელმა ენგელაარმა შეცვალა. ყენია ჯეფერსონ ფარფანის ნაცვლად 88-ე წუთზე შევიდა მინდორზე და ბუნდესლიგის გათამაშებაში თავისი პირველი წუთები ითამაშა.

"შალკემ" მატჩი იოლად მოიგო (2:0) და უეფას ზონას მიუახლოვდა.

რაკი გერმანიაზე ვსაუბრობთ, წესით, მეორე ბუნდესლიგაზეც უნდა ვთქვათ, მაგრამ 27-ე ტურმა ქართველების გარეშე ჩაიარა.

უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ასათიანი "დინამოს" ძირითადში გამოჩნდა. კარგა ხანია, მალხაზი უკრაინულ გრანდში ირიცხება, მაგრამ "დინამოში" დიდი კონკურენციაა და სიომინი არ ათამაშებდა. ოდესის "ჩერნომორეცთან" მატჩი "ასკამ" ძირითადში დაიწყო და თავის გუნდს მეტოქის ძლევაში დაეხმარა. "დინამომ" 3:1 გაიმარჯვა და უკრაინის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამავე ტურში ლაშა ჯაკობიას "არსენალმა" "შახტართან" წააგო გასვლითი მატჩი. ქართველი ფორვარდი მინდორზე მატჩის მიწურულს შევიდა. ლვოვის "კარპატისა" და ხარკოვის "მეტალისტის" ფრედ დასრულებულ შეხვედრაში ლვოველთა რიგებში 56 წუთი ითამაშა სანდრო გურულმა. რაც შეეხება უკრაინაში მოასპარეზე დანარჩენ ქართველებს, გიორგი ციმაკურიძის "ზარია" "ხარკოვს" მასპინძლობდა და გაიმარჯვა კიდეც. ქართველი მცველი მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და მთელი მატჩი ისე ჩაატარა, არაფრით გამოუჩენია თავი. ლადო ბურდულისა და ვასილ გიგიაძის "ტავრია" საკუთარ მოედანზე "კრივბასს" მასპინძლობდა და რაკი 32-ე წუთზე გაშვებული გოლი ვერ გაქვითა, უქულოდ დარჩა. ქართველთაგან განაცხადში იყო გიგიაძე, რომელიც მოედანზე 72-ე წუთზე შევიდა, მაგრამ საინტერესო ვერაფერი გააკეთა. ჯაბა კანკავასა და ზურა გოცირიძის "დნეპრომ" "ვორსკლას" უმასპინძლა და, ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით, 2:1 გაიმარჯვა. ქართველ ფეხბურთელთაგან მოედანზე არავინ გამოჩენილა.

რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ნალჩიკის "სპარტაკი" ალექსანდრე ამისულაშვილმა იხსნა მარცხისგან. ამისულაშვილმა, გოგიტა გოგუას დარად, "სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და 81-ე წუთზე გამოიჩინა თავი. "სატურნის" მეკარე კინსკიმ ბიკმაევის დარტყმა მოიგერია, ალეკომ კი დასწრებაზე ყველას აჯობა. მოსკოვის "ლოკომოტივმა", რომლის ღირსებას ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი იცავს, რუსულ პრემიერლიგაში პირველი მარცხი განიცადა.

რკინიგზელები პირველობის ერთ-ერთ ფავორიტს - მოსკოვის ცსკა-ს ესტუმრნენ და 1:4 დამარცხდნენ. მუჯირი 75-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, სამ წუთში კი მისი პასით მარკო ბაშამ პრესტიჟის გოლი გაიტანა. რუსეთის ჩემპიონატში სხვა ქართველებიც მრავლად არიან, თუმცა მორიგ ტურში მოედანზე არ გამოჩენილან.

უნგრეთის ჩემპიონატის 22-ე ტურში დავით ოდიკაძისა და რატი ალექსიძის "დიორ ეტომ" ბუდაპეშტის მტკ-ს უმასპინძლა და 3:1 სძლია.

ოდიკაძემ შეუცვლელად ითამაშა, ალექსიძე კი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა. დავით იმედაშვილის "ნიირეგიჰაზა სპარტაკუსი" "კაპოშვარს" დაუხვდა და 0:1 წააგო. ქართველმა მცველმა შეუცვლელად იასპარეზა.

ავსტრიის პირველობის ერთ-ერთ ლიდერთან ვენის "რაპიდთან" გასვლით მატჩში გამარჯვება იზეიმა ილია კანდელაკისა და გიორგი შაშიაშვილის "შტურმმა". მიუხედავად იმისა, რომ გრაცელებმა ტაიმზე მეტი კაცნაკლულებმა ითამაშეს, ჰაასის გოლის წყალობით, 1:0 გაიმარჯვეს. ქართველმა მცველებმა შეუცვლელად იასპარეზეს.

ჩეხეთის ჩემპიონატის 23-ე ტურში "ზლინთან" საშინაო მატჩში 66-ე წუთიდან ითამაშა "ვიქტორია პლზენის" ქართველმა ფორვარდმა დიმიტრი ტატანაშვილმა. ქართველის კლუბმა მეტოქე 5:0 დაამარცხა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ქართველების დიდი კოლონაა.

21-ე ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა სტადიონ "შაფაზე", სადაც გიორგი ადამიას, ამირან მუჯირისა და გიორგი დემეტრაძის "ბაკი" ბადრი კვარაცხელიას მიერ დარიგებულ "სტანდარდს" ესტუმრა და 2:1 გაიმარჯვა.

ადამიამ ბაქოელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, მე-18 წუთზე ანგარიში გახსნა, პირველივე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი ნაჩვენკი დაუთმო ადგილი. დემეტრაძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა, მუჯირი კი დისკვალიფიცირებულია და გუნდის განაცხადში არ ყოფილა.

კვარაცხელიას "სტანდარდში" დავით ჭიჭველიშვილმა და ლევან სილაგაძემ შეუცვლელად იასპარეზეს. ამ უკანასკნელმა გაფრთხილება მიიღო.

44 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდა ზაქათალის "სიმურგი", რომელმაც დედაქალაქური "ბაკილი" 3:0 დაამარცხა. ზაქათალელთა რიგებში კახაბერ ჩხეტიანმა, დავით ბოლქვაძემ და მიხეილ მახვილაძემ შეუცვლელად ითამაშეს.

ფრედ - 1:1 დასრულდა "გაბალასა" და ბაქოს "ოლიმპიკის" მატჩი. მასპინძელთა შემადგენლობაში თორნიკე აფციაურმა და გოგა ბერაიამ 90-90 წუთი იასპარეზეს, სტუმართა რიგებში კი სამი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა.

ალექსანდრე გოგობერიშვილმა სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო. რომან ახალკაცი 57-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, რევაზ გეწაძე კი 81-ე წუთიდან იასპარეზა.

ალექსანდრე ინწკირველის "ქარვანი" ტოვუზში "თურანთან" 0:4 დამარცხდა. ქართველმა მცველმა 90 წუთს ითამაშა და პირველ ტაიმში გაფრთხილება მიიღო.

# ევროპას თბილისის სჭერა

გიგა გურასაშვილი

*კარგია, რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება გავლენას არ ახდენს თბილისის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე. ყოველ შემთხვევაში, თბილისურ მიტინგებს რომ ევროპის ძიუდოს კავშირში შემავალ ეროვნულ ფედერაციებზე გავლენა არ მოუხდენია, ამაზე ჩამომსვლელთა რაოდენობა მეტყველებს. მანამდე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს და ევროპის ძიუდოს კავშირის რუს პრეზიდენტს სერგეი სოლოვეიჩიკს საკუთარი სამწყსოსთვის მიუმართავს, ევროპის ჩემპიონატი დათქმულ დროს და დათქმულ ადგილზე ჩატარდებაო. ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღე დარჩა.*




*თბილისის ევროპის ჩემპიონატზე ჯარჯი ზვიადაურსაც ვიხილავთ*

ევროპულ ტატამზე ასპარეზობის მსურველთა მხრიდან განცხადებებს საქართველოს ძიუდოს კავშირსა და საორგანიზაციო კომიტეტში გუშინდლამდე ელოდნენ. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ თბილისში ჩამოსვლის სურვილი დაადასტურა 37 ქვეყნის ნაკრებმა.

"ფედერაციათა უმეტესობამ შემადგენლობაც კი გვაცნობა. სპორტის სასახლეში თითქმის ყველა ტიტულოვანი ძიუდოისტი იჭიდავებს, - ამბობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრესსამსახურის უფროსი ზურაბ უსუფაშვილი, - ძიუდოს გულშემატკივარი თბილისში იხილავს ოლიმპიურ ჩემპიონებს, გერმანელ ოლე ბიშოფს, საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ილიას ილიადისს (ჯარჯი ზვიადაური), ბელარუს იგორ მაკარაუს. მონაწილეთა შორის იქნებიან მსოფლიო ჩემპიონები, ჰოლანდიელი რუბენ ჰუქსი, ფრანგი ტედი რინერი. რა თქმა უნდა, მათ შორის არიან ევროპის ჩემპიონები და პრიზიორებიც".

ყველაზე დიდი დელეგაციით ჩამოვლენ ფრანგები. 32-კაციან გუნდში ცხრა მწვრთნელია. დიდი დელეგაციით გვესტუმრებიან გერმანელები, ჰოლანდიელები, უკრაინელები, რუსები. რუსეთის ნაკრებში იქნება პუტინის ჯილა ივან პერშინი, ის, ვინც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე წააქცია ირაკლი ცირეკიძემ.

როგორც წესი, ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლისგან თავს იკავებენ ძლიერი სპორტსმენები. სასიამოვნოა, რომ თბილისის ტურნირს ეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს ნაკრები ბორჯომში გადის ბოლო შეკრებას. თუმცა, ჯერაც უცნობია რჩეული შვიდეული.

ბაკურიანულ შეკრებაზე მწვრთნელსა და ძიუდოისტთა ერთ ჯგუფს შორის მომხდარი უკმაყოფილება რომ არა (სპორტსმენებმა თვითნებურად დატოვეს შეკრება), შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს აქამდეც გაეხმოვანებინა თავის რჩეულთა ვინაობა. ეს ალბათ პარასკევს მოხდება.

# ბოლტს პატარაობისას მოსაწევი შეუკეთებია

*პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი გმირი, იმავე თამაშების სამგზის ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე რბენაში, იამაიკელი უსეინ ბოლტი აღიარებს, ბავშვობაში მარიხუანა გამისინჯავსო.*




"იამაიკაზე ასეა - პატარაობიდანვე სწავლობ მოსაწევის შეკეთებას. ერთხელ მაინც ყველას გაუსინჯავს მარიხუანა. მათ შორის მეც. მაგრამ მაშინ ლაწირაკი ვიყავი, - ამბობს ბოლტი და იქვე ამატებს, რომ თავი შორს უჭირავს იმ ადამიანებისგან, რომლებიც ნარკოტიკებთან არიან დაკავშირებული, - ჩემს ოჯახში და ახლობელ ადამიანთა წრეში არავინ ეწევა და არც ასეთ ადამიანებთან აქვთ კავშირი".

იამაიკელ სპრინტერზე საუბრისას ერთნი აცხადებდნენ, აკრძალულ პრეპარატებს იყენებსო. ბოლტი ამბობს, რომ ჭორებს ყურადღებას არ აქცევს: "ყველას შეუძლია ის თქვას, რასაც მოისურვებს. მთავარი ის არის, რომ საკუთარ თავთან მართალი და სუფთა ვარ. სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა და არა იმას, თუ რას ლაყბობენ შენზე".

ბოლტმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ოლიმპიური სეზონის განმავლობაში ორმოცამდე დოპინგტესტი ჩააბარა. უსეინ ბოლტმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 100, 200 და 4X100 ესტაფეტა, ოქროს მედლებთან ერთად, მსოფლიო რეკორდით აღნიშნა. შეგახსენებთ, რომ მარიხუანა იმ აკრძალულ პრეპარატთა ნუსხაშია, რომელსაც მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო კრძალავს.

## "ვალენსიამ" დავიდ სილვა შეაფასა

"ვალენსიასა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის დავიდ სილვას შეძენა არაერთ გრანდს სურს. ერთხანს "ღამურები" თითქოს უარს ამბობდნენ ფეხბურთელის გაყიდვაზე, თუმცა, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. ახლა "ვალენსიას" ხელმძღვანელობა მზადაა, სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, შეელიოს სილვას.

ორიოდე დღის წინ ესპანურ კლუბს ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა მიმართეს სილვას ტრანსფერის თაობაზე, თუმცა "ვალენსიას" ბოსებმა იტალიელი კოლეგები უარით გაისტუმრეს, რადგან შეთავაზებული თანხა ეცოტავათ. იტალიური კლუბი მზად იყო სილვაში 10 მილიონი ფუნტი გადაეხადა და "ვალენსიასთვის" ნახევარმცველი კრისტიან პოულსენიც დაეთმო. თუმცა, ესპანელებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ტრანსფერში 20 მილიონი ფუნტის მიღება სურთ.

23 წლის სილვა 2004 წლიდან გამოდის "ღამურების" რიგებში. ამას წინათ მისი შეძენის სურვილი მადრიდის "რეალმა" და "ჩელსიმაც" გამოთქვეს. ასე რომ, "ვალენსია" ალბათ მიიღებს იმ 20 მილიონს, რომელსაც ფეხბურთელის ტრანსფერში ითხოვს.

## ადრიანო "ფენერში" დაპატიჟეს

მართალია, მილანის "ინტერის" ფორვარდმა ადრიანომ განაცხადა, ფეხბურთიდან ცოტა ხნით მივდივარ, რათა ალკოჰოლიზმის პრობლემები მოვაგვაროო, ფორვარდს შეთავაზებები არ აკლია. Channel 4-ის ინფორმაციით, თურქულ კლუბ "ფენერბახჩეს" მესვეურები 27 წლის ბრაზილიელ მეგოლესთან აქტიურ მოლაპარაკებას მართავენ. შესაძლოა ადრიანომ კარიერა გაგრძელოს სწორედ "ფენერში", სადაც ამჟამად მისი თანამემამულე და მეგობარი რობერტო კარლოსი თამაშობს.

## "ჰამბურგს" ახალგაზრდა მცველის შეძენა სურს

ჰოლანდიური მედიის ინფორმაციით, გერმანული "ჰამბურგი" "ვიტესის" 19 წლის მცველის ნიკი კუიპერის შეძენას აპირებს.

ნიჭიერი მარცხენა მცველი "ვიტესის" აკადემიის აღზრდილია. პირველი გუნდის მაისურა მან მიმდინარე სეზონში მოირგო.

## "ჰოფენჰაიმში" პელე ითამაშებს

სახელგანთქმული განელი ფეხბურთელის აბედი პელეს ვაჟი აბდულ რაჰიმ აიევი შესაძლოა მომავალი სეზონიდან გერმანულ კლუბ "ჰოფენჰაიმის" ფეხბურთელი გახდეს. ამ ინფორმაციას ავრცელებს განური კლუბი "ილევენ ვაიზი", რომელშიც ახლა ირიცხება აბედი პელეს 23 წლის ვაჟი.

"შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ რაჰიმი ამ დღეებში გერმანიაში მიემგზავრება სამედიცინო შემოწმების გასავლელად. თუ გაივლის, "ჰოფენჰაიმთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს," - განაცხადა "ილევენ ვაიზის" მთავარმა აღმასრულებელმა ჯამილ მარაბიმ.

## ტორესის სურვილი

ამ ზაფხულს სამხრეთ აფრიკაში გაიმართება კონფედერაციის თასის გათამაშება, რომელზეც ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრებიც არის მიწვეული. "ლივერპულის" ფორვარდი ფერნანდო ტორესი ამ ტურნირზე თამაშს აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ, თუ სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება, ნორმალურად დასვენებას ვერ მოახერხებს.

"ამ ზაფხულს კონფედერაციის თასზე აუცილებლად უნდა ვითამაშო. შესაძლოა, ამან მომავალი სეზონისთვის ჩემს მზადებაზე გარკვეული კვალი დატოვოს, მაგრამ ეს ჩემი სამუშაოა. მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში 19 თამაში ჩავატარე და 11 გოლი გავიტანე, რაც ურიგო შედეგი არ არის. მიუხედავად ამისა, მიმდინარე სეზონის შემდეგ სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, რათა მომავალ გათამაშებას 100 პროცენტით მზად შევხვდე. თუ ტრავმები ხელს არ შემიშლის, შესაძლოა, შემდეგ გათამაშებაში მეტი გოლი გავიტანო," - განაცხადა ტორესმა.



*პოლონელებს ტრადიცია ჰქონიათ: აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მე-19 საუკუნისთვის დამახასიათებელ ტანისამოსში ეწყობიან და იმ დროისთვის ჩვეული აღჭურვილობით სათხილამურო ტრასაზე გადიან. ბუნებრივია, ეჯიბრებიან კიდეც ერთმანეთს.*

*ქალბატონი, რომელიც ასეთი მონდომებით სერავს დათოვლილ ტრასას, ტრადიციების ერთგული დამცველია. შეჯიბრებას კი, ასევე ტრადიციულად, ზაკოპანიეს მახლობლად კალატოვკის ველი (ტატრას მთებში) მასპინძლობს.*

AFP ' 2009

# განცხადება

## სარფი-ბათუმი-ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (Dor), აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, ტექნიკურ დახმარებას უწევს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სარფი-ბათუმი-ქობულთის შემოვლითი გზის (დაახლოებით 58 კმ) მშვენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას. პროექტი მოიცავს სანიჟინრო, ეკონომიკურ, სოციალური და ბუნებრივი გარემოს შეფასებას, ასევე ინსტიტუციონალურ ანალიზს. შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს:

- სარფი-ბათუმი-ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობას, რომელიც მომავალში ფოთი-სარფის გზის მონაკვეთის თანამედროვე, უსაფრთხო განვითარებას შეუწყობს ხელს;
- ხელისუფლებისა და აზიის განვითარების ბანკს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, საინვესტიციო საინჟინრო და გარემოსდაცვითი პირობების მომცველი პროექტის მომზადებას, რომელიც გულისხმობს სატრანზიტო მოძრაობის გაზრდას, სატრანსპორტო ღირებულებისა და სამგზავრო დროის შემცირებას, რეგიონებს შორის კოოპერაციის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან კონტრიბუციას მოუტანს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით;

აზიის განვითარების ბანკის OM20 - გარემოსთან დაკავშირებული განსაზღვრების მიხედვით პროექტი შეფასდა, როგორც ა კატეგორიის პროექტი, რაც ორი საჯარო განხილვის ჩატარებას ითვალისწინებს. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის, თავი II, მუხლი 6-ის შესაბამისადაც გათვალისწინებულია საჯარო განხილვის ჩატარება.

პირველი საჯარო განხილვა მოხდება გზშ-ის საველე სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე და მისი მიზანია გააცნოს საზოგადოებრიობას პროექტზე მომუშავე ჯგუფი, განიხილოს გზების ალტერნატიული ვარიანტები, არსებული გარემოს ასპექტები, გარემოზე პოტენციური ზემოქმედების სახეები და შესაბამისი შემარბილებელი ზომები.

მეორე საჯარო განხილვა მოეწყობა გზშ-ის დასკვნითი ანგარიშის დასრულების შემდეგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნითი ანგარიში წარედგინება აზიის განვითარების ბანკს და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებრიობისთვისაც.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მობრძანდნენ 2009 წლის 28 აპრილს, დილის 9 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№11, ინტურისტ პალას ოტელი.

საჯარო განხილვას დაესწრებიან საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები, კონსულტანტები და სხვა ოფიციალურად მოწვეული პირები, რომლებიც გასცემენ წამოჭრილ შეკითხვებზე შესაბამის პასუხებს.

საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და საჯარო განხილვის შედეგებთან დაკკავშირებული წინადადებები და კომენტარები წერილობითი სახით შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზებზე:

თბილისი. ალ. ყაზბეგის გამზ. №12
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ტექნიკური სამსახურის უფროსს
ბატონ თენგიზ გველესიანს
ელ. ფოსტა: gvelesiani@georoad.ge

თბილისი. თ. ჭოველიძის ქ.№23
ბატონ მასუდ კარიმს, ინჟ. პროფ.
გარემოს სპეციალისტი,
აგბ-ის სპეციალისტი.
ელ. ფოსტა: masud@eng-consult.com

www.24saati.ge 24 საათი ყოველდღიური

The New York Times
Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.
მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.
ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;





# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 4 (ოთხი) ლოტად დაყოფილ ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 311 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 03 მაისის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა.
2. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი:

| ლოტი № | სატრანსპორტო საშუალებების დასახელება მოდელების მიხედვით | მომსახუ-რების დასახელება |
|---|---|---|
| 1 | ა) ტოიოტა"კამრი" (2.4 ¡; 2.2 ) 3.<br>ბ) ტოიოტა კოროლა – 2.<br>გ) ტოიოტა ჰაილუქსი – 2.<br>დ) ლექსუსი ჯიპი RX 330 – 1.<br>ე) ტოიოტა პრადო – 1.<br>ვ) ტოიოტა ჰაისი – 2.<br>ზ) ნისან ნავარა – 23. | ტექნიკური მომსახურება (სერვისი) |
| 2 | ა) "ბე-ემ-ვე" X5 ჯიპი – 1.<br>ბ) „მერსედესი CLK 320" – 1.<br>გ) "მერსედესი- E320" - 1.<br>დ) მერსედესი- 124 - 2.<br>ე) ოპელ"ვექტრა" (A; B; C) – 4.<br>ვ) "ბე-ემ-ვე 530" – 1.<br>ზ) "ოპელ ომეგა" – 1<br>თ) "ოპელ ასტრა" – 1<br>ი) მერსედესი ML 270 – 1.<br>კ) ვოლვო V-70 – 1. | |
| 3 | ა) მიკროავტობუსი "მერსედესი – 208 D" - 1.<br>ბ) მიკროავტობუსი "ფორდ ტრანზიტი" – 8.<br>გ) ავტობუსი"ივეკო"-ს მარკის – 2.<br>დ) მიკროავტობუსი „მერსედეს ვიტო" – 1 | |
| 4 | ხმელეთის სკუტერი<br>YAMAHA RACING SPORTS – 16<br>ხმელეთის სკუტერი MONDIAL – 1<br>მოტოციკლი YAMAHA – 5 | |

3. – გასაწევი მომსახურების სავარაუდო ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის ბოლომდე.
4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ერთი დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 04 მაისს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების კონვერტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 04 მაისს 15:00 საათზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ: (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცის საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
ე) სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
ზ) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
**შენიშვნა:** ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება
6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
8. საგალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდეც, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი ლომიაძე, ტელ: 41 30 17, 877 77 25 35;

სატენდერო კომისია

# ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება №09.11.289

1 აპრილი 2009წ

**ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის $9^1$ და მე–14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1-ში მითითებული, ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.
2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს დავით მეფარიშვილი (დაბ. 02.04.1973 წელს, პირ. № 01034004756).
3. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.
4. დანართში მითითებული საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისულ ცენტრებში არსებული დოკუმენტაცია გადაეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის ცენტრალურ არქივს.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.
6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი 1

| | დასახელება | მისამართი |
|---|---|---|
| 1 | შპს "ავჭალის უბნის ს/კ მომსახურების ს/ცენტრი" | ავჭალა,კორპუსი №2 |
| 2 | შპს მთაწმინდა-კრწანისის რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც "სოლოლაკი" | მაჩაბლის ქუჩა №2/4 |
| 3 | შპს მთაწმინდა-კრწანისის რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც "ვარდისუბანი" | ბარნოვის ქუჩა №71 |
| 4 | შპს ისანი-სამგორის რ-ის "ს/კ მომსახურების №1 ს/ცენტრი" | III მასივი, IV კვ. კორპ. №13 |
| 5 | შპს ისანი-სამგორის რ-ის "ს/კ მომსახურების №4 ს/ცენტრი | III მასივი, VIII კვ.კორპ. №3 |
| 6 | შპს ვაკე-საბურთალოს რ-ის ს/კ მომსახურების ს/ც "დელისი I" | გაბაშვილის ქუჩა №4 |

## სსიპ "სამოქალაქო რეესტრის სააგენტო" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტრის აგების სახელმწიფო შესყიდვისათვის (თბილისი, წერელის გამზ. N67ა, ტელ: 357919)

შესყიდვის ობიექტია: საქართველოს სამოქალაქო რეესტრისთვის სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტის აგება 1 ლოტად.

ლოტი N1 - საქართველოს სამოქალაქო რეესტრისთვის სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტის აგება - დაცული სასერვერო ოთახი, სასერვერო კარადების გაგრილების სისტემა, სასერვერო ოთახის აწეული იატაკი, სასერვერო აპარატურის კარადები, სასერვერო ოთახში უწყვეტი ელექტრო კვების სისტემა, სასერვერო კარადებში და ოთახებში ხანძრის აღმოჩენისა და ქრობის სისტემა, ვიდეო-სათვალთვალო სისტემა, ტერიტორიაზე დაშვების ელექტრონული სისტემა, სერვერების და მონაცემთა შენახვის სისტემის ინფასტრუქტურა, საქსელო აპარატურა, სერვერული პლატფორმის ვირტუალიზაციის სისტემა, რეზერვირებისა და არქივირების სისტემა, კლასტერული და სწრაფაღდგენადი სისტემა, არსებული სერვერების განახლება.

მოწოდების ადგილი - CIP თბილისი.

შესრულების ვადად განისაზღვრება არაუგვიანეს 2009 წლის 1 დეკემბრამდე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (ტექნიკური მონაცემები შესაძლებელია მოცემული იყოს ლათინური ასოებით ან წარმოდგენილ იქნეს ინგლისურ ენაზე), უცხო ენაზე შედგენილი წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და თანდართული დოკუმენტაცია, ნოტარიალურად დამოწმებული ქართულ ენაზე ნათარგმნი სახით (უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას), 2009 წლის 15 მაისის 10 საათიდან არა უგვიანეს 2009 წ. 15 მაისის 11 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), წერეთლის გამზ. N67ა, V სართული, ოთახი N515 ტელ. 357919 წარმოდგენილი დახურული კონვერტები გაიხსნება 2009 წ. 15 მაისის 11 საათზე. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
3. ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი.
2. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინამდებარე განცხადებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემები და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან თანხმობა, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე.
3. პრეტენდენტის სახელზე გაცემული საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001.
4. ცნობას სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
5. უცხო ქვეყნიდან საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს და წარმოადგინოს ამონაწერი იმ ნორმატიული აქტიდან, რითაც დასტურდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების გამცემი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

როგორც იურიდიულმა, ასევე ფიზიკურმა პირებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია სუბკონტრაქტორების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მათთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი ან "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად შედგენილი თანხმობა ხელშეკრულების გაფორმებაზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;
2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ 2009 წლის 15 აპრილის 14 საათიდან 2009 წლის 15 მაისის 10 საათამდე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N67ა.

შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაში მითითებული თარიღები და ვადები.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ხაზინის ერთიანი ანგარიში ცენტრალიზებული N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტრის აგება შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას ერთი დახურული კონვერტით. ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ლაშა ბოკუჩავა. ტელ - **357919**, 8 (95) 332252.

**დამატებითი ინფორმაცია**:

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი - საბანკო გარანტია (2%).

წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გარანტია შემდეგი ფორმითა და ოდენობით: საბანკო გარანტია წინასწარ მოთხოვნილი თანხის ოდენობით, არაუმეტეს სატენდერო წინადადების ღირებულების 30%-ისა.

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**სატენდერო კომისია**

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე
### საქართველო
## რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

კრედიტის ნომერი: N4516 GE

ქ. ვანში რუსთაველისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი
RMIDP/Vani/CW/NCB/40-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ქ. ვანში რუსთაველისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაცია (კონტრაქტის # RMIDP/Vani/CW/NCB/40-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს ქ. ვანში რუსთაველისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

ქალაქი ვანი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის სამხრეთით მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ქ. ვანის შიდა გზების რეაბილიტაცია მოიცავს: რუსთაველისა და სანაპიროს ქუჩების რეაბილიტაციას. სამუშაოები მოიცავს გზის საფარის აღდგენას, ხელოვნური ნაგებობების მოწყობას და ტროტუარების შეკეთებას.

ქვეპროექტის საბოლოო მიზანია ქალაქ ვანის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება შიდასამიმოსვლო დანიშნულების ქუჩების რეაბილიტაციით.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:

I. ქვიშა ხრეშოვანი ნარევი 1143 კუბ.მ.
II. ფრაქციული ღორღი 1643 კუბ.მ.
III. გვერდულების მოწყობა 967 კუბ.მ.
IV. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 18 629 კვ.მ.
V. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 27 291 კვ.მ.
VI. 10 ც. მილის მოწყობა D=0.5 მ.
VII. ბეტონი 66 კუბ.მ.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 6.5 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1.4 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 13 მაისის 17:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 43,000 ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 13 მაისის 17:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: +995-32-306189
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-29
Aახალქალაქში მიასნიკიანის, დერჟინსკის, ჩარენცის და წერეთლის ქუჩების რეაბილიტაცია
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 13 მაისი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***ახალქალაქში მიასნიკიანის, დერჟინსკის, ჩარენცისა და წერეთლის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების*** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

ობიექტი მდებარეობს მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში, ქალაქ თბილისიდან 280 კმ-ის მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ხაშური-ახალციხე-ახალქალაქის ავტომაგისტრალით.

სამუშაოები მოიცავს ახალქალაქში მიასნიკიანის, დერჟინსკის, ჩარენცის და წერეთლის ქუჩებზე (საერთო სიგრძე 2029 მ) პროფილის აღდგენას ახალი ორფენიანი ა/ბეტონის სავალი ნაწილის მოწყობას. ამორტიზირებული ბორდიურების შეცვლას ბაზალტის ბორდიურებით. ახალი ტროტუარების მოწყობას წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით.

**ძირითადი სამუშაოების მოცულობები:**
- მიწის სამუშაოები - 13190 $მ^3$
- შემასწორებელი ფენა - 1800 $მ^3$
- საფუძველი ფრაქციული ღორღი - 18150 $მ^2$
- ორფენიანი ა/ბეტონი - 18150 $მ^2$
- ტროტუარები - 6850 $მ^2$ .

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **6 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,6** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **5,9** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **2,0** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **40,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **13 მაისის 11:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **13 მაისს 11:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. მარნეული** **14 აპრილი 2009 წ.**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქვემოთ აღნიშნული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ:

**ლოტი №1** – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბაიდარის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა;

**ლოტი №2** – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მოლაოღლის და სოფელ ხულდარის სასმელი წყლის სადრენაჟო სისტემისა და წყლის აუზების მშენებლობა;

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა **ორივე ლოტზე** ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 01 სექტემბრამდე**. შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ **200 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (რეკვიზიტებზე: „მიმღები" - რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილება ს/ნ 216403229. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, თბილისი, ბანკის კოდი №220101222, ა/ა № 200122900. მარნეულის მუნიციპალიტეტის სახაზინო კოდი 300103174, გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი. **ლოტი №1** – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბაიდარის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობის; **ლოტი №2** – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ მოლაოღლის და სოფელ ხულდარის სასმელი წყლის სადრენაჟო სისტემისა და წყლის აუზების მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის), ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 05 მაისამდე** მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №71, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შენობა (II სართული - მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება). ამასთან, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთ დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 05 მაისს 10⁰⁰ საათიდან 14⁰⁰ საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №73, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობა (III სართული – გამგეობის კანცელარია).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან უკანასკნელი **18 (თვრამეტი) თვის** განმავლობაში მინიმუმ **100 000 (ასიათასი) ლარზე მეტი** ბრუნვის შესახებ;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი **18 (თვრამეტი) თვის** განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ღირებულების მითითებით).

დ) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება ცნობის სახით, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

ე) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება; მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე, აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

ვ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ასევე, პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები **მე-5** მუხლის შესაბამისად. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეთათვის ინსტრუქციის **მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით** და საბაზისო მონაცემთა ნუსხით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **1%-იანი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია**. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია.**

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებაში, საკონტაქტო ტელეფონი: **(8 257) 2-13-14** საკონტაქტო პირი: მაკა ნავერიანი, **(8 257) 2-52-15** საკონტაქტო პირი: მალხაზ სამაშვილი.

სატენდერო კომისია

# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

## შეტყობინება გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

პროექტის დასახელება: **ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი**

დაფინანსების წყარო: **IDA კრედიტი–: 4179GE; IDA გრანტი– H228GE; PHRD გრანტი–TF 056631; AHI გრანტი TF 257342**

მოწვევის № **AI/SH/06**

შესყიდვის მეთოდი **ფასთა კოტირება (Shopping)**

საქართველომ მიიღო კრედიტი PHRD-ის გრანტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციიდან და იაპონიიდან, ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტისა და გრანტის ნაწილი გამოყენებულ იქნება კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდათ.

მოწვევა განფასებების წარმოსადგენად (ITQ) ფირმებს დაეგზავნათ 2009 წლის 28 იანვარს. განფასებების წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 2009 წლის 12 თებერვალი, 18:00 საათი.

**წარმოდგენილი განფასებები და შეფასება:**

| # | მონაწილე ფირმა | წარმოდგენილი ფასი დღგ–ს ჩათვლით | საბოლოო შეფასებული ფასი დღგ–ს ჩათვლით/ლარი/ |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „გაერთ. გლობა. ტექნ." (UGT) | USD 80'346.20 | 134'338.85 |
| 2 | შპს „ესაბი" | USD 71'366.40 | 119'324.62 |
| 3 | შპს „ორიენტ ლოჯიკი" | USD 93'259.53 | 155'929.93 |
| 4 | შპს „ორიონ ტექნოლოჯი" | GEL 115'990.00 | 115'807.21 |
| 5 | შპს „ალტა" | GEL 118'035.40 | 118'035.40 |

კონვერტაცია მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 12 თებერვალს დადგენილი კურსის შესაბამისად: 1 USD – 1.6720 GEL

შეფასებისას არც ერთი წინადადება არ იქნა უარყოფილი.

**ხელშეკრულების გაფორმება:**

ხელშეკრულება № AI/SH/06 (დათაღიღებული 20 მარტი, 2009), კომპიუტერული ტექნიკის მოწოდებაზე გაფორმდა შპს „ორიონ ტექნოლოჯი"–სთან, საკონტრაქტო ღირებულებით 115'807.21 ლარი.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების**
**დადების თაობაზე**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2009 წლის 19 თებერვალს სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სახემწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდო:

ლოტი N1 და N2 - შპს "დავითი"
ლოტი N4 - შპს "ალუ"

შსს ქ.თბილისის მთავარი
სამმართველოს სატენდერო კომისია

---------------------------------------------------------------

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების**
**დადების თაობაზე**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2009 წლის 27 თებერვალს სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების (საბურავების) სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სახემწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდო შპს "თეგეტა მოტორსთან"

შსს ქ.თბილისის მთავარი
სამმართველოს სატენდერო კომისია

---------------------------------------------------------------

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების**
**დადების თაობაზე**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2009 წლის 27 თებერვალს სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის და ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სახემწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდო:

ლოტი N1 - შპს "იბერიასერვისი"
ლოტი N2 - შპს "666"

შსს ქ.თბილისის მთავარი
სამმართველოს სატენდერო კომისია

# ინფორმაცია ტენდერის შესახებ

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" (№ 00052418) აცხადებს ტენდერს კომპანიის გამოსავლენად, რომელიც მოამზადებს და დაბეჭდავს სასამართლო სისტემის მხარდამჭერი ჟურნალის "მართლმსაჯულება და კანონი" 3 გამოცემას.

დეტალური ინფორმაცია ტენდერის შესახებ იხილეთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერზე www.undp.org.ge.

ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული განაცხადები უნდა წარმოადგინოთ 2009 წლის 24 აპრილის 17:00 საათამდე მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 32. ოთახი №621, ტელ/ფაქსი 98 20 84, მობ. 877 42 02 37, 899 56 76 69 ან ელექტრონულ მისამართზე: tea.kasradze@undp.org.ge; lado.mkervalishvili@undp.org.ge

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ ამა წლის 24 მარტს ბიომეტრიული პასპორტის ბლანკის, პასპორტის ბლანკის პერსონალიზაციის ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდა შემდეგი სახის დამატება: შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს დაემატა შემდეგი შინაარსის წინადადება: პერსონალიზაციის ტექნიკის შემადგენელი სახარჯი მასალის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიწოდებული ბიომეტრიული პასპორტის ბლანკის პროპორციულად.

**სატენდერო კომისია**

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-23
**დაბა ხელვაჩაურის ქუჩების რეაბილიტაცია**
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 13 მაისი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***დაბა ხელვაჩაურის ქუჩების რეაბილიტაციის*** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

ობიექტი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დაბა ხელვაჩაურში, ქ. ბათუმიდან 9 კმ-ზე.

სამუშაოები მოიცავს დაბა ხელვაჩაურში შარაბიძეების დასახლების გზის კეთილმოწყობას და აღმაშენებლის ქუჩის განშტოებების მოასფალტებას საერთო ფართობზე 23426 მ2, კერძოდ ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების სავალი ნაწილის საგზაო სამოსის კონსტრუქციის აღდგენა-გაძლიერებას და გრძივი და განივი ქანობების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.

**ძირითად სამუშაოთა მოცულობები**

1) ცხელი წვრილმარცვლოვანი მკვრივი "ბ" ტიპის I მარკის ა/ბეტონი სისქით - 3,5 სმ - 1998,1 ტ;
2) ცხელი მსხვილმარცვლოვანი ფორიანი "ბ" ტიპის I მარკის ა/ბეტონი სისქით - 5 სმ - 2724,5 ტ;
3) ფრაქციული ღორღი ფრ. (40-70) მმ - 3135,4 მ$^3$;
4) ფრაქციული ღორღი ფრ. (5-20) მმ - 227,6 მ$^3$;
5) ბიტუმის ემულსია - 7028,3 ლ;
6) ბეტონის ბორდიური ზომით (15X30) სმ - 347 მ;
7) ბეტონის ბორდიური ზომით (10X20) სმ - 24 მ;
8) მონოლითური ბეტონი - 40,8 მ$^3$;
9) ძველი ბაზალტის ბორდიური - 324 მ.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **6 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **0,99** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **3,7** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,24** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **25,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **13 მაისის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **13 მაისს 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს: **ქსეროქსის ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

შესყიდვის ობიექტი:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ქსეროქსის ქაღალდი ა4 ( 210X297 მმ, 80 გრ, 500 ფურცლიანი). | ცალი | 8571 |

1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი დიღმის მასივი II-ე კვ კ.ნადაძის ქ№1 შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო.

2. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. პრეტენდენტებს შემსყიდველი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდგომ 2009 წლის 4 მაისის 17:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ნადაძის ქ№1, შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

5. სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით გადახდილ უნდა იქნეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში შემდეგ რეკვიზიტებზე:
სახელმწიფო ხაზინა №220101222
სახაზინო კოდი 302003174
ანგარიშწორების ანგარიში №200122900

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

მიუთითეთ: გადახდის დანიშნულება **სატენდერო მოსაკრებელი შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ ქსეროქსის ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვაზე.**

7. პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ერთი ასლი) 2009 წლის 5 მაისის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დიღმის მასივი IIკვ კ. ნადაძის ქუჩა №1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.
8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 5 მაისს 16:00 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:
9.1 **იურიდიულ პირთათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
ბ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი)
9.2 **ფიზიკური პირთათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
9.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდული პირთათვის:**
ა) ცნობა- საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
ბ) ცნობა- სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
დ) ცნობა- შს სამინისტროდან, რომ ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის
ე) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არა არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
ვ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება ასევე ქვეკონტრაქტორებს თუ ისინი ჩართული იქნებიან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.
ზ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელი და გვარი:
10. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-9 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
12. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.
13. დამატებითი ინფორმაცია პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თეიმურაზ კობალაძე, მაია ნადუნელი ტ: 41-41-01. 41-42-74.
მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ნადაძის ქ№1, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო მე-6 სართული.

შს სამინისტროს
ქ.თბილისის
მთავარი სამმართველოს
სატენდერო კომისია

------------------1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## განცხადება აუქციონის შეწყვეტის შესახებ

შეწყვეტილ იქნეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 26 მარტს გამოცხადებული აუქციონი, ქ. დუშეთში, სტალინის ქ. N27-ში მდებარე დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი, საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის I სართულზე არსებული ფართის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ, საქმესთან დაკავშირებით ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო.

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სატენდერო განცხადების შესწორება

**2009 წლის 3 აპრილის "24 საათი"-ს N73 ნომერში გამოქვეყნებულ მოწვევაში ფასთა კოტირების წარდგენაზე ორგტექნიკის სახარჯი მასალების მისაწოდებლად (კონტრაქტის ნომერი: N MDF/NS/004-1/09)**

**კოტირებების წარმოდგენის ვადა შეიცვალოს შემდეგნაირად:**

"7. კოტირების წარმოდგენის ბოლო ვადა არის **2009 წლის 22 აპრილი, 17 საათი**". დანარჩენი რჩება უცვლელი.

## განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 12 მარტს სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ხელშეკრულებები დაიდო შემდეგ ორგანიზაციებთან:

I ლოტი, ქ.თერჯოლის ცენტრის გარე განათების გაუმჯობესება-ი/მ გიორგი ჩხაიძე.

II ლოტი, გრიგალით დაზიანებული შენობების სახურავების შეკეთება- ი/მ ხვიჩა მაჩიტიძე.

III ლოტი, ადგილობრივი გზების მიმდინარე შეკეთება-მოწყობა-შ.პ.ს. "ბორანი".

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სატენდერო განცხადების შესწორება

**2009 წლის 3 აპრილის "24 საათი"-ს N73 ნომერში გამოქვეყნებულ მოწვევაში ფასთა კოტირების წარდგენაზე "საოფისე ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის მოწოდებაზე (კონტრაქტის ნომერი: N APL2NS00309)**

**კოტირებების წარმოდგენის ვადა შეიცვალოს შემდეგნაირად:**

"6. კოტირების წარმოდგენის ბოლო ვადა არის **2009 წლის 21 აპრილი, 13 საათი**". დანარჩენი რჩება უცვლელი.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ ამა წლის 24 მარტს ფოტო ჯიხურების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილება: შეიცვალოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოსადგენ საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში მითითებული "3 - პრეტენდენტის სახელზე გაცემული საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001" და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - "3 - საქონლის მწარმოებელი კომპანიის სახელზე გაცემული საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001".

**სატენდერო კომისია**

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**ქ. ყვარელის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქცია**

RMIDP/Kvareli/CW/NCB/44-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ქალაქ ყვარელის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემების რეკონსტრუქცია (კონტრაქტის # RMIDP/Kvareli/CW/NCB/44-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს **ქალაქ ყვარლის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემების** რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად.

ქ ქ. ყვარელი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე დურუჯის ხეობაში. თბილისიდან დაშორებულია 160 კმ-ით. თბილისი - ყვარელის გზა მოასფალტებულია, ხოლო გზა ქ. ყვარელიდან წყალსადენის სათავე ნაგებობამდე მოხრეშილია. მშენებლობის ტერიტორიაზე მისვლა ნაწილობრივ შესაძლებელია თბილისი - ყვარელის საავტომობილო გზით.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:

**კანალიზაცია:**

- კანალიზაციის ქსელების მოწყობა შემდეგ ქუჩებზე: ჭავჭავაძის ქუჩის ნაწილი, საბჭოს ქუჩაზე, პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვაჟა-ფშაველას მიმდებარე უბნებიდან.

დ=300 მმ ლ=446.0 გრძ. მ;
დ=200 მმ ლ=974.0 გრძ. მ;
დ=150 მმ ლ=90.0 გრძ. მ;
საკანალიზაციო ჭები - 61 ცალი;
მიწის სამუშაოები - 2589 კუბ.მ.

**წყალსადენი:**

- მდინარე ბურსაზე კაშხლის აშენება;
- მდინარე ბურსაზე სალექარისა და ფილტრების რეკონსტრუქცია;
- 800 კუბ. მ რეზერვუარის ტერიტორიაზე საქლორატოროს და საყარაულო ჯიხურის კაპიტალური შეკეთება;
- მდინარე ნახეჩზე კაშხლის აშენება;
- "კაზარმების ტერიტორიაზე" სალექარისა და ფილტრების რეკონსტრუქცია;
- სალექარისა და ფილტრების ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- 2000 კუბ. მ რეზერვუარის კაპიტალური შეკეთება.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 5.2 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1.2 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 13 მაისის 15:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 39,000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 13 მაისის 15:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,

ტელ: +995-32-306189

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**ქალაქ გორის კომბინატის დასახლების წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

RMIDP/Gori/CW/NCB/34-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: **ქალაქ გორის კომბინატის დასახლების წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროექტი** (კონტრაქტის # RMIDP/Gori/CW/NCB/34-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს **ქალაქ გორის კომბინატის დასახლების წყალსადენის სისტემის** რეაბლიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

ქ. გორის კომბინატის დასახლება მდებარეობს ქალაქის დასავლეთ ნაწილში (შიდა ქართლის რეგიონი) მოსახლების რაოდენობაა 11600 კაცი.

ქვეპროექტის განხორციელების მიზანია წყალსადენის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება გორის კომბინატისა და ე.წ. შინდისის დასახლებაში.

**სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**

- საქლორატოროს მოწყობა.
- წყლის ურდულებიანი ჭების მოწყობა:
- D=1.0 - 2.0 მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭები - 260 ცალი;
- ოთხკუთხა მონოლითური ჭა 3 ცალი
- ქალაქის ქსელის რეაბილიტაცია:
- გრუნტის სამუშაოები - 9292.0 მ3;
- ლითონის მილის მოწყობა d=50-426 მმ - 9640 გრძ.მ;
- წყალდამხარჯი ონკანების მოწყობა 1 ცალი.
- ურდულების შეცვლა d=50-426 მმ 265 ცალი.
- ასფალტო ბეტონის მოწყობა 422 მ3

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

